საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 ივნისი შაბათი 2011
№ 141 (13438) ფასი 80 თეთრი



## დავით ყიფიანი 60

## დიდი 10

კრედო: იმპროვიზაცია თამაშში: ესთეტიკა

4

# დინამომ და ატლეტიკომ მაისურები გაცვალეს

## თანამშრომლობის გეგმები და შესაძლო კონკრეტიკა: სამი ესპანელი დინამოსთვის?

3




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




კევინ გამეირო
პარი სენ ჟერმენის ფორმით

7

## 130 ტრანსფერი

ლელო წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს



საუკეთესო თავდამსხმელი
ნიკოლოზ გელაშვილი

## ბომბარდირის გულისტკივილი

2



## უიმბლდონი 2011

დებიუტი რუსთან მატჩით

12

ანა ტატიშვილი უიმბლდონზე ძირითად ბადეში პირველად ითამაშებს

## წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

## საუკეთესო თავდამსხმელი: ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი)

**ნიკა გელაშვილი მეორედ გახდა ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი: მე-20 ჩემპიონატში 20 გოლით, დასრულებულში კი - 18-ით და "ლელომ" ახლახან ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელად დაასახელა. 25 წლის ფორვარდს 21-ე ჩემპიონატშიც ჰქონდა ბომბარდირობის შანსი, მაგრამ ბრაზილიელმა აკინომ აჯობა და 16 გოლით მეორე ადგილს დასჯერდა.**

**- ამ თვრამეტი გოლიდან პენალტით ერთიც არ გამიტანია – სიამაყით ამბობს "ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი.**

### დოსიე

დაიბადა: 5 აგვისტო, 1985

სიმაღლე 184 სმ

კარიერა:

2003-2004 "ვიტ ჯორჯია" 6

2004-2005 "კახეთი" (თელავი) 28 (8)

2005-2007 "ვიტ ჯორჯია" 51 (25)

2008 წლიდან "ზესტაფონი" 96 (56)

ნაკრებები:

2005-2006 U21 7 (1)

2007 ეროვნული 8



# ბომბარდირის გულისტკივილი: რატომ აღარ გვაჯილდოებენ?

## ნიკა გელაშვილმა ჯერ არ იცის, ითამაშებს თუ არა ევროთასზე

**- ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირობა და საუკეთესო თავდამსხმელობა პრესტიჟულიც არის და პრაგმატულადაც სასურველია. ამ ტიტულებით ნორმალური ლიგისკენ გზას იოლად იკვლევენ.**

- რა თქმა უნდა, ტიტული ბევრს ნიშნავს, მაგრამ ევროპელები საქართველოს ჩემპიონატს კარგად არ იცნობენ და ძალიან ძნელია გზა გაიკვალო.

უცხოელებს რა უნდა მოვთხოვოთ, როცა ჩვენი ჩეპიონატის გამორჩეულ მოთამაშეებს თავად არ ვაფასებთ. ადრე პროფლიგა "დიას" დაჯილდოებით ფეხბურთელებს ზეიმს გვიწყობდა. ბოლო ორი სეზონია ესეც არ ტარდება და გული მწყდება. მადლობა "ლელოს", რომ საუკეთესოები დაასახელა, მაგრამ სხვა განცდაა მასშტაბურ ღონისძიებაზე დაჯილდოება, როდესაც ხალხი გიყურებს და შენს შრომას აფასებს. ფეხბურთელისთვის ტაშზე და სახალხო აღიარებაზე დიდი სტიმული არ არსებობს.

ასე იწერება ისტორია, პრიზს სახლში მიიტან, შვილებს, მერე კი შვილიშვილებს აჩვენებ და იამაყებ, ამიტომ გვიხარია ბომბარდირობა, საუკეთესო ფეხბურთელობა და სხვა წოდებები. არადა, ამ ყველაფერის თავის მობმა ძნელი საქმე არ არის.

**- გასული ორი სეზონის შემდეგ, ალბათ, ბომბარდირობის სურვილიც გქონდა და იმედიც.**

- რა თქმა უნდა. თუმცა სერიოზული კონკურენტები მყავდა, წინამძღვრიშვილი, დვალი, მოდებაძე, მეგრელაძე. მიხარია, რომ მიზანს მივაღწიე.

**- "ლოკერენში" უნდა გადასულიყავი - ტრავმამ ტრანსფერი ხომ არ ჩაშალა?**

- არა მგონია, ტრავმა ისეთი სერიოზული იყოს, ტრანსფერი ჩაშალოს. თუ ბელგიელები დაინტერესებულები არიან, წამიყვანენ კიდეც.

**- ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობ. მოედანს ჩემპიონთა ლიგის მატჩებამდე დაუბრუნდები?**

- ვარჯიშის დაწყება კი მინდოდა, მაგრამ აქამდე ვერ შევძელი. კოჭ-სახსარი სამ ადგილზეა დაზიანებული და ჯერ არ ვიცი, ლიგის მატჩებამდე მოვმჯობინდები თუ არა. თუმცა "ზესტაფონს" ავსტრიულ შეკრებაზე მივყვები.

**- ეროვნულ ნაკრებში ჯერჯერობით თავი ვერ გამოიჩინე. რა გაბრკოლებს, სხვა დონეა თუ ვერ გაშინაურდი?**

- ბიჭებთან გაშინაურება პრობლემა არ ყოფილა, მეგობრული გუნდია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში თამაში ძალიან ძნელია – ბევრად მაღალია ტემპი, კლასი, სხვა ყველაფერი. ალბათ, საქართველოში მოთამაშეებს მეტი საერთაშორისო გამოცდილება გვჭირდება, ნაკრებში თავი რომ გამოვიჩინოთ. ამ დონიდან სანაკრებოზე უცებ ვერც გადაერთვები.

**- ბევრის აზრით, საქართველოში უკეთესი მოედნები რომ იყოს, თავდამსხმელები უფრო შედეგიანები იქნებოდნენ.**

- ცხადია, ასეა, სად კარგ მოედანზე რომ თამაშობ და სად საქართველოში. კარგ მოედანზე თავისუფლად ურტყამ, აქ კი ფიქრობ, ბურთი უსწორმასწორო ადგილზე არ მოხვდეს და ფეხიდან არ აგიხტეს.

**- რომელი იყო სეზონში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ლამაზი გოლი?**

- ჩემთვისაც და გუნდისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ყველა, 18 გოლი, ისევე, როგორც ჩვენი ბიჭების გატანილი სხვა გოლები. ყველაზე ლამაზი კი სამტრედიაში გატანილი გოლი იყო, როდესაც ქუსლით ორი მცველი უკან მოვიტოვე და ლამაზი გოლი გავიტანე.

**მერაბ მამულაშვილი**



● ბაია

## უიმედობიდან სპონსორამდე

"ბაიას" შესახებ ბოლო დროს სასიამოვნოს ვერაფერს გატყობინებდით, გუშინ კი ზუგდიდელთა მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** დამაიმედებელი ინფორმაცია მოგვაწოდა.

*"ჩვენთან მოვიდა ერთ-ერთი იტალიური კომპანიის ქართველი წარმომადგენელი, რომელმაც გვითხრა, რომ მის კომპანიას "ბაიას" დაფინანსება აქვს გადაწყვეტილი. შეხვედრამ საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა და დავრწმუნდით, რომ ამ ფირმას ჩვენს კლუბთან დაკავშირებით შორსმიმავალი გეგმები აქვს და დაპირება მალე საქმეში გადაიზრდება"*, - გვითხრა ქომეთიანმა.

როგორც შევიტყვეთ, ამ კომპანიას, რომლის სახელიც ჯერ არ კონკრეტდება, წლებია, საკუთარი ფილიალი სამეგრელოშიც აქვს გახსნილი და იქ თხილის ბიზნესითაა დაკავებული.

შესაძლოა, სპონსორის გამოჩენა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ზვიად სიჭინავას** ზუგდიდში გუშინწინდელ ვიზიტსაც უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ სფფ-ის თავკაცმა სამეგრელოს მთავარ ქალაქში მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა.

იმედია, "ბაიას" წევრთა და გულშემატკივართა მოლოდინი გამართლდება და საქართველოს ჩემპიონატს ამბიციური და ბრძოლისუნარიანი გუნდი შეემატება. "ბაიას" ყოველთვის ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავდა და ბევრი ძლიერი მეტოქეც გაუმწარებია, მაგრამ სერიოზულმა ფინანსურმა პრობლემებმა, რამაც განსაკუთრებით გასულ სეზონში იჩინა თავი, გუნდის უმაღლეს ლიგაში თამაშს კითხვის ნიშანი დაუსვა. ღმერთმა ქნას, "ბაიას" აღარასდროს დაუდგეს ის დრო, გასვლით მატჩებზე ნასესხები ფულით რომ დადიოდა და თბილისში ჩამოსული გუნდის წევრები ღამეს არა სასტუმროში, არამედ ნათესავების ოჯახებში ათევდნენ.

უახლოეს დღეებში "ბაიას" ახალი სპონსორის დადგენასაც შევეცდებით და იმასაც შევიტყობთ, შეასრულა თუ არა ამ კომპანიამ დაპირებები და როგორი იქნება კლუბის ბიუჯეტი და მიზნები.

ქომეთიანმა კი გეგმების შესახებ გუშინვე გვითხრა. როგორც ჩანს, "ბაიას" თავკაცს გუნდის მოსამზადებელი პროგრამის შესადგენად უკვე აქვს გარკვეული საფუძველი. მას პირდაპირ კაცად ვიცნობთ და უპირველესად, სწორედ ქომეთიანის ოპტიმიზმი გვაიმედებს, რომ "ბაიაში" ყველაფერი რიგზე იქნება.

გუნდი ვარჯიშს 20 ივნისს, საკუთარ ბაზაზე დაიწყებს და თვის ბოლომდე იქვე მოემზადება. ამას ბაკურიანული შეკრება უნდა მოჰყვეს, რის შემდეგაც "ბაია" ზუგდიდში დაბრუნდება და საკონტროლო მატჩების გამართვას შეუდგება. ქომეთიანი იმედოვნებს, რომ კლუბის ბიუჯეტი გუნდს თურქეთის შავიზღვისპირეთში გადასვლასა და იქაურ გუნდებთან გაჯიბრების საშუალებასაც მისცემს.

გუნდის ბირთვი შენარჩუნდება და "ბაია" კვლავ ადგილობრივ ახალგაზრდებს დაეყრდნობა, თუმცა სამწვრთნელო შტაბი შემადგენლობის გაძლიერებაზეც იზრუნებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ "ბაიას" დაუბრუნდება ნახევარმცველი **ლუკა გუგუჩია**, რომელმაც გასული სეზონი განათხოვრებით ქუთაისის "ტორპედოში" გაატარა. აუცილებლად დაბრუნდება "ლელოს" მიერ სეზონის საუკეთესო დებიუტანტად დასახელებული **ირაკლი ქობალია**. შეგახსენებთ, ახალგაზრდა ფორვარდი საევროთასოდ რუსთავის "მეტალურგშია" განათხოვრებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დიდი სტუმრიანობა



მარცხნიდან: ენრიკე სერესო, რომან ფიფია, კლემენტე ვალვერდე და ზურაბ პოლოლიკაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# დინამომ ესპანური ფანჯარა გამოაღო

## მადრიდის ატლეტიკოს პრეზიდენტი თბილისში

## შეხვედრის უცნობი დეტალები: სამი ესპანელი დინამოსთვის?

ესპანეთში ელჩობისას **ზურაბ პოლოლიკაშვილი** რამდენიმე იქაური კლუბის პრეზიდენტს დაუმეგობრდა და თბილისის „დინამოს" გენერალურ დირექტორად დანიშვნის სემდეგ ამ კავშირებს მშვენივრად იყენებს. „დინამოში" უკვე დასაქმდნენ ბარსელონელი მწვრთნელები, გუშინ კი საქართველოში მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** და კლუბის გენერალური დირექტორი **კლემენტე ვალვერდე** „დინამოს" ახალი ხელმძღვანელების მოწვევით ჩამოვიდნენ.

პირველად მათ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** უმასპინძლა. სამინისტროში სტუმრებმა ქართული სპორტის დიდების მუზეუმი დაათვალიერეს, გაცვალეს სამახსოვრო საჩუქრები, მერე შესაძლო ურთიერთობებზე ილაპარაკეს. შეხვედრას ზურაბ პოლოლიკაშვილი და საქართველოს ელჩი ესპანეთში **ნიკოლოზ ნათბილაძე** ესწრებოდნენ.

ლადო ვარძელაშვილი: *„საკმაოდ ნაყოფიერი შეხვედრა იყო, ვისაუბრეთ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. ესპანეთის ჩემპიონატი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მადრიდის „ატლეტიკოც" გამორჩეული კლუბია და მისი პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის ჩამოსვლა მართლაც სასიხარულოა. ამ ადამიანებს უდიდესი გამოცდილება აქვთ, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ესპანელები დაგვეხმარებიან მწვრთნელთა გადამზადებაში, ბავშვთა მომზადების პროგრამის შედგენაში...".*

ენრიკე სერესო: *„მოხარული ვარ საქართველოში სტუმრობით და მინისტრთან შეხვედრით. საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე ვისაუბრეთ. ვაპირებთ თანამშრომლობას და თბილისის „დინამოსთვის" ჩვენი გამოცდილების გაზიარებას. იმედია, ყოველივე ეს შედეგს გამოიღებს".*

შემდეგი "გაჩერება" ეროვნული სტადიონი იყო. სტუმრებმა ჯერ სტადიონი დაათვალიერეს და გაოცება ვერ დამალეს. ცხადია, დიდი სტადიონებით ესპანელებს ვერ გააკვირვებ, მაგრამ საქართველოში მსგავს არენას, ეტყობა, არ ელოდნენ.

ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში "დინამოს" მეპატრონე **რომან ფიფიამ** და "ატლეტიკოს" პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართეს.

რომან ფიფია: *"უნიკალური კლუბის პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი გვესტუმრნენ. ძალიან მნიშვნელოვანია მემორანდუმის გაფორმება, რომლითაც ჩვენ პარტნიორები გავხდით. ეს უნდა იყოს საწინდარი იმისა, რომ ესპანელთა გამოცდილებას გავიზიარებთ "დინამოს" აკადემიასა და კლუბში, რა თქმა უნდა, გაიმართება ამხანაგური მატჩიც".*

ენრიკე სერესო: *"ჩემი ჩამოსვლის მიზეზი სამომავლო ურთიერთობაზე ხელშეკრულების გაფორმებაა. ეს ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, "ატლეტიკოს" ფონდისა და მადრიდის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით მოხდა".*

ზურაბ პოლოლიკაშვილი: *"როდესაც "დინამოში" დავიწყე საქმიანობა, ენრიკე სერესო მხარდაჭერას შემპირდა. გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მან და ბატონმა კლემენტემ გამონახეს დრო და გვესტუმრნენ. ესპანეთი ჩემი მეორე სამშობლოა და იმიტომ მიყვარს, რომ მყავს ორი ასეთი მეგობარი. ეს დღე ჩვენს კლუბებს შორის მეგობრობის ოფიციალური დასტურია. ხელშეკრულებაში რამდენიმე საინტერესო პუნქტია, ფაქტობრივად, ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის ესპანეთის ფანჯარას ვხსნით, რაც მათ კვალიფიკაციის ამაღლების შანსს აძლევს. რომ არა ბატონი ენრიკე, ეს შეუძლებელი იქნებოდა. იმედია, ჩვენი მეგობრობა და პარტნიორობა დიდხანს გაგრძელდება და შედეგზე აისახება".*

პრესკონფერენციის შემდეგ რომან ფიფიამ და ენრიკო სერესომ კლუბებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. სერესომ "დინამოს" მეპატრონეს ის სამი გერბი აჩუქა, რომლებიც "ატლეტიკომ" დაარსების შემდეგ შეიცვალა. სტუმრებს "დინამოს" 30-ნომრიანი მაისურები გადასცეს, ესპანელებმაც "ატლეტიკოს" მაისურები უსახსოვრეს ფიფიას, პოლოლიკაშვილსა და ნათბილაძეს.

სერესოს "დინამოსა" და "ატლეტიკოს" ამხანაგურ თამაშზეც დავეკითხეთ.

*"ევროპის ლიგაზე თამაშის გამო "ატლეტიკოს" გადატვირთული გრაფიკი აქვს და შუალედის გამონახვას დაფიქრება სჭირდება"* – თქვა მადრიდელთა პრეზიდენტმა.

დაბოლოს, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - დაუთმობს მადრიდული კლუბი "დინამოს" ევროპის ლიგაზე ძირითადში ვერმოხვედრილ მოთამაშეებს? პოლოლიკაშვილმა გვითხრა, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ მეტი აღარ დაუკონკრეტებია. ჩვენი ინფორმაციით, "ატლეტიკო" სამი ასეთი მოთამაშის გამოშვებაზე ფიქრობს. ესპანელთა საბოლოო პასუხი რამდენიმე დღეში გვეცოდინება.

**მერაბ მამულაშვილი**

● U16

# მეორეში დავმარცხდით

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ერევანში მეორე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა სომეხ თანატოლებთან და 1:3 დამარცხდა. შეგახსენებთ, **გელა შეყილაძის** გუნდმა მასპინძლებთან პირველი მატჩი 0:0 დაასრულა.

მეორე თამაშში ქართველები დაწინაურდნენ – **გიორგი ხარაიშვილმა** ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა, მაგრამ სომხეთის ნაკრებმა ჯერ ტაიმის მიწურულს გაათანაბრა, რასაც მატჩის მეორე ნახევარში კიდევ ორი გოლი მიაყოლა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ჩვენმა ნაკრებმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **ჩაფიძე, გელაშვილი, მარგველაშვილი (74. წითლიძე), მალანია, გაბედავა (74. ქიქალუა), ჯაფიაშვილი, არველაძე, ჭანტურია (64. ბარამიძე), ხარაიშვილი (72. ხორხელი), თევზაძე (22. მესხი, 56. გოროზია), კობახიძე (56. ზარანდია).**

ქართველები სამშობლოში შეხვედრის დასრულებისთანავე გამოემგზავრნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ვიტ ჯორჯია

# ოთხი მოვიდა, ერთი წავიდა

ბოლოორი დღის განმავლობაში "ვიტ ჯორჯიამ" ორი ტრანსფერი განახორციელა. ვეტერინარებმა კონტრაქტი **გიორგი ვაშაკიძესა** და **გიორგი ოთარაშვილს** გაუფორმეს.

18 წლის ვაშაკიძე გარემარბია და თამაშის გამწვავება ორივე ფლანგიდან შეუძლია. "ვიტ ჯორჯიამდე" იგი თბილისის "დინამოს" ეკუთვნოდა, ისევე, როგორც 20 წლის მცველი ოთარაშვილი, რომელმაც გასული სეზონი ცხინვალის "სპარტაკში" გაატარა და უმაღლეს ლიგაში 6 შეხვედრა გამართა.

შეგახსენებთ, ამ ორ ფეხბურთელამდე **ზურაბ ბერიძის** გუნდში **გიორგი ხუმარაშვილი** და **ირაკლი ხუჭუა** მიიწვიეს.

კლუბი დატოვა მცველმა **ირაკლი ჭანკვეტაძემ**, რომელიც "ვიტ ჯორჯიას" მიერ შეთავაზებულ ახალ საკონტრაქტო პირობებს არ დათანხმდა. გასულ ეროვნულ ჩემპიონატში მან 7 მატჩი ჩაატარა.

"ვიტ ჯორჯია" ახალი სეზონისთვის მზადებას რამდენიმე დღეა, შეუდგა და მალე გაირკვევა, სად გაივლის გუნდი შეკრებას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● მერანი

# მარტვილში მატებაა

20 ივნისიდან მარტვილის "მერანი" ბაკურიანულ შეკრებას დაიწყებს. უმაღლესი ლიგის დებიუტანტების პირველი ახალწვეულის შესახებ უკვე გაცნობეთ, "სამტრედიადან" **თორნიკე შალიკაშვილის** გადაბირების შემდეგ კი **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა ფოთის "კოლხეთიდან" მეკარე **გიზო შენგელია**, ხოლო ბათუმის "დინამოდან" **გიორგი მანწკავა** დაიმატა. ფაქტობრივად გადაწყვეტილია ბათუმიდან მარტვილში **ელგუჯა გრიგალაშვილის** გადასვლაც, სავარაუდოდ, შედეგიანად დასრულდება საჩხერის "ჩიხურასთან" **დავით ქამუშაძის** თაობაზე წამოწყებული მოლაპარაკებაც.

"მერანის" სატრანსფერო აქტიურობა ამით არ შემოიფარგლება და უახლოეს დღეებში მარტვილელთა სხვა ახალწვეულების ვინაობასაც შევიტყობთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● კოლხეთი

# პასუხს პორტისგან ელიან

ვარაუდობენ, რომ "კოლხეთის" ბედი დღე-დღეზე, 20 ივნისამდე გაირკვევა. ყველა ფოთის პორტის პასუხის მოლოდინშია. სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი კლუბის ბიუჯეტიც და სამომავლო გეგმებიც. შეგახსენებთ, გასასტუმრებელია ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და პერსონალის რამდენიმე თვის სახელფასო დავალიანება.

გასული სეზონის ბოლოს "კოლხეთს" ახალი პრეზიდენტი, **თენგიზ სარიშვილი** პატრონობდა, მაგრამ პრობლემებს მარტო ვერ უმკლავდება და მძლავრი სპონსორის პოვნით თავადაცაა დაინტერესებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი

# გიორგი ივანიშვილი: დინამოში მხოლოდ ვივარჯიშე



კითხვა, ითამაშებს თუ არა **გიორგი ივანიშვილი** თბილისის "დინამოში", მას შემდეგ გაჩნდა, რაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი, შვეიცარიული "ციურიხის" კუთვნილი და ჩელენჯლიგის "შაფჰაუზენში" იჯარით გაშვებული 21 წლის თავდამსხმელი "დინამოს" ვარჯიშებზე გამოჩნდა.

საქმეში გასარკვევად გიორგის დავუკავშირდით.

**- გავიგეთ, რომ "დინამოში" ივარჯიშე.**

- "დინამოში" მართლაც ვივარჯიშე და საკონტროლო მატჩიც ჩავატარე, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად გავაკეთე, გუნდში ჩემს ჩარიცხვაზე ლაპარაკი არც ყოფილა. მაგრამ, ეტყობა, არასწორი დასკვნა გამოიტანეს, თითქოს "დინამოში" მოვდიოდი. დაინტერესებული რომ ყოფილიყვნენ, ავსტრიულ შეკრებაზე წავყვებოდი.

**- გუნდთან მოლაპარაკება არ გქონია?**

- კი დაინტერესდნენ, მაგრამ "ციურიხთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავარდება, ისინი კი უსასყიდლოდ არ გამომიშვებენ.

**- "შაფჰაუზენი" ჩელენჯლიგიდანაც გავარდა და რას აპირებ?**

- გუნდთან იჯარის ვადა ამომეწურა და ჯერ შემოთავაზება არ მაქვს. თუმცა შვეიცარიაში გავერკვევი, არის თუ არა რაიმე რეალური ვარიანტი. დაინტერესებული კლუბი თუ გამოჩნდა, "ციურიხი" პრობლემას არ შემიქმნის.

**- ტრანსფერში "ციურიხი" რა თანხას ითხოვს?**

- მხოლოდ საფეხბურთო აკადემიისთვის გადასახდელ თანხას მოითხოვენ. დიდი ფული არ უნდა იყოს, წელიწადზე 40 ათასი შვეიცარიული ფრანკი იანგარიშება. ოთხი წლის თანხაზე მეტი არ უნდა გამოვიდეს.

**- დაინტერესებული ხარ "დინამოში" თამაშით?**

- საქართველოს ჩემპიონატში თამაშის დიდი სურვილი არ მაქვს, თუმცა, მაინც კარგი იქნება, ოჯახში ვიქნები და საქართველოში მეტ დროს გავატარებ.

**- ერთი ხანობა "შაფჰაუზენში" რატომ არ გათამაშებდნენ?**

- შემადგენლობაში კი ვიყავი, მაგრამ მწვრთნელთან უსიამოვნება მომივიდა. სომხეთის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ მითხრა, დაღლილი ჩანხარო და აღარ დამაყენა, ამ მიზეზით მერე შემადგენლობიდან საერთოდ ამომაგდო. კიდევ კარგი, შუა სეზონში გაუშვეს, მისი შემცვლელი კი სულ ძირითადში მაყენებდა.

**- სეზონისთვის სად მოემზადები?**

- "ციურიხი" ორშაბათს იკრიბება, შვეიცარიაში ჩავფრინდები და მთავარ გუნდს შეკრებაზე გავყვები.

გიორგი ივანიშვილის თაობაზე თბილისის "დინამოს" გენერალურ დირექტორ **ზურაბ პოლოლიკაშვილსაც** დავეკითხეთ.

*"გიორგი ჩვენთან ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობდა. მას კონტრაქტი აქვს "ციურიხთან" და მისი ტრანსფერის გამოსყიდვის საკითხი არ დასმულა"* – თქვა პოლოლიკაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

# დავით ყიფიანი 60



## დიდი 10
### კრედო: იმპროვიზაცია თამაში: ესთეტიკა

...ყველადროის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს **დავით ყიფიანს** დღეს 60 წელი შეუსრულდებოდა...

...მართლაც ძნელია ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში „ჩაეტიო", როცა დავით ყიფიანზე საუბრობ: არამხოლოდ ქართული, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ევროპული და, საერთოდ, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავზე! ფეხბურთელზე, ვისაც იმდროინდელი ვარსკვლავების (**ზიკო, პლატინი, მარადონა**) გვერდით მოიხსენიებდნენ და ვის სიდიადესაც ყველა აღიარებდა! ჰო, ყველა და ყველგან: საქართველოშიც და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაშიც, ინგლისშიც და იტალიაშიც, გერმანიაშიც და ესპანეთშიც, ბრაზილიაშიც და საფრანგეთშიც; სხვანაირად ვერც იქნებოდა: ნეიტრალური კი არა, მეტოქე გუნდის გულშემატკივარიც ვერ რჩებოდა გულგრილი დავით ყიფიანის ზღაპრული თამაშის შემხედვარე; „კლასიკური" 10 ნომერი გახლდათ, ყველანაირი ტაქტიკური სქემა-ჩარჩოების უგულებელმყოფელი, სამაგიეროდ, იმპროვიზაცია იყო ყიფიანის სათამაშო კრედო, აი, როგორც ნალდ და „დიდ ათიანებს" სჩვეოდათ; სწორედ ასეთი ესთეტიკით და საფეხბურთო ხელოვნებით ანებივრებდა წლების განმავლობაში თავის ქომაგებს - „დინამოს" იმ მართლაც ზღაპრულ თაობაში მაინც გამორჩეულად რომ უყვარდათ.

**ი**ტალიური „ინტერი" და ბრაზილიური „ფლამენგო", ესპანური „რეალი" და ინგლისური „ლივერპული", იტალიური „ნაპოლი" და გერმანული „ჰამბურგი", - შორს წაგვიყვანს ჩამოთვლა იმ უცხოური გრანდებისა, რომელთა წინააღმდეგაც დავით ყიფიანს გაუბრწყინია;

ტიტულებიც, იცოცხლეთ, ფეხბურთელობის დროს, უამრავი ჰქონდა: „დინამოს" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც იყო, ვერცხლის პრიზიორიც და ბრინჯაოსიც (ოთხჯერ), ორჯერ საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა, 1977 წელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს (იმის წინა წელსაც ეკუთვნოდა, მაგრამ „რატომღაც", ცსკა-ს მეკარე **ასტაპოვსკი** ამჯობინეს); 1976 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა, იმავე წელს საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად მონრეალის ოლიმპიადაზე იმყოფებოდა, მაგრამ, ყველასათვის გაუგებარი მიზეზის გამო, ერთი წუთიც არ უთამაშია. საერთოდაც, სანაკრებო თემა იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელისათვის ყველასათვის გამოცანად რჩებოდა: **კონსტანტინ ბესკოვი** იქნებოდა თუ **ვალერი ლობანოვსკი** სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ყიფიანს რატომღაც ნაკლებად, ან საერთოდ არ სწყალობდნენ... აი, ასე დარჩა ქართული ფეხბურთის ლეგენდარული „ათიანი" მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე; არადა, წესითა და რიგით, სამჯერ (!) უნდა ესპარეზა: 1974 წელს სსრკ ნაკრები... პოლიტიკურ ავანტიურას შეეწირა (ჩილეს წინააღმდეგ თამაშზე „ზემოდან" უარი ათქმევინეს), 1978 წელს შესარჩევი ეტაპი ვერ დასძლია, 1982 წელს კი ყველასათვის გამაოგნებელი ფაქტი მოხდა! აი, იმ მსოფლიოს ჩემპიონატზეა ლაპარაკი, სადაც, უცხოელ ჟურნალისტთა უმრავლესობის აზრით, ოთხ ვარსკვლავს უნდა გაებრწყინა; ეგ კი არა, ბჭობა და კამათი იმაზე მიდიოდა, ვინ უნდა გამხდარიყო 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი: **ზიკო, მარადონა, პლატინი** თუ... **ყიფიანი**? თუმცა, იმ მუნდიალმა უყიფიანოდ ჩაიარა და სწორედ ამის გამოც იყო, რომ ლეგენდარულმა ქართველმა „ათიანმა" საფეხბურთო კარიერა 30 წლის ასაკში დაამთავრა. 1982 წლის აპრილის დასაწყისში 40 ფეხბურთელის სია გამოქვეყნდა, საიდანაც მწვრთნელები 22-ს აირჩევდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანდნენ. ამ სიაში დავით ყიფიანი არ ფიგურირებდა, - ფეხბურთელი, ვინც წინა წელს ევროპის სიმბოლურ ნაკრებში გახლდათ მიწვეული (მსგავსი პატივი კი, ქართული ფეხბურთის ისტორიაში, მანამდე მხოლოდ **სლავა მეტრეველს** ჰქონდა)! აბა, ამაზე მეტი გულისტკივილი რაღა უნდა ყოფილიყო და ამ სიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში (უფრო ზუსტად, აპრილის ბოლო რიცხვებში), დავით ყიფიანი ფეხბურთიდან წავიდა! თანაც, ჩუმად და უხმაუროდ - კრასნოდარის „კუბანთან" I ტაიმი ითამაშა და შესვენების შემდეგ... მოედანზე აღარც გამოსულა, არც გაცილება მოუწყვია ვინმეს და არც მადლობა გადაუხდიათ, თითქოს, ერთ ჩვეულებრივ მოთამაშეს დაესრულებინოს კარიერა...



**მ**ართლაც ძნელია ყიფიან-ფეხბურთელზე ამომწურავად ისაუბრო, - ყველაფერს ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ვერ დაატევ; თუმცა, რამდენიმე გამონათქვამი გვინდა შემოგთავაზოთ, სხვადასხვა დროს პოპულარულ უცხოურ გამოცემებში რომ დაბეჭდილა. თანაც, ვისაც დავით ყიფიანის თამაში უნახავს, ყველა დაგვეთანხმება, რომ გადაჭარბებული იქ არც არაფერია; ისე როგორც იმ გამოკითხვაში, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ რომ მოეწყო და რომლის მიხედვითაც, ესპანეთის მუნდიალზე ან ზიკოს უნდა გაებრწყინა, ან - პლატინის, ან - სოკრატესსა და ან კიდევ - დავით ყიფიანს!

... 1983 წელს, თავისი არსებობის ისტორიაში „დინამომ" ყველაზე უარესი შედეგი აჩვენა - XVI ადგილზე გავიდა და პირველ ლიგაში დაქვეითებას ძლივს გადაურჩა. მომავალი სეზონიდან კი „დინამოს" მთავარ მწვრთნელად დავით ყიფიანი დაინიშნა და შედეგიც აშკარად უკეთესზე მეტი იყო - „დინამო" VII ადგილზე გავიდა. თუმცა, 1985 წლის მეორე ნახევრიდან ყიფიანს „დინამოდან" წამოსვლამ მოუწია და სამი წელი სხვა სფეროში მოღვაწეობდა. 1988 წლიდან ისევ სამწვრთნელო ასპარეზს დაუბრუნდა: ჯერ საკავშირო II ლიგაში მოასპარეზე „ოლიმპიური მომზადების ცენტრს" ავარჯიშებდა (სადაც პერსპექტიული ბიჭები დააწინაურა), შემდეგ კი ისევ „დინამოს"... საშველად უხმეს, **გერმან ზონინის** ხელში კვლავაც I ლიგისკენ რომ მიექანებოდა...

**1**990 წლიდან საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და, ალბათ, დიდი დრო უნდა გავიდეს ყიფიანი-მწვრთნელის მიღწევები რომელიმე სპეციალისტმა რომ გააუმჯობესოს. თავად განსაჯეთ: ყიფიანი-მწვრთნელი შვიდჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი (ხუთჯერ - „დინამოში", ორჯერ - ქუთაისის „ტორპედოში"), ოთხჯერ კი - თასის მფლობელი! შორს წაგვიყვანს იმ მოთამაშეების ჩამოთვლა, სწორედ ყიფიანის ხელმძღვანელობით რომ გაიცნო საფეხბურთო სამყარომ: **კახა ცხადაძე, კახა გოგიჩაიშვილი, გიორგი ნემსაძე, მიხეილ ყაველაშვილი, ძმები არველაძეები, გოჩა ჯამარაული, მურთაზ შელია, ნიკა ჩხეიძე, კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი, მალხაზ ასათიანი** და სხვები...

... 1997 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩააბარეს და ჩვენი უპირველესი გუნდი შვიდ მატჩში მხოლოდ ორჯერ დამარცხდა; თუმცა, იმავე წლის 11 ოქტომბერს პოლონეთთან შთამბეჭდავი გამარჯვების მერე... კონტრაქტი არ გაუგრძელეს! სამი წლის მერე ისევ დაბრუნდა საქართველოს ნაკრებში (**რევაზ ძოძუაშვილთან** ერთად), მაგრამ მაშინ ხომ ყველა არარეალურს ვითხოვდით და რახან 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ვერ მოვიპოვეთ, ამაში რაღა თქმა უნდა, მწვრთნელი დავადანაშაულეთ...

ლექსებს მაშინაც უძღვნიდნენ, როცა ფეხბურთს თამაშობდა და შემდეგაც, 2001 წლის 17 ოქტომბრის იმ ავბედითი დღის მერეც...

**გია ტუხაშვილი**

*ფოტოები და ამონარიდები გამოყენებულია* ***გია გორგოძის*** *წიგნიდან „დღესასწაულის ნადილი".*


mondial
Numéro 24
Mars 1982

France
Redaction de "Mondial"
1 - Maradona
2 - Kipiani
3 - Platini

Angleterre
Chris Davies
(Shoot)
1 - Maradona
2 - Zico
3 - Platini

Argentine
Hector Vega Onesime
(El Grafico)
1 - Maradona
2 - Zico
3 - Hansi Muller

Algérie
Merad Abderazak
(El Moudjahid)
1 - Maradona
2 - Socrates
3 - Kipiani

Espagne
Xavier de Pinedo
(Independant)
1 - Maradona
2 - Kipiani
3 - Zamora

Brésil
Ney Bianchi
(Manchete)
1 - Zico
2 - Kipiani
3 - Hansi Muller

URSS
Alexis Srebnitski
(Agence Novosti)
1 - Maradona
2 - Platini
3 - Kipiani

Italie
Stefano Germano
(Guerin Sportivo)
1 - Maradona
2 - Platini
3 - Antognoni

„ვესტ ჰემი" ფიქრობს გაეცნოს უბრწყინვალეს ვარსკვლავებსაც შეხვედრია, მაგრამ მათ შორის მართლაც იყო ერთი ტანადი, ულვაშებიანი და თმაშეთხელებული ვაჟკაცი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებდა ასეთ რეპუტაციას. ეს გახლდათ ყიფიანი, რომელიც თავისი მოხდენილი გრძელი ფეხებით „ეპტონ პარკში" ისე დააბიჯებდა, როგორც სოფლის სკოლის დირექტორი თავის სამფლობელოში".

„ტაიმსი"

■ ■ ■

„დინამოს" ჰყავდა მოთამაშე, რომელმაც ყველაფერი დაჩრდილა მინდორზე. იენელთა მწვრთნელმა ჰანს მაიერმა მშვენივრად იცოდა, რას აკეთებდა, როცა კრაუზეს სახით დაუღალავი დარაჯი მიუჩინა, მაგრამ თბილისელთა მესაჭემ და შესანიშნავმა ტექნიკოსმა დავით ყიფიანმა კრაუზეს თამაშიდან არ გამოათიშინა თავი. ბოლო წუთზე მან ისეთი სილამაზის ილეთი ჩაატარა, რომ მაყურებელს დიდი ტაში მოსწყვიტა".

„რაინიშენ პოსტი"

■ ■ ■

„დინამოელებმა გვაჯობეს, მათ დაგვჯაბნეს ტექნიკასა და იმპროვიზაციაში. ყიფიანი რომ ბურთს მიიღებდა, გამაყრუოლებდა ხოლმე...

თბილისის „დინამო", ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ჩვენთვის „ტომარაში გამომწყვდეული კატა" იყო, თურმე ტომარაში ვეფხვი ყოფილა...

ბობ პეისლი

*„ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი*

■ ■ ■

„ლივერპული" ცდილობდა მისთვის დამახასიათებელი სტილით ეთამაშა, მაგრამ იგი გაანადგურეს ფეხბურთელებმა, რომლებიც დიდებულად ფლობენ თამაშის ხელოვნებას...

განუმეორებელი იყო ყიფიანი - იგი ასრულებდა წამყვან როლს „დინამოს" ყველა კომბინაციაში... ეჭვი არ არის, რომ „დინამო" ახლა „ლივერპულზე" მაღლა დგას".

„გარდიანი"

■ ■ ■

„ულვაშებიანი იოსებ სტალინის გვერდით კიდევ ერთი ულვაშებიანი ქართველი გახდა ცნობილი. ეს დავით ყიფიანია. დავითი, როგორც წმინდა ქალაქის მფლობელი.

ყიფიანი, ჩივაძე, დარასელია, გუცაევი, შენგელია - აი, ასეზის პოკერი თასის მფლობელთა თასისათვის. ყიფიანი და მისი მეგობრები წარმატებას აღწევენ ყველა სტადიონზე, სადაც კი გამოჩნდებიან".

„ეკიპი"

## დათო ყიფიანს...

როცა ამდენი ძმობილი...
როცა ამდენი დობილი...
ეს არის ჩვენგან შობილი
ქალაქი დაუნდობელი.

აქ ასპარეზად იჭვების
გაყიდულია მანდილი
მთელი სიმკაცრით ისჯება
დღესასწაულის ნადილი.

დაძრული სანაპიროდან
ცაზე წეროა გაწვდილი...
გამთხლევებულა ღვინო და
განყალებულა სადილი.

აქ მზეც და მთვარეც პირსავსე
ყავის ნალექში ციალებს.
ჭორით დანალმულ მინაზე
უჭირდა მოხეტიალეს.

...უკვე ნიავი მიაქან-
-მიმოაქანებს კიდობანს.
წყალზე დარწეულ იალქანს
ეპოქა დაემშვიდობა.

დათო მაღრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და ფინანსები

# ფრანგული ტელეფული

მარსელის "ოლიმპიკი" საფეხბურთო სეზონის ლიდერი გახდა სატელევიზიო ტელეტრანსლაციებით მიღებული ფულის დათვლის შემდეგ. ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა, არც მეტი არც ნაკლები, ამ გზით 50 მილიონი ევრო მოიპოვა, - გვამცნობს პორტუგალიური ვებგვერდი futebol finance, ვინც მხოლოდ ამ სახის ინფორმაციის გავრცელებაზე სპეციალიზდება. სულ ფრანგულმა კლუბებმა ტელეკომპანიების წყალობით 517 მილიონ 880 ათასი ევრო გამოიმუშავეს. რაზეა დამოკიდებული კლუბებისთვის გადასახდელი თანხა ლიგა 1-ში და რატომ გახდა ყველაზე შემოსავლიანი "მარსელი" და არა "ლილი"? ქვემოთ სწორედ ამ ფაქტორებზე ვიმსჯელებთ:

1. საერთო თანხის 48,9% კლუბებს შორის თანაბრად ნაწილდება. მხოლოდ ამ გზით ლიგა 1-ის მონაწილეებს 12,6 მილიონი ერგოთ.


ფრანგებმა ტელევიზიიდან მიღებული ფული დათვალეს

2. შედეგების მიხედვით ნაწილდება 24,4%. ანუ სეზონის ბოლოს რაც უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს გუნდი, მით მეტი თანხა შეხვდება მას. ბუნებრივია, ამ პრინციპიდან გამომდინარე კლუბებს შორის ლიდერი "ლილი" გახდა – 18,2 მილიონი. ამასთან მუშაობს ერთი პრინციპი: რახან თანხები სეზონის ბოლოს ნაწილდება, ლიგიდან გავარდნილი გუნდები ამ პუნქტის მიხედვით კუთვნილ თანხას ვერ მიიღებენ.

3. თანხის 5% ნაწილდება კლუბების ბოლო ხუთი წლის შედეგების მიხედვით. მხედველობაში მიიღება ამ წლების განმავლობაში დაგროვილი ქულების საშუალო არითმეტიკული. ამ მხრივ საუკეთესო "ლიონია", მან 3,6 მილიონი ევრო მიიღო.

4. საერთო ბიუჯეტის 21,7% ნაწილდება იმის გათვალისწინებით, ვისი რამდენი შეხვედრა გადაიცა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში. ამ მხრივაც ლიდერი "მარსელი" გახდა, ვისაც საერთო კალათიდან 18,2 მილიონი გადაეცა.

ახლა კი სრულად გთავაზობთ ცხრილს, ვის რა თანხა შეხვდა წლის განმავლობაში.

| | |
|---|---|
| 1. ლილი | 42 525 142 ევრო |
| 2. მარსელი | 49 963 605 |
| 3. ლიონი | 45 872 275 |
| 4. პსჟ | 39 059 127 |
| 5. სოშო | 25 748 537 |
| 6. რენი | 30 657 645 |
| 7. ბორდო | 33 984 863 |
| 8. ტულუზი | 27 744 021 |
| 9. ოსერი | 23 316 552 |
| 10. სენტ ეტიენი | 26 384 879 |
| 11. ლორიანი | 19 018 052 |
| 12. ვალანსიენი | 18 406 288 |
| 13. ნანსი | 19 661 456 |
| 14. მონპელიე | 17 606 218 |
| 15. კანი | 16 604 175 |
| 16. ბრესტი | 16 054 793 |
| 17. ნიცა | 17 558 672 |
| 18. მონაკო | 17 571 681 |
| 19. ლანსი | 19 415 905 |
| 20. არლი | 13 703 955 |

**ლევან ბიბილაშვილი**

მალაგა


მალაგას ახალწვეული ჟერემი ტულალანი

# მალაგამ ლუსიოს დაუმიზნა

## არაბებმა უკვე 30 მილიონამდე დახარჯეს

ესპანური პრიმერას ყველაზე სამხრეთული კლუბი, „მალაგა" ყველაზე აქტიურია სატრანსფერო ბაზარზე. შეიხ **აბდულ ალ ტანი** ყიდულობს და ყიდულობს **მანუელ პელეგრინისთვის** ახალ ფეხბურთელებს. ექვსგარეშეა, არაბი მფლობელი მომავალ სეზონში აღარ შეეგუება თუკი ანდალუსიელებს კვლავ მოკრძალებული ამოცანები ექნებათ გადასაწყვეტი. შეგახსენებთ, რომ „მალაგამ" ბოლო სეზონში მე-11 ადგილი დაიკავა. ამ დღეებში კლუბი ერთბაშად არნახულად გაძლიერდა.

მოდი, მოვლენებს ქრონოლოგიურად მივყვეთ - ჯერ სეზონი არ იყო დასრულებული, როცა გამოცხადდა, რომ „ბაიერნიდან" იჯარით აყვანილ არგენტინელ **მარტინ დემიკელისს** კონტრაქტი გაუფორმეს, ხოლო მის ნაცვლად ბავარიელებს 3 მილიონი ევროთი შეევსებოდათ ხაზინა. ივნისის დასაწყისში კი ოფიციალურად გამოცხადდა, რომ „ჰამბურგის" ჰოლანდიელი ფორვარდი **რუუდ ვან ნისტელროი** „მალაგელია". თანაც ასაკოვანი (34 წლისაა), მაგრამ მაინც მსოფლიო დონის ვარსკვლავი მანუელ პელეგრინის უფასოდ ერგო. ვან ნისტელროის 1-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

10 დღის შემდეგ „მალაგამ" ისეთი ფეხბურთელი გაიფორმა, რომელიც სავარაუდოდ, კარგა ხნით ჩაიბარებს ესპანეთის ნაკრების დაცვის მარცხენა ფლანგს - ლაპარაკია **ნაჩო მონრეალზე**. 25 წლის პამპლონელის სანაცვლოდ „მალაგა" „ოსასუნას" 6 მილიონ ევროს გადაუხდის.

ვან ნისტელროის „ჰამბურგიდან" „კუდი" მოჰყვა - ფრიად მსუყეც - 16 ივნისს ცნობილი გახდა, რომ ანდალუსიაში გააგრძელებს კარიერას ჰოლანდიელი მცველი **იორის მატეისენი**. ესპანური და გერმანული გუნდები სატრანსფერო თანხას არ ასახელებენ. ამიტომ, ესპანური მედია „მკითხაობს" - მატეისენში შეიხ აბდულ ალ ტანიმ მილიონიდან 2,5-მდე ევრო გადაიხადა. მატეისენი 2-წლიან კონტრაქტს აფორმებს და ახლა მისმა მსურველმა ალ ტანის 20 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. 31 წლის მატეისენი უნივერსალი მცველია, მან ხუთი სეზონი გაატარა „ჰამბურგში", ჰოლანდიის ნაკრებში კი 70-ზე მეტი თამაში ჩაატარა.

გუშინ მატეისენს კიდევ ერთი ძლიერი ფეხბურთელი მიჰყვა „მალაგაში" - ფრანგი **ჟერემი ტულალანი**. საყრდენმა ნახევარმცველმა 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ანდალუსიურ კლუბთან. დეტალები ცნობილი არ არის, თუმცა „ლიონიდან" მისი ტრანსფერი სავარაუდოდ 10-15 მილიონი ევრო დაჯდა. 27 წლის ტულალანს პუბლიკას თვის ბოლოს წარუდგენენ. აქ ჩამოთვლილთ დავუმატოთ არგენტინელი **დიეგო ბუენანოტე**, რომელიც ჯერ კიდევ იანვარში გაიფორმა კლუბმა. „რივერ პლეიტის" 23 წლის გარემარბი ახალი სეზონიდან შეუერთდება გუნდს - მის სანაცვლოდ „მალაგამ" 4,5 მილიონი ევრო გაიღო. საბოლოო ჯამში, „მალაგამ" 6 ფეხბურთელში 25-32 მილიონი ევრო უკვე დახარჯა და ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. „მალაგამ" 2015 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი სამ პერსპექტიულ ფეხბურთელს: **რესიოს, ფრანსისკო პორტილიოსა** და **ხუანმის** (რომელიც გასულ სეზონში პრიმერას ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო, 17 წლის). არსად მიდიან გასული სეზონის ლიდერები **რონდონი** (კლუბის ბომბარდირი 14 გოლით), **ჟულიო ბაპტიშტა** (რომელმაც მოკლე ხანში 9 გოლი გაიტანა), ურუგვაელი **სება ფერნანდესი** (7 გოლი), **ელიზეუ** და სხები...

ამას შედეგი უკვე მოაქვს - „ლა როსალედაზე" სეზონის აბონემენტების შარშანდელი მაჩვენებლის 60% უკვე გაყიდულია. არადა, სეზონის დაწყებამდე 2 თვეზე მეტია.

**P.S.** წუხელ ცნობილი გახდა, რომ „მალაგამ" ლუსიოს ყიდვა გადაწყვიტა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## რეალი მანიუს კრიჟაში უდგება

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ "ლანსიდან" ფრანგული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 18 წლის **რაფაელ ვარანი** შეიძინოს. საამისოდ მას "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს, რადგან "ალისფერი ეშმაკები" რომ ფეხბურთელს ეკურკურებიან, დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი. მათ უკვე მოასწრეს და "ლანსს" კონკრეტული წინადადებით მიმართეს: 10,5 მილიონი ევრო ცენტრალური მცველის ნაცვლად. სამეფო კლუბს დაგეგმილი აქვს, ფრანგებს იგივე თანხა შესთავაზოს, მაგრამ მათი აზრით, მოლაპარაკებათა პროცესში უპირატესობას მიიღებენ, თუ საქმის მოგვარებას **ზინედინ ზიდანი** ითავებს. მოგეხსენებათ, ფრანგი ლეგენდა **ფლორენტინო პერესის** თანაშემწეა. საინტერესოა, რომ თავად ფეხბურთელს ერთი წინაპირობა აქვს: მიუხედავად ასაკისა, ის ძირითად გუნდში თამაშს ითხოვს და არა დუბლებში. რაფაელი მოთხოვნას საკმაოდ ლოგიკურად ხსნის: *"მე მხოლოდ ის კლუბები მაინტერესებს, სადაც მუდმივად მომეცემა თამაშისა და პროგრესის საშუალება. სხვა შემთხვევაში წინადადებას არც კი განვიხილავ"*.

## იდეათა გენერატორი ლეონარდო

"პარი სენ-ჟერმენის" ტექნიკური დირექტორი (მართალია ფორმალობები მოსაგვარებელია, მაგრამ ეს ყველაფერი დროის ამბავია) **ლეონარდო** პარიზში მოვალეობათა უშუალოდ შესრულებას უახლოეს დღეებში დაიწყებს. იქამდე ის ლამის გაილექსა და კლუბის ხელმძღვანელობას იდეას იდეაზე სთავაზობს. ბრაზილიელმა "პარკ დე პრენსზე" კაკას წაყვანის სურვილი გამოთქვა, ახლა კი პსჟ-ს მთავარ მწვრთნელად "ჩელსიდან" გაშვებული **კარლო ანჩელოტის** დანიშვნა ურჩია. ეს იდეა მან "ეკიპის" ჟურნალისტთან საუბრისას გააჟღერა. ეტყობა, მან არ იცის, რომ კლუბმა **ანტუან კომბუარესთან** ახალი 3-წლიანი კონტრაქტი სულ რაღაც 1 თვის წინ გააფორმა. იქიდან გამომდინარე, რომ მუსიე ანტუანმა გუნდთან ერთად ლიგა 1-ში მე-4 ადგილი დაიკავა და თასის ფინალში ითამაშა, მისი მუშაობით კმაყოფილნი დარჩნენ და შესაბამისად, ახალი კონტრაქტიც ამის წყალობით დაიდო. მიუხედავად ლეონარდოსადმი პატივისცემისა, არ გვგონია, კლუბის ახალმა ინვესტორებმა მას ეს იდეა მოუწონონ. თანაც თავად ანჩელოტი აცხადებს, რომ ერთწლიან შესვენებას და ფეხბურთისგან კარგად დასვენებას აპირებს.

## სხაარსი სპორტინგში

"ალკმაარისა" და ჰოლანდიის ნაკრების 27 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **სტინ სხაარსი** მომავალი სეზონიდან ლისაბონის "სპორტინგის" ღირსებას დაიცავს. პორტუგალიელებმა ფეხბურთელისთვის ბრძოლა "ეინდჰოვენს" მოუგეს. სატრანსფერო თანხამ სულ რაღაც 850 ათასი ევრო შეადგინა. *"იმედია, რომ ჩემს ახალ კლუბს რაღაც სამსახურს მაინც გავუწევ,* - თავმდაბლობს ფეხბურთელი. - *"სპორტინგი" დიდი სახელი და დიდი კლუბია. აქ მოხვედრა ჩემთვის გრანდიოზული პატივია. მხოლოდ მე ვისაც ვიცნობ, მათგან აქ უთამაშიათ ლუიშ ფიგუს, კრიშტიანო რონალდოსა და ნანის. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება სეზონი. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად ვიბრძოლებთ პორტუგალიის ჩემპიონობისთვის"*.

გასულ სეზონში სხაარსმა "ალკმაარის" რიგებში სულ 40-მდე მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა, მაგრამ მოედანზე მისი პოზიციიდან გამომდინარე ეს გასაკვირი სულაც არ არის.

## ფიფამ მექსიკას ნება დართო

ფიფას გენერალურმა მდივანმა **ჟერომ ვალკემ** სპეციალური განცხადება გააკეთა მექსიკის ნაკრებთან დაკავშირებით – მათ ნება მიეცათ, კოპა ამერიკისთვის ყველა ის ფეხბურთელი შეცვალონ, ვის სისხლშიც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ აკრძალული პრეპარატი კლენბუტეროლი აღმოაჩინა. ასეთი კი მათ რიგებში ხუთი ფეხბურთელია. აი, რა წერია განცხადებაში: "მათ სისხლში აკრძალული ნივთიერებები აღმოაჩინეს, რომლის დოზა დღემდე ვერ დადგინდა. ჩვენ ვეთანხმებით გადაწყვეტილებას, რომ სანამ ჭეშმარიტი მიზეზი არ დადგინდება, იქამდე ფეხბურთელებს თამაშის საშუალება არ უნდა მიეცეთ. ამასთან, გავითვალისწინეთ მექსიკელთა მდგომარეობაც და გუნდში ცვლილებების უფლება მივეცით".

შეგახსენებთ იმ ფეხბურთელთა ვინაობას, ვინც დოპინგსკანდალში გაეხვია: **გილერმე ოჩოა** (მეკარე), **ფრანსისკო როდრიგესი** და **ედგარ დუენასა** (მცველები), **კრისტიან ბერმუდესი** და **ანტონიო ნაელსონი** (ნახევარმცველები).

**ლევან ბიბილაშვილი**



## უცხოური ფეხბურთი

**ტოტენჰემ ჰოთსპური**

# ლუკა პარის არის?

25 წლის ხორვატი ნახევარმცველის, **ლუკა მოდრიჩის** საყიდლად რაგინდ ბევრი ფული გაიმეტონ, ის მაინც „ტოტენჰემში“ დარჩება! ასეთი გახლდათ „დეზების“ მწვრთნელის, **ჰარი რედნაპის** პოზიცია, როდესაც მას „ჩელსის“ 22 მილიონიან შეთავაზებაზე პასუხი სთხოვეს. რედნაპმა „ლურჯებს“ ისიც შეუთვალა, არ გეგონოთ, ჩემი პასუხი ვაჭრობას ნიშნავდეს, თანხას ნულარ მოუმატებთ, ტყუილად გაირჯებითო.

*„ჩვენ მოდრიჩს არ ვყიდით, მორჩა და გათავდა. ამ საკითხზე „ტოტენჰემის“ თავმჯდომარე დევიდ ლევის კარგა ხანს ველაპარაკე და მისგანაც იგივე პასუხი მოვისმინე. თავმჯდომარის ასეთი პოზიცია ხელს მაძლევს და მახარებს. გასაგებია, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კლუბს უნდა ლუკას ნიჭის მქონე ფეხბურთელის ყოლა, მაგრამ ის ჩვენია და ამით თემა ამოწურულია. თანხა, რომელმაც ჩემს ყურამდე მოაღწია, მოდრიჩისთვის სასაცილოა. ასეთ ფულად იმ მოთამაშეებს ყიდიან, რომელთათვისაც მოდრიჩის ბუცების მწმენდაობაც კი დიდი პატივი იქნებოდა“.*

ამრიგად, რედნაპმა ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეუთვალა უარი, შემდეგ კი ჩელსის, რაც თურმე იმას ნიშნავს, რომ... ახლა „მანჩესტერ სიტის“ ჯერი დამდგარა. ისტლენდზე ჩათვალეს, რომ რაკი მოდრიჩისთვის 22 მილიონი სასაცილო თანხაა, 30 მილიონი იუმორთან კავშირში აღარ იქნება და, როგორც „დეილი მეილი“ წერს, ლონდონელებს მოსალაპარაკებლად შეხვდნენ კიდეც. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ „დეზებმა“ შეიძლება სიტის ამ თანხაზეც უარი უთხრან, თუმცა, მთლად ბუცების მწმენდავებზე ვეღარ დაიწყებენ ლაპარაკს, 35 მილიონად კი გარიგება შედგება. მოდრიჩთან დაახლოებულმა ხალხმა ხსენებულ გაზეთთან ლაპარაკისას თქვა, რომ მათი ინფორმაციით „სიტი“ ყველა ღონეს იხმარს, რათა ხორვატი რომელიმე კონკურენტ გუნდში არ მოხვდეს.

რაც შეეხება ფეხბურთელის ფასს, ვფიქრობთ, ამ საკითხში რედნაპი მართალია. სულ ახლახან „ლივერპულმა“ „სანდერლენდს“ სრულიად გამოუცდელ, 21 წლის **ჯორდან ჰენდერსონში** 20 მილიონი ფუნტი გადაუხადა - ასეა, პრემიერლიგაში ბაზარს ცეცხლი უკიდია. არადა, მოდრიჩი, დაგვეთანხმებით, ჰენდერსონისგან ბევრად განსხვავდება. სტატისტიკა მოვიშველიოთ: „უაით ჰართ ლეინზე“ ხორვატმა, სეზონის განმავლობაში, ყველაზე მეტი, 2001 პასი შეასრულა, რომელთაგან 1731 თანაგუნდელამდე მივიდა. ერთადერთი, რაშიც **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** აჯობა, საგოლე მომენტების რაოდენობა გახლდათ და ისიც ჰოლანდიელს 67 ჰქონდა, მოდრიჩს კი 66 - ბუნებრივია, აქ მარტო პრემიერლიგაზე და გატანილ გოლებზე არ არის ლაპარაკი.

გასულ სეზონში მოდრიჩს კაცმა შეიძლება გოლების რაოდენობა უსაყვედუროს. მან მხოლოდ ოთხჯერ შეაგდო ბურთი მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ, მოდი, გოლების გატანა თავდამსხმელებს მივანდოთ და ხორვატს აქტიურობა, დაულალავობა და მწვავე პასები დავუნახოთ. „სფურზი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში რომ გავიდა, მოდრიჩის დიდი დამსახურებაა. მისმა და **გარეთ ბეილის** თამაშმა ევროპაზე ისეთი შთაბეჭდილება მოხდინა, რომ წერდნენ, ამ ორი ვარსკვლავის კონტინენტის ბობოლა კლუბებში მოხვედრა გარდაუვალიაო.

რედნაპს რომ მოეხერხებინა და „დეზები“ კვლავ გაეყვანა ჩემპიონთა ლიგაში, თავადაც გაუჩნდებოდა ბობოლობაზე პრეტენზია. მაშინ, მოდრიჩის სადმე გადასვლაზე შესაძლოა ლაპარაკიც არ ყოფილიყო, მაგრამ ვაგლახ, „ტოტენჰემი“ გასულ სეზონში მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა და მწვრთნელს თავმჯდომარე ლევისგან დახმარება დასჭირდა - ლევი დაჰპირდა, საუკეთესო ფეხბურთელებს კლუბში დავაბამო. ამ ეტაპზე მან ეს, შესაძლოა, მართლა შეძლოს, მაგრამ საკმარისია, რედნაპმა ვერც მომავალ სეზონში შეიყვანოს „ტოტენჰემი“ ოთხეულში, რომ ფეხბურთელების „დაბმა“ წარმოუდგენლად ძნელი საქმე გახდება.

საინტერესოა, რომ ცოტა ხნის წინ, როდესაც მოდრიჩის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურდა, ფეხბურთელმა თქვა: *„ტრანსფერი, რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, მაგრამ ამისათვის საჭიროა მყიდველმა მხარემ ისეთი თანხა გაიმეტოს, რომელიც „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ხელს აძლევს და, რასაკვირველია, ჩემი პირობებიც უნდა დააკმაყოფილოს“.*



ლუკა მოდრიჩი

და ბოლოს, გთავაზობთ, ინგლისურ პრესაში გამოქვეყნებული სატრანსფერო ვარიანტების ერთ კომბინაციას, რომელსაც „მოდრიჩის კარუსელი“ დაარქვეს. მაშ ასე, თუ ლუკა მოდრიჩი 30 მილიონ ფუნტად ან მეტად, საბოლოოდ, მაინც „ჩელსიმ“ იყიდა (დაჟინება არც „ლურჯებს“ აკლიათ), მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედი“ 25 მილიონად „ინტერიდან“ **ვესლი სნეიდერის** წამოყვანის ვარიანტს დაუბრუნდება, თუმცა... „იუნაიტედს“ ცალი თვალი „არსენალისგან“ **სამირ ნასრის** 12 მილიონად ყიდვისკენაც უჭირავს. ნასრისკენ ყურება იმიტომ არის აუცილებელი, რომ ამბობენ, სნეიდერის ყიდვა „მანჩესტერ სიტისაც“ უნდაო, „სიტის“ კი მეტის გადახდა შეუძლია.

და რა მოხდება, თუ აბრამოვიჩი მოდრიჩს ვერ იყიდის? მაშინ ის 21 წლის არგენტინელ **ხავიერ პასტორეს** მიადგება, რომელსაც „პალერმო“ 45 მილიონს აფასებს. და რა უნდა ქნას რედნაპმა, თუ მოდრიჩი გაიყიდება? სავარაუდოდ, „ვესტ ჰემისგან“ **სკოტ პარკერი** უნდა იყიდოს. პარკერი 4 მილიონი ღირს.

**ლიგის ფინალი**

# უემბლი 2013

ახლა ინგლისურ პრესაში ერთმანეთს ეჯიბრებიან - არა ჩვენ გაუწყეთ პირველებმა და არა ჩვენო. ფაქტი კი ის არის, რომ უეფამ ჩემპიონთა ლიგის 2013 წლის ფინალი კვლავ „უემბლის“ უძღვნა. როგორც ჩანს, 28 მაისს, „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრას ლონდონელებმა მართლაც საუცხოოდ უმასპინძლეს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ 2013 წელს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას დაარსებიდან 150 წელი უსრულდება.

ამის შესახებ ასოციაციამ აღმასკომის სხდომის შემდეგ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მაგრამ ის, რომ უეფას 2013 წლის ფინალის „უემბლიზე“ დანიშვნა ჰქონდა გადაწყვეტილი, ადრეც გვეწერა. მაშინვე მოგახსენეთ, რომ 28 მაისის შეხვედრამ არნახული კომერციული მოგება მოიტანა, მაგრამ უეფას მხოლოდ ეს არ მოსწონებია. ფინალის ორგანიზაცია ყოველმხრივ შეფასდა და ითქვა, რომ ბოლო 20 წელიწადში ასეთი გამართული ღონისძიება არ ჩატარებულა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე **დევიდ ბერნსტაინი**: *„ბედნიერები ვართ. რასაკვირველია, ძალიან უცნაურია, ჩემპიონთა ლიგის ფინალი სამ წელიწადში ორჯერ ერთსა და იმავე სტადიონზე რომ გაიმართება, მაგრამ „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ წლევანდელმა თამაშმა ისეთი წარმატება მოიტანა, რომ უეფამ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ დაბრუნებოდა „უემბლის“. ამ სტადიონს თანამშრომელთა საოცარი გუნდი რომ უვლის იქიდანაც ჩანს, რომ სარბიელმა ჩემპიონთა ლიგის ფინალიდან ორ დღეში ჩემპიონშიპის პლეი-ოფის თამაშებს უმასპინძლა“.*

2013 წლის ფინალი „უემბლისთვის“ მეშვიდე იქნება. წინა ფინალები ჩატარდა 1963, 1968, 1971, 1978, 1992 და 2011 წლებში.

**ასტონ ვილა**

# დიდი ეკის პატარა მოგზაურობა



ალექს მაკლიში

დიდ ეკად წოდებული **ალექს მაკლიში** „ასტონ ვილასთან“ კონტრაქტს გააფორმებს. სხვა სიტყვებით, ის ქალაქ ბირმინგემის ერთი კლუბიდან მეორეში გადავიდა, რაც ამ კლუბებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული ცუდი ურთიერთობის გამო საკმაოდ რისკიანი ნაბიჯი გახლდათ. „ვილამ“ გადაწყვიტა მაკლიშის „წართმევის“ გამო „ბირმინგემ სიტის“ საკომპენსაციო თანხა გადაუხადოს, რაც, ინგლისური გაზეთების ცნობით, დაახლოებით 2 მილიონ ფუნტს შეადგენს.

52 წლის მაკლიშმა გასულ სეზონში „ბირმინგემ სიტის“ „ქარლინგის თასი“ მოაგებინა, მაგრამ გუნდი პრემიერლიგიდან ჩემპიონშიპში გავარდნისგან ვერ იხსნა და ბოლოს, გაექცა კიდეც. მოგეხსენებათ, დიდი ეკის „სიტიდან“ წასვლის ფორმა საკმაოდ უხერხული და საკამათო იყო. მან „ლურჯების“ ხელმძღვანელობას მომავალი სეზონისთვის ოთხი ფეხბურთელის ყიდვა სთხოვა და გვარებიც ჩამოუწერა. კლუბმა დიდ ეკს თხოვნა შეუსრულა, მაგრამ, მწვრთნელმა დაჰკრა ფეხი და გაიქცა. საინტერესოა, რომ წასვლის შესახებ მან ხელმძღვანელებს მეილით აცნობა - თვალებში არავისთვის შეუხედავს და არ გამომშვიდობებია. და აი, ამ გაპარვიდან ექვს დღეში დასტურდება, რომ მაკლიში იმავე ქალაქის მეორე გუნდის, პრემიერლიგაში დარჩენილი „ასტონ ვილას“ თავკაცი ხდება.

მოგეხსენებათ, „ვილას“ წინა მწვრთნელი **ჟერარ ულიე** იყო, რომელიც, ფანებს მაინცდამაინც არ უყვარდათ, მაგრამ ამის გამო არ გაუშვიათ. ფრანგს გულის ავადმყოფობა მიეძალა და ექიმებმა სანერვიულო საქმე აუკრძალეს.

ჟურნალისტებმა გაიგეს, რომ ოთხშაბათს მაკლიშმა მთელი დღე „ასტონ ვილას“ პრეზიდენტთან, ამერიკელ **რენდი ლერნერთან** მოლაპარაკებებში გაატარა. იმ დღეს „ბირმინგემ სიტის“ ხელმძღვანელები ჯერ კიდევ იმუქრებოდნენ, რომ მწვრთნელის „გატაცებისთვის“ „ასტონ ვილას“ პრემიერლიგაში უჩივლებდნენ და მას ახალ სამსახურში მისვლის საშუალებას არ მისცემდნენ. ამიტომაც ჩართო ლერნერმა საქმეში ადვოკატები. თუმცა, შემდეგ გაირკვა, რომ „სიტი“ ჩივილს აღარ აპირებდა და კომპენსაციით დაკმაყოფილდებოდა.

ახლა ყველაფერი მოგვარებულია და, რაც მთავარია, თანამემამულეს მხარი პრემიერლიგის ყველაზე გავლენიანმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** დაუჭირა, რაც, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ვერ გეტყვით, რამ უბიძგა სერ ალექსს დიდი ეკის მხარდაჭერისკენ, მისმა შოტლანდიელობამ თუ სხვა რამემ, მაგრამ ფაქტია, რომ ასე თქვა:

*„ეჭვი არ მეპარება, რომ მაკლიში „ასტონ ვილაში“ წარმატებას მიაღწევს და გულშემატკივართა გულს მოიგებს. მას შესანიშნავი „სივი“ აქვს. ის თავის დროზე „რეინჯერსს“ წვრთნიდა, შემდეგ შოტლანდიის ნაკრებს ედგა სათავეში (სწორედ მაშინ მოუგო საქართველომ კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით 2:0), კარიერის განმავლობაში ტიტულები მოუპოვებია და სხვადასხვა კლუბში, შეზღუდული შესაძლებლობებით, მაქსიმუმი გაუკეთებია. ვფიქრობ, ამის გათვალისწინებით, მაკლიშს ფენომენალური შედეგები ჰქონდა“.*

ამრიგად, „ვილას“ მწვრთნელი გამოუჩნდა და ახლა ჯერი ფეხბურთელების ყიდვაზეა. ამბობენ, რომ ერთ-ერთი პირველი, ვისი ყიდვაც დიდმა ეკმა და რენდი ლერნერმა გადაწყვიტეს... „ბირმინგემ სიტის“ 28 წლის მეკარე **ბენ ფოსტერია**. მაკლიშს ლერნერისთვის სასურველ მოთამაშეთა სია ჩამოუწერია.

დღეს „ვილასთვის“ მთავარი მეკარის ყიდვაა. **ბრედ ფრიდელმა**, რომელსაც „ვილასთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურა, „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ მიაშურა, ფოსტერი კი გამოცდილი კაცია, მაკლიშის ხელმძღვანელობით შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. სხვა საქმეა, მიჰყიდის თუ არა „სიტი“ იმ „საზიზღარ, გაქცეულ“ კაცს და ოდინდელ მოქიშპე კლუბს თავის მეკარეს. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. პრემიერლიგიდან გავარდნის გამო „ბირმინგემ სიტის“ ბიუჯეტში 40 მილიონიანი „ნახვრეტი“ გაუჩნდა, რომელსაც შევსება უნდა და ამისათვის საუკეთესო საშუალება რამდენიმე ძვირადღირებული ფეხბურთელის გაყიდვაა. თან, თუ მაკლიშს ფოსტერის ყიდვა ძალიან უნდა, სავარაუდოდ, არც ფულზე დაიხევს უკან...

ცნობილია, რომ მაკლიშს ძალიან უნდა „ვილას“ 26 წლის გარემარბის, **სტიუარტ დაუნინგის** შენარჩუნება. საქმე ის არის, რომ **ეშლი იანგის** „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ მიყიდვის შემდეგ „ვილას“ კიდევ ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გაყიდვის ფუფუნება არ აქვს, მაგრამ რა გინდა ქნა, თუკი ყველა ფეხბურთელი, ვინც ოდნავ მაინც გამოიჩენს თავს, ისეთ გუნდში გადასვლას ცდილობს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გამოდის.

**ბირმინგემი**



სკოტ დანი

# დანის ტრიალი

„სტოკ სიტი“ „ბირმინგემს“ 24 წლის **სკოტ დანის** სანაცვლოდ 12 მილიონ ფუნტს სთავაზობს და ძალიან ჩქარობს, რადგან შიშობს, რომ „ლურჯებს“ ცენტრალური მცველის საყიდლად მათი ყოფილი მწვრთნელი, „ასტონ ვილაში“ გაქცეული **ალექს მაკლიშიც** მიადგება. 12 მილიონი დანისთვის გვარიანი ფულია, მაგრამ როგორც გითხარით, სტოკელთა თავკაც **ტონი პულისს** ეჩქარება.

აღსანიშნავია, რომ დანის გადაბირება „ლივერპულსაც“ უნდა, მაგრამ მერსისაიდელთა მწვრთნელ **კენი დალგლიშს** მის ძალიან მაღალ ოსტატობაში ცოტა ეჭვიც ეპარება. კიდევ, წერენ, რომ თუ პულისი დანს იყიდის, 23 წლის **რაიან შოუკროსის** სარფიანად გასაყიდად გაეხსნება ხელ-ფეხი. შოუკროსი „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღზრდილია და 2006-08 წლებში ამ გუნდში ირიცხებოდა კიდეც, მაგრამ ძირითადში არ უთამაშია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ტრანსფერები



რეალის ახალი იმედი, ნური შაჰინი

# ზაფხული 2011

## ის, რაც სარკმლის გაღებამდე მოხდა

ევროპის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში საფეხბურთო სეზონი მორჩა და ახალი ჯერ არ დაწყებულა. მოდის სატრანსფერო ხანა, რომელიც ოფიციალურად 1 ივლისს იხსნება, თუმცა ეს ოფიციალურად - აბა, გაიხსენეთ, ამ ბოლო თვის განმავლობაში რამდენი ახალწვეულის წარდგენის შესახებ მოგითხრეთ? მოკლედ, სატრანსფერო სეზონი, რომელიც ოფიციალურად ორ კვირაში იწყება, რეალურად კარგა ხნის გახურებულია და მერე როგორ! ისე, მომავალი ზაფხულიდან ფიფა და უეფა ფინანსური „ფეარ პლეის" კანონს შემოიღებენ. ამბობენ, ეს, 2011 წლის ზაფხული ბოლო მხურვალე ზაფხული იქნებაო თავზე ხელაღებული და გასაოცარი ტრანსფერების თვალსაზრისით. შემდგომში კი ეს კანონი მდიდარ კლუბებს ლაგამს ამოსდებს.

ბუნებრივია, მთელს ევროპას ვერ გავწვდებით, თანაც კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს ტრანსფერები რეალურია, მაგრამ მათ ჯერ ოფიციალური სტატუსი არა აქვთ. მოკლედ, უეფა-ს საკლუბო რეიტინგით ვიხელმძღვანელეთ და მხოლოდ 10 მოწინავე საფეხბურთო ქვეყნით შემოვიფარგლებით. ესენია (რეიტინგის მიხედვით დალაგებული): 1. ინგლისი, 2. ესპანეთი, 3. გერმანია, 4. იტალია, 5. საფრანგეთი, 6. პორტუგალია, 7. რუსეთი, 8. უკრაინა, 9. ჰოლანდია და 10. თურქეთი (ცნობისათვის, ქართული უმაღლესი ლიგა რეიტინგში 36-ეა).

ქვემოთ გრაფაში მითითებული თარიღი, ბუნებრივია, ვერ იქნება კონტრაქტის გაფორმების დღე - იქ მითითებულია თარიღი, როცა ესა თუ ის ტრანსფერი გადაწყდა (სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით). სატრანსფერო თანხების უმეტესობაც არ არის ოფიციალური, რადგან იშვიათად აცხადებენ კლუბები, თუ რამდენი გადაიხადეს ფეხბურთელში. უფრო ხშირად, ამას კარგად ინფორმირებული მედიასაშუალებებიდან ვიგებთ.

კიდევ ერთ დეტალს დავაზუსტებთ - ზოგიერთი ტრანსფერი მაისზე ადრეულ პერიოდში გადაწყდა (ზოგი სულაც შემოდგომით) და ბუნებრივია, ადრე გაჩარხული ტრანსფერები ჩვენს სიაში ვერ მოხვდებოდნენ.

ჯერჯერობით თავს შევიკავებთ ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერების დასახელებისგან, რადგან, ჯერ ერთი, ეს ცხრილიდანაც კარგად ჩანს, მეორეც, მთელი სატრანსფერო სეზონი წინ გვაქვს - ფანჯარა აგვისტოს ბოლო დღეს იხურება...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



კევინ გამეირო პსჟ-ს ფორმით

| თარიღი | ფეხბურთელი (ეროვნება) | საიდან (კლუბი, ქვეყანა) | სად (კლუბი, ქვეყანა) | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 2 მაისი | იომერ ტოპრაკი (გერ) | ფრაიბურგი (გერ) | ლევერკუზენი (გერ) | 3 მლნ. ევრო |
| 3 მაისი | ტომაშ პეხარტი (ჩეხ) | იაბლონეცი (ჩეხ) | ნიურნბერგი (გერ) | 2 მლნ |
| 5 მაისი | ილკაი გიუნდოგანი (გერ) | ნიურნბერგი (გერ) | დორტმუნდი (გერ) | 4 მლნ |
| 5 მაისი | ფაბიო ბორინი (იტა) | ჩელსი (ინგ) | პარმა (იტა) | თავ. აგენტი |
| 5 მაისი | პატრიკ ოხსი (გერ) | აინტრახტი (გერ) | ვოლფსბურგი (გერ) | 3 მლნ |
| 6 მაისი | ზე რობერტო (ბრა) | ჰამბურგი (გერ) | - | კონტრაქტი დაუს. |
| 9 მაისი | ნური შაჰინი (თურ) | დორტმუნდი (გერ) | რეალი (ესპ) | 10 მლნ |
| 9 მაისი | თომას კრაფტი (გერ) | ბაიერნი (გერ) | ჰერტა (გერ) | თავ. აგენტი |
| 9 მაისი | ფილიპ მექსე (საფ) | რომა (იტა) | მილანი (იტა) | თავ. აგენტი |
| 9 მაისი | ტაი ტაივო (ნიგ) | მარსელი (საფ) | მილანი (თავ) | თავ. აგენტი |
| 10 მაისი | ტიმ დე კლერი (ჰოლ) | ფეიენოორდი (ჰოლ) | - | გაუშვეს |
| 11 მაისი | აკაკი გოგია (გერ) | ვოლფსბურგი (გერ) | აუგსბურგი (გერ) | იჯარა |
| 15 მაისი | მარტინ დემიკელისი (არგ) | ბაიერნი (გერ) | მალაგა (ესპ) | 3 მლნ |
| 16 მაისი | არტურ მორაეში (პორ) | ბრაგა (პორ) | ბენფიკა (პორ) | თავ. აგენტი |
| 18 მაისი | კრის ლიოვე (გერ) | ხემნიცერი (გერ) | დორტმუნდი (გერ) | 0,2 მლნ |
| 18 მაისი | მატს რიტსი (ბელ) | ბეერსხოტი (ბელ) | აიაქსი (ჰოლ) | უცნობია |
| 18 მაისი | მეჰმეთ ეკიჩი (თურ) | ბაიერნი (გერ) | ვერდერი (გერ) | 5 მლნ |
| 18 მაისი | ერიკ ჩუპო-მოტინგი (კამ) | ჰამბურგი (გერ) | მაინცი (გერ) | თავ. აგენტი |
| 19 მაისი | სილვიო პერეირა (პორ) | ბრაგა (პორ) | ატლეტიკო (ესპ) | 8 მლნ |
| 19 მაისი | ჰამით ალთინთოფი (თურ) | ბაიერნი (გერ) | რეალი (ესპ) | თავ. აგენტი |
| 19 მაისი | ედინსონ კავანი (ურუ) | პალერმო (იტა) | ნაპოლი (იტა) | 12 მლნ |
| 19 მაისი | ნილს პეტერსენი (გერ) | ენერგი (გერ) | ბაიერნი (გერ) | 2,8 მლნ |
| 19 მაისი | ოდისე როში (ალბ) | ფრამურტარი (ალბ) | კიოლნი (გერ) | უცნობია |
| 19 მაისი | დიეგო ალვეში (ბრა) | ალმერია (ესპ) | ვალენსია (ესპ) | 3 მლნ |
| 20 მაისი | დენის სუარესი (ესპ) | სელტა (ესპ) | მან. სიტი (ინგ) | 1 მლნ |
| 20 მაისი | დანიელ ვასი (დან) | ბრონდბიუ (დან) | ბენფიკა (პორ) | უცნობია |
| 20 მაისი | კაკა (ბრა) | ბრაგა (პორ) | ჰერტა (გერ) | უცნობია |
| 21 მაისი | ანდრეას ოტლი (გერ) | ბაიერნი (გერ) | ჰერტა (გერ) | უცნობია |
| 21 მაისი | დერკ ბოერიგტერი (ჰოლ) | ვაალვიკი (ჰოლ) | აიაქსი (ჰოლ) | უცნობია |
| 22 მაისი | დიეგო ანგელო (ბრა) | ჯენოა (იტა) | ესკიშეჰირი (თურ) | უცნობია |
| 23 მაისი | პიოტრ ტროხოვსკი (გერ) | ჰამბურგი (გერ) | სევილია (ესპ) | თავ. აგენტი |
| 23 მაისი | ტეო იანსენი (ჰოლ) | ტვენტე (ჰოლ) | აიაქსი (ჰოლ) | 3 მლნ |
| 23 მაისი | მანუ დელ მორალი (ესპ) | ხეტაფე (ესპ) | სევილია (ესპ) | 4,5 მლნ |
| 23 მაისი | ხოსე კალეხონი (ესპ) | ესპანიოლი (ესპ) | რეალი (ესპ) | 5,5 მლნ |
| 23 მაისი | ხუან ალბინი (ურუ) | ხეტაფე (ესპ) | ესპანიოლი (ესპ) | 3 მლნ |
| 23 მაისი | ადრიან ლუნა (ურუ) | დეფენსორი (ურუ) | ესპანიოლი (ესპ) | 1,5 მლნ |
| 24 მაისი | დიეგო კასტრო (ესპ) | სპორტინგი (ესპ) | ხეტაფე (ესპ) | თავ. აგენტი |
| 24 მაისი | კევინ კონსტანტი (გვი) | შატორუ (საფ) | კიევო (იტა) | 1 მლნ |
| 24 მაისი | ანდრეა პირლო (იტა) | მილანი (იტა) | იუვენტუსი (იტა) | თავ. აგენტი |
| 24 მაისი | მარკო ამელია (იტა) | ჯენოა (იტა) | მილანი (იტა) | 3,5 მლნ |
| 24 მაისი | სოკრატის პაპასტატოპულოსი | მილანი (იტა) | ჯენოა (იტა) | უცნობია |
| 24 მაისი | ანგელოს ხარისტეასი (საბ) | შალკე (გერ) | - | გაუშვეს |
| 25 მაისი | გიონ ფერნანდესი (ჰოლ) | ექსელსიორი (ჰოლ) | ფეიენოორდი (ჰოლ) | თავ. აგენტი |
| 25 მაისი | მეჰდი აბეიდი (საფ) | ლანსი (საფ) | ნიუკასლი (ინგ) | უცნობია |
| 26 მაისი | მეჰდი ლასენი (ალჟ) | რასინგი (ესპ) | ხეტაფე (ესპ) | თავ. აგენტი |
| 26 მაისი | რეტო ციგლერი (შვე) | სამპდორია (იტა) | იუვენტუსი (იტა) | თავ. აგენტი |
| 26 მაისი | რენატო დირნეი (ბრა) | სევილია (ესპ) | ბოტაფოგო (ბრა) | თავ. აგენტი |
| 27 მაისი | ტიმ კლოზე (შვე) | თუნი (შვე) | ნიურნბერგი (გერ) | 0,4 მლნ |
| 27 მაისი | გაბი (ესპ) | სარაგოსა (ესპ) | ატლეტიკო (ესპ) | 3 მლნ |
| 27 მაისი | ჟოაო მირანდა (ბრა) | სან პაულუ (ბრა) | ატლეტიკო (ესპ) | თავ. აგენტი |
| 28 მაისი | ხუან როდრიგესი (ესპ) | დეპორტივო (ესპ) | ხეტაფე (ესპ) | თავ. აგენტი |
| 28 მაისი | ომარ კოსოკო (საფ) | ამიენი (საფ) | ოსერი (საფ) | თავ. აგენტი |
| 28 მაისი | ხუან მანუელ იტურბე (არგ) | პორტენო (პარ) | პორტუ (პორ) | უცნობია |
| 28 მაისი | ნუნუ კოელიო (პორ) | აკადემიკა (პორ) | ბენფიკა (პორ) | უცნობია |
| 28 მაისი | კელვინი (ბრა) | პარანა (ბრა) | პორტუ (პორ) | უცნობია |
| 29 მაისი | ნოლიტო (ესპ) | ბარსელონა ბ (ესპ) | ბენფიკა (პორ) | თავ. აგენტი |
| 30 მაისი | ივან პერიშიჩი (ხორ) | ბრიუგე (ბელ) | დორტმუნდი (გერ) | 5,5 მლნ |
| 30 მაისი | ფელიპე კაისედო (ეკვ) | მან სიტი (ინგ) | ლევანტე (ესპ) | 1 მლნ |
| 30 მაისი | რიკი ვან ვოლფსვინკელი (ჰოლ) | უტრეხტი (ჰოლ) | სპორტინგი (პორ) | 5,4 მლნ |
| 31 მაისი | მარტინ კასერესი (ურუ) | ბარსელონა (ესპ) | სევილია (ესპ) | 3 მლნ |
| 31 მაისი | მაიკლ მანსიენი (ინგ) | ჩელსი (ინგ) | ჰამბურგი (გერ) | 2 მლნ |
| 31 მაისი | დიდაკ ვილა (ესპ) | მილანი (იტა) | ესპანიოლი (ესპ) | იჯარა |
| 31 მაისი | დიდიე ზოკორა (კოტ) | სევილია (ესპ) | ტრაბზონი (თურ) | 5 მლნ |
| 1 ივნისი | რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლ) | ჰამბურგი (გერ) | მალაგა (ესპ) | თავ. აგენტი |
| 1 ივნისი | მანუელ ნოიერი (გერ) | შალკე (გერ) | ბაიერნი (გერ) | 18 მლნ |
| 1 ივნისი | რალფ ფაჰრმანი (გერ) | აინტრახტი (გერ) | შალკე (გერ) | თავ. აგენტი |
| 1 ივნისი | რაფინია (ბრა) | ჯენოა (იტა) | ბაიერნი (გერ) | 7 მლნ |
| 2 ივნისი | ბენუა პედრეტი (საფ) | ოსერი (საფ) | ლილი (საფ) | უცნობია |
| 2 ივნისი | ოგნიენ კორომანი (სერ) | ცრვენა (სერ) | კრილია (რუს) | უცნობია |
| 2 ივნისი | ალექსი (ბრა) | სპარტაკი (რუს) | კორინთიანსი (ბრა) | უცნობია |
| 2 ივნისი | დიმიტარ მაკრიევი (ბულ) | აშდოდი (ისრ) | კრილია (რუს) | უცნობია |
| 2 ივნისი | სესარ სანჩესი (ესპ) | ვალენსია (ესპ) | ვილიარეალი (ესპ) | თავ. აგენტი |
| 3 ივნისი | კამელ მერიემი (საფ) | არლი (საფ) | ნიცა (საფ) | თავ. აგენტი |
| 3 ივნისი | კოკე (ესპ) | რაიო ვალეკანო (ესპ) | სევილია (ესპ) | 1,7 მლნ |
| 3 ივნისი | დანიელ პარეხო (ესპ) | ხეტაფე (ესპ) | ვალენსია (ესპ) | 5 მლნ |
| 3 ივნისი | მარკუს ფოილნერი (გერ) | ნიურნბერგი (გერ) | დორტმუნდი (გერ) | 0,2 მლნ |
| 3 ივნისი | ბრედ ფრიდელი (აშშ) | ასტონ ვილა (ინგ) | ტოტენჰემი (ინგ) | თავ. აგენტი |
| 3 ივნისი | ესტებან ანდრადა (არგ) | ლანუსი (არგ) | ბარსელონა ბ (ესპ) | 4 მლნ |
| 4 ივნისი | ფაბიან შიონჰეიმი (გერ) | ვეენი (გერ) | მაინცი (გერ) | 0,4 მლნ |
| 6 ივნისი | მიგელ მოია (ესპ) | ვალენსია (ესპ) | ხეტაფე (ესპ) | იჯარა |
| 6 ივნისი | კრისტიან ფუქსი (ავს) | მაინცი (გერ) | შალკე (გერ) | 3,8 მლნ |
| 7 ივნისი | დენი გრემი (ინგ) | უოტფორდი (ინგ) | სუონსი (ინგ) | 4 მლნ |
| 7 ივნისი | ჯერი ვანდამი (საფ) | ლილი (საფ) | შატორუ (საფ) | იჯარა |
| 7 ივნისი | მარეკ მინტალი (სლო) | ნიურნბერგი (გერ) | ჰანზა (გერ) | უცნობია |
| 8 ივნისი | კარლ ჯენკინსონი (ინგ) | ჩარლტონი (ინგ) | არსენალი (ინგ) | უცნობია |
| 8 ივნისი | დანიელ გაცი (გერ) | ნიურნბერგი (გერ) | ფრაიბურგი (გერ) | თავ. აგენტი |
| 8 ივნისი | ეროს პიზანო (იტა) | ვარეზე (იტა) | პალერმო (იტა) | 1,5 მლნ |
| 8 ივნისი | ადამ შიმონი (უნგ) | ჰალადაში (უნგ) | პალერმო (იტა) | 0,7 მლნ |
| 8 ივნისი | მარკო ჰიოგერი (გერ) | ალემანია (გერ) | შალკე (გერ) | 1,5 მლნ |
| 9 ივნისი | მორგან ამალფიტანო (საფ) | ლორიანი (საფ) | მარსელი (საფ) | თავ. აგენტი |
| 9 ივნისი | ჟულიენ ფერე (საფ) | ნანსი (საფ) | რენი (საფ) | 4 მლნ |
| 9 ივნისი | ჰენრი ბედიმო (კამ) | ლანსი (საფ) | მონპელიე (საფ) | 2 მლნ |
| 9 ივნისი | აჰმედ ელმოჰამედი (ეგვ) | ენპპი (ეგვ) | სანდერლენდი (ინგ) | უცნობია |
| 9 ივნისი | მიროსლავ კლოზე (გერ) | ბაიერნი (გერ) | ლაციო (იტა) | უცნობია |
| 9 ივნისი | ჯორდან ჰენდერსონი (ინგ) | სანდერლენდი (ინგ) | ლივერპული (ინგ) | 18,5 მლნ |
| 10 ივნისი | ნაჩო მონრეალი (ესპ) | ოსასუნა (ესპ) | მალაგა (ესპ) | 6 მლნ |
| 10 ივნისი | ულრიხ რამე (საფ) | ბორდო (საფ) | სედანი (საფ) | თავ. აგენტი |
| 10 ივნისი | ოსკარ ვენდტი (შვედეთი) | კოპენჰაგენი (დან) | მიონხენგლადბახი (გერ) | თავ. აგენტი |
| 11 ივნისი | ნიკოლა დუშეზი (საფ) | რენი (საფ) | პსჟ (საფ) | თავ. აგენტი |
| 11 ივნისი | დავიდ ოდონკორი (გერ) | ბეტისი (ესპ) | კარლსრუე (გერ) | თავ. აგენტი |
| 11 ივნისი | ანდრე კარილო (პერ) | ალიანსა (პერ) | სპორტინგი (პორ) | 1,3 მლნ |
| 12 ივნისი | კევინ გამეირო (საფ) | ლორიანი (საფ) | პსჟ (საფ) | 11 მლნ |
| 12 ივნისი | ბალაჟ ჯუჯაკი (უნგ) | პსვ (ჰოლ) | ანჟი (რუს) | უცნობია |
| 13 ივნისი | რონი როდელინი (საფ) | ნანტი (საფ) | ლილი (საფ) | 1,5 მლნ |
| 13 ივნისი | ტრისტან დო (საფ) | სტრასბური (საფ) | ლორიანი (საფ) | თავ. აგენტი |
| 13 ივნისი | დერეკ ბოატენგი (გან) | ხეტაფე (ესპ) | დნიპრო (უკრ) | 6 მლნ |
| 13 ივნისი | ფლორიან ფრომლოვიცი (გერ) | ჰანოვერი (გერ) | დუისბურგი (გერ) | თავ. აგენტი |
| 13 ივნისი | ფილ ჯონსი (ინგ) | ბლექბერნი (ინგ) | მანჩესტერი (ინგ) | უცნობია |
| 13 ივნისი | ფრანჩესკო ტავანო (იტა) | ლივორნო (იტა) | ემპოლი (იტა) | უცნობია |
| 14 ივნისი | ბენუა კოსტილი (საფ) | სედანი (საფ) | რენი (საფ) | თავ. აგენტი |
| 14 ივნისი | ფრანტიშეკ კუბიკი (სლო) | ტრენჩინი (სლო) | კუბანი (რუს) | უცნობია |
| 15 ივნისი | ივან მარკანო (ესპ) | ვილიარეალი (ესპ) | ოლიმპიაკოსი (საბ) | იჯარა |
| 15 ივნისი | ალი ქარიმი (ირა) | შალკე (გერ) | პერსეპოლისი (ირა) | თავ. აგენტი |
| 16 ივნისი | იორის მატეისენი (ჰოლ) | ჰამბურგი (გერ) | მალაგა (ესპ) | 1 მლნ |
| 16 ივნისი | ხავიერ ფარინოსი (ესპ) | ერკულესი (ესპ) | ლევანტე (ესპ) | თავ. აგენტი |
| 16 ივნისი | მარვინ ზეეგელაარი (ჰოლ) | აიაქსი (ჰოლ) | ესპანიოლი (ესპ) | თავ. აგენტი |
| 16 ივნისი | ბებე (პორ) | მან. იუნაიტედი (ინგ) | ბეშიქთაში (თურ) | იჯარა |
| 16 ივნისი | კევინ ნოლანი (ინგ) | ნიუკასლი (ინგ) | ვესტ ჰემი (ინგ) | უცნობია |
| 16 ივნისი | დომაგოი ვიდა (ხორ) | ლევერკუზენი (გერ) | დინამო ზ. (ხორ) | უცნობია |
| 16 ივნისი | ვილიამ კვისტი (დან) | კოპენჰაგენი (დან) | შტუტგარტი (გერ) | უცნობია |
| 16 ივნისი | მიკელე პაციენცა (იტა) | ნაპოლი (იტა) | იუვენტუსი (იტა) | თავ. აგენტი |
| 16 ივნისი | სენად ლულიჩი (ბოს) | იანგ ბოისი (შვე) | ლაციო (იტა) | 3 მლნ |
| 16 ივნისი | მატეუშ კლიხი (პოლ) | კრაკოვია (პოლ) | ვოლფსბურგი (გერ) | 1,5 მლნ |
| 16 ივნისი | რუდი ადადი (საფ) | შატორუ (საფ) | ოსერი (საფ) | უცნობია |
| 16 ივნისი | აიმენ აბდენური (ტუნ) | ეტუალი (ტუნ) | ტულუზი (საფ) | 0,4 მლნ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანელი იტალიაში

# მირო და რომი, თავგადასავალი იწყება

## კლოზე იტალიური ორომტრიალისთვის მზადაა

**იტალიური** თავგადასავალი იწყება: გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი მიროსლავ კლოზე მომავალი სეზონიდან რომის „ლაციოს" ღირსებას დაიცავს. ბოლო ათწლეულის საუკეთესო გერმანელმა ფორვარდმა საკმაოდ გვიან, 33 წლის ასაკში გარისკა გერმანიის დატოვება, რასაც ექსპერტების საკმაოდ დიდი ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ თვითონ მირო ამბობს, რომ რომაული თავგადასავლებისთვის მზადაა.

„ლაციოსთან" ერთად, კლოზეს ხელში ჩასაგდებად „ვალენსია", „ვილიარეალი", „ტოტენჰემი" და „გალათასარაი" იბრძოდნენ, გერმანელი ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ ამ კამპანიიდან რომის „ლაციო" საუკეთესო არჩევანი არ იყო, რასაც კლოზე არ ეთანხმება. მირო ფიქრობს, რომ „ლაციოში" გადასვლით აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი გადადგა.

*„რომში გულშემატკივრებმა გრანდიოზული დახვედრა მომიწყვეს. ვიცოდი, რომ „ლაციოს" შესანიშნავი ფანები ჰყავდა, მაგრამ ასეთ დახვედრას, ასეთ სითბოს ნამდვილად არ ველოდი. ახლა კი ისღა დამრჩენია, იმედი ვიქონიო, რომ ამ გუნდის ფორმას ღირსეულად ვატარებ, შეუცვლელი ფიგურა გავხდები და ჩემი გოლები რომაულ კლუბს დასახულ მიზნებს მიაღწევინებს. ჩამოვედი თუ არა, პირველივე დღეს დავრწმუნდი, რომ „ლაციო" დამშეული გუნდია და რაკი მეც ასეთ მდგომარეობაში ვარ, გადაწყვეტილებაში, რომელიც დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივიღე, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ,"* - აცხადებს კლოზე „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

### აუფ ვიდერზეენ ბუნდესლიგა

მირომ „ლაციოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგა 307 მატჩისა და 121 გოლის შემდეგ დატოვა. მირო პირდაპირ ამბობს, „ლაციო" არ არის სუპერკლუბი, *„ლაციალესთვის" ჩემპიონთა ლიგაც კი სანატრელია, მაგრამ რომი იმდენად გენიალური ქალაქია, რომ ყველაფრის გათვალისწინებით, ამ წინადადებაზე უარის თქმა არ შემეძლოო. „მინდა, რომ „ლაციოსთან" ერთად მაქსიმალურად კარგ მიზნებს მივაღწიო და ამისათვის თავს არ დავზოგავ,"* - ამბობს კლოზე.

„კიკერის" ჟურნალისტმა მიროს ერთი „ჩამჭრელი კითხვაც" დაუსვა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს გერმანიის ნაკრების გამოცდილი გოლეადორი იმაზე, რომ „ლაციო" ყურადღების ცენტრში ბოლო დროს მხოლოდ ნეგატიური ამბებით ექცევა – მაგალითად, ამ კლუბის ქომაგების რასისტული განწყობით. კლოზეს პასუხი: *„მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „ლაციოს" შესახებ მომავალ სეზონში მხოლოდ დადებითი სტატიები დაიწეროს."*

რომაული კლუბი მომავალ სეზონში ევროპის ლიგაში ითამაშებს, რაც კლოზესთვის ნამდვილად არ არის საოცნებო ამბავი – მირო ხომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშსაა მიჩვეული, მაგრამ ხსენებულ ინტერვიუში ამბობს, ჩვენი მიზანი სიტუაციის გამოსწორებაა, ამ სეზონში „ლაციოს" ჩემპიონთა ლიგამდე ძალიან ცოტა დააკლდა და იმედია, გაისად ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის საგზურს მოვიპოვებთო.

ევროპის ლიგაში კი კლოზემ ბოლოს 2007 წელს, მიუნხენის „ბაიერნთან" ერთად იასპარეზა და სხვათა შორის, როცა „ვერდერიდან" რეკორდმაისტერში გადავიდა, პირველივე სეზონი ევროპის ლიგაში გაატარა. იმ სეზონში „ბაიერნმა" მეორეხარისხოვანი ევროტურნირის ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც ყველასათვის მოულოდნელად, სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან" განადგურდა (1:1, 0:4).

*„იმედი მაქვს, რომ 2011/2012 წლების სეზონში ევროპის ლიგა საინტერესო და დაძაბული ტურნირი იქნება,"* - აცხადებს კლოზე. გამორიცხული არც ისაა, რომ მომავალ სეზონში კლოზე „ლაციოსთან" ერთად, ევროპის ლიგაში „ბაიერნს" გადაეყაროს – ამის შანსი ახლა მიზერულია, თუმცა თუ ბავარიელები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ გადალახავენ, შანსი გაიზრდება. თუმცა კლოზე თავის ყოფილ კლუბს, სადაც კმაყოფილი არ იყო, ასეთ წარუმატებლობას არ უსურვებს.

*„მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნში" თავს იდეალურად არ ვგრძნობდი, მიმაჩნია, რომ რეკორდმაისტერში გატარებული წლები პოზიტიური იყო. ახლა უბრალოდ კარიერის სხვაგან გაგრძელება გადავწყვიტე. მიუნხენში კი მხოლოდ ბოლო წელიწად-ნახევრით ვიყავი უკმაყოფილო, მას მერე, რაც გუნდს ლუის ვან გაალი წვრთნიდა,"* - ამბობს კლოზე.




მიროსლავ კლოზეს ლაციოში დიდი გეგმები აქვს

ჰოლანდიელი სპეციალისტის ხელში, გასულ სეზონში მან მხოლოდ 20 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ერთადერთი გოლის გატანა შეძლო, „ლაციოში" კი ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აძლევენ. და დღეს მიროს ყველაზე მეტად სწორედ სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რადგან წინ ევროპის ჩემპიონატია და ძალიან უნდა, რომ გერმანიის ნაკრების სასტარტოში ადგილი არ დაკარგოს.

### კონკურენცია გომესთან

„ბაიერნში" კლოზეს სასტარტო შემადგენლობაში ადგილი **მარიო გომესმა** წაართვა, რომელმაც გასულ სეზონში 28 გოლის გატანა შეძლო და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. შესაბამისად, კლოზეს გერმანიის ნაკრების ძირითადშიც ემუქრება ადგილის დაკარგვის საფრთხე. კლოზეს ტრავმამ გომესს მისცა იმის საშუალება, რომ ბუნდესგუნდში რეგულარულად ეთამაშა და ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. დღესდღეობით გომესი მიროზე უკეთეს ფორმაშია და თუ მომავალ სეზონში მირო „ლაციოსთვის" ბევრ გოლს არ გაიტანს, დიდი შანსია, რომ გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** ევროპის ჩემპიონატზე კლოზე სათადარიგოთა სკამზე დასვას. არადა, მიროს ბუნდესგუნდის 109 მატჩში 61 გოლი აქვს გატანილი...



ბრემენის ვერდერი მძიმე მდგომარეობაშია

● ვერდერი

# UNDER CONSTRUCTION

## ბრემენში დიდი რეორგანიზაცია გარდაუვალია

**ბრემენის „ვერდერი" წლების მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო გერმანული კლუბი იყო, მუდმივად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა და ცოტა ხნის წინ „ბაიერნის" ნომერ პირველ კონკურენტად იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ აგერ უკვე სამი წელია, რაც „მუსიკოსებში" მონასტერი აირია და დღეს „ვერდერის" მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშაა. არა, გუნდს გაკოტრების ან რაიმე მსგავსი კატასტროფის საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ არც ისაა მცირე პრობლემა, რომ ბრემენში არავინ იცის, რისთვის იბრძოლებს ან სულაც რისთვის უნდა იბრძოლოს გუნდმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ყველაფერი აწყობილ-დალაგებული ჰქონდა.**

კრიზისი და გაურკვეველი სიტუაცია პირველ რიგში არასწორმა სატრანსფერო პოლიტიკამ გამოიწვია. არადა, „ვერდერის" მთავარი შეფი **კლაუს ალოფსი** სწორედ იდეალური ყნოსვით გამოირჩეოდა. ბრემენულ კლუბს თითქმის ყოველი სეზონის შემდეგ ტოვებდნენ ლიდერები, მაგრამ ალოფსი მათი ღირსეული შემცვლელების პოვნას ახერხებდა. ახლა კი, უკვე ორი წელია, რაც ალოფსის ტრანსფერები ველარ ამართლებს. სწორედ ამიტომ, რესურსი კიდევ უფრო შემცირდა და ასე განსაჯეთ, დღეს „ვერდერში" მეორეხარისხოვანზე მეორეხარისხოვანი ფეხბურთელის, ექსშალკელი **ლუკას შმიტცის** ტრანსფერითაც კი უაღრესად კმაყოფილები არიან – თანაც, ტრანსფერი ჯერ კიდევ არ არის ასი პროცენტით გადაწყვეტილი: ბრემენელები ახალგაზრდა ფეხბურთელს ყველაფერზე შეუთანხმდნენ და ახლა „შალკეს" სატრანსფერო თანხაზე ევაჭრებიან.

შმიტცის ტრანსფერით ბრემენული კლუბი პირველ სერიოზულ პრობლემას გადაჭრის – იყიდის პერსპექტიულ მარცხენა მცველს, რომელმაც დაცვის მარცხენა ფრთაზე **მიკაელ სილვესტრი** უნდა შეცვალოს. მარცხენა მცველის ძებნა კი „ვერდერში" უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა. ამ პრობლემის გადაჭრის შემდეგ კი, ალოფსი და გუნდის მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** სხვა უფრო სერიოზულ სირთულეს უნდა შეეჭიდონ: „ვერდერს" დაცვის ცენტრშიც სერიოზული პრობლემები აქვს.

### ნალდოს კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშაა

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბრემენელებს ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და კარგი ცენტრალური მცველები ჰყავდათ: ბრაზილიელი **ნალდო** და გერმანიის ნაკრების წევრი **პერ მერტეზაკერი**. მართალია, ბრემენიდან არცერთი არ წასულა და სხვაგან გადასვლას არც აპირებენ, მაგრამ ორივეს სერიოზული ტრავმა აქვს. განსაკუთრებით მძიმე ნალდოს შემთხვევაა, რომელმაც არ იცის, როდის დაბრუნდება მოედანზე და მეტიც: დაბრუნდება თუ არა საერთოდ. მას მერე, რაც ნალდომ უკანასკნელად ითამაშა, უკვე წელიწადია გასული და მის შესახებ ხან პოზიტიური ინფორმაცია ვრცელდება, ხანაც უკიდურესად ნეგატიური. ერთი რამ კი ფაქტია: შააფი ახლო მომავალს ნალდოსთან ერთად ვერ დაგეგმავს და მას ახალი, მაღალი დონის ცენტრალური უკანახაზელი სჭირდება. სასწაული რომც მოხდეს და ნალდო მალე გამოჯანმრთელდეს, ფორმის აღდგენისთვის ძალიან დიდი დრო დასჭირდება.

### პრიოდლი და მერტეზაკერიც ლაზარეთში

გასულ სეზონში ნალდოს უმეტესად ავსტრიელი **სებასტიან პრიოდლი** ცვლიდა, მაგრამ ახლა ეს უკანასკნელიც ლაზარეთშია – მარტში ოპერაცია გაიკეთა. და რაკი მერტეზაკერსაც საკმაოდ რთული ტრავმა აქვს, შააფი და ალოფსი საგონებელში არიან.

**პეტრი პასანენს** ბრემენიდან წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა და დაცვაში სერიოზული პრობლემების წარმოშობის შემდეგ, ალოფსმა მას „ვერდერში" დარჩენა შესთავაზა, მაგრამ მცველმა უარი შეუთვალა – ფინელი კარიერას ზალცბურგის „რედ ბულში" გააგრძელებს. „ვერდერს" დაცვაში ახალგაზრდა **დომინიკ შმიდტიც** ჰყავს, რომელიც მეოთხეხარისხოვანი ალტერნატივაა, მაგრამ მისი კონტრაქტის საკითხიც არაა მოგვარებული.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ „ვერდერი" საკმაოდ რთულ ფინანსურ მდგომარეობაშია. ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენამ ბრემენულ კლუბს უკვე მიაყენა სერიოზული ზარალი, ამასთან, „ვერდერმა" ევროპის ლიგის საგზურიც კი ვერ მოიპოვა და სეზონის ბოლომდე მხოლოდ გადარჩენისთვის იბრძოდა. „ვეზერშტადიონის" რეკონსტრუქციაც მოსალოდნელზე ძვირი დაჯდა და ერთი სიტყვით, ყველა „ბედნიერებასთან" ერთად, ალოფსს ახალი ფეხბურთელების საყიდლად ფული არ აქვს! ზედმეტი რისკი კი ამ შემთხვევაში გაკოტრების საფრთხის წინაშე დადგომის შანსს გაზრდის, რაც ბრემენში არავის სურს. ალოფსი ამიტომაც ამბობს, გუნდში დიდი რეორგანიზაციის დრო მოვიდაო, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვერდერი" ყველაფერს ნულიდან იწყებს.

ისევე როგორც „შტუტგარტსა" და „ჰამბურგში", „ვერდერშიც" იძულებულები არიან, რომ სახელფასო ფონდის შემცირებაზე იფიქრონ. საქმე იმაშია, რომ ბრემენში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრ მოთამაშეს აქვს იმ დროს გაფორმებული ხელშეკრულებები, როცა „მუსიკოსები" რეგულარულად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდნენ და შემოსავალი არ აკლდათ. და ეს მოთამაშეები საკმაოდ მაღალ ხელფასებს იღებენ. ახლა კი, უეფადან შემოსავლის გარანტია აღარ არსებობს, კონტრაქტების ვადა კი ჯერ არ ამოწურულა.

### ექიჩის იმედისმომცემი ტრანსფერი

ერთადერთი ტრანსფერი, რომელიც „ვერდერის" ბოსებსა და ქომაგებს იმედს აძლევს, ძველ დროს ახსენებს, **მეჰმეთ ექიჩის** ტრანსფერია: მისი სახით „მუსიკოსებმა" ახალგაზრდა და ნიჭიერი მოთამაშე დაიბევეს. ექიჩმა „ვერდერში" ის სიცარიელე უნდა ამოავსოს, რომელიც გუნდში **მესუთ იოზილის** „რეალში" გადასვლის შემდეგ, ერთი წლის წინ გაჩნდა. **ტორსტენ ფრინგსმა** კარიერა დაასრულა და მას „ვერდერში" **ალექსანდარ იგნიოვსკი** შეცვლის, რომელიც გაცილებით იაფი და დაბალანაზღაურებადი ფეხბურთელია, თუმცა დიდია რისკი, რომ ბუნდესლიგაში იმედები ვერ გაამართლოს.

რაც შეეხება ყველაზე პრობლემატურ დაცვის ცენტრს (ზოგადად, „ვერდერს" არც ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ულხინს), ბრემენელებს ჯერ კიდევ აქვთ იმის იმედი, რომ მილანელ **პაპასტატოპულოსს** გადაიბირებენ. „როსონერის" ბერძენი მცველი არ სჭირდება, ამ უკანასკნელს კი „ჯენოაში" დარჩენა არ სურს.

● ამბები

### პატარა ვასტიჩი ბაიერნში

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მიუნხენის „ბაიერნი" „ბლექბერნის" ახალგაზრდა თავდამსხმელ **ტონი ვასტიჩს** გადაიბირებს, რომელიც ყოფილი ცნობილი ფეხბურთელის, **ივიცა ვასტიჩის** შვილია. 18 წლის ფორვარდის აგენტი **საშა ემპახერი** ამბობს, ტრანსფერი გადაწყვეტილია და გარიგებას ხელს ვერაფერი შეუშლისო. რეკორდმაისტერში ვასტიჩი თავიდან მეორე გუნდში ითამაშებს და რეგიონალლიგაში იასპარეზებს. მის დახასიათებაში ვკითხულობთ, რომ ტონი ტიპური ცენტრფორვარდია, რომელიც ბევრს შრომობს და ბურთის ფლობა ეხერხება.

### დაბრუნდება ბონსე ბუნდესლიგაში?

ერთი წლის წინ „მაინცის" თავდამსხმელი **არისტიდ ბონსე**, რომელიც გერმანიის ჩემპიონატში საკმაოდ კარგად თამაშობდა, დუბაიში გადავიდა და „ალ აჰლიში" გააგრძელა კარიერა. ახლა კი, ბურკინაფასოელი ფორვარდი ისევ ბუნდესლიგაში დაბრუნებას გეგმავს. „მაინცში" დაბრუნება გამორიცხულია – კარნავალელთა მენეჯერმა **კრისტიან ჰაიდელმა** განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელს ვეძებთ, ბონსე არ გვაინტერესებსო.

სამაგიეროდ, ამ ფეხბურთელით „კაიზერსლაუტერნია" დაინტერესებული. „წითელი ეშმაკები" თელ ავივის „ჰაპოელის" ფორვარდ **იტალი შეხტერს** უმიზნებენ და მოლაპარაკებებსაც აწარმოებენ, თუმცა უშედეგოდ. თუკი შეხტერის ტრანსფერის არ შედგება (ეს უკანასკნელი „ჰანოვერსაც" სურს), „კაიზერსლაუტერნისთვის" ბონსეს საკითხი აქტუალური გახდება.

### რა ეშველება ასამოას?

წლების მანძილზე „შალკეს" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და გუნდის სავიზიტო ბარათი **ჯერალდ ასამოა** დღეს გელზენკირხენული კლუბის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური მოთამაშეა. გასული სეზონი ასამ „ზანკტ პაულიში" არენდის წესით გაატარა და მას მერე, რაც კიცელები მეორე ბუნდესლიგაში გავარდნენ, ჯერალდი ისევ შალკელია. თუმცა გელზენკირხენელთა მთავარ მწვრთნელ **რალფ რანგნიკს** ასამოა არაფერში სჭირდება და ცდილობს, კიდევ გაანათხოვროს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ასამოათი რამდენიმე თურქული და ინგლისური კლუბია დაინტერესებული.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# პაციენცას ოცნება აუხდა

ტურინის "იუვენტუსმა" თავისუფალი აგენტის სტატუსით კიდევ ერთი მაღალკვალიფიციური ფეხბურთელი, **მიკელე პაციენცა** გადაიბირა, რომელმაც გასული სეზონი "ნაპოლიში" გაატარა და თავისი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში. 28 წლის ნახევარმცველი რთული არჩევანის წინაშე იდგა: დარჩენილიყო გუნდში, რომლის შემადგენლობაშიც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, თუ გადასულიყო "იუვენტუსში", ევროპული ფეხბურთის გრანდში. მართალია, ბოლო წლებში "ვეკია სენიორა" წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო და ალბათ "იუვეც" დაადგება ალმავლობის გზას – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "ბინკონერი" ყველაზე ტიტულოვანი იტალიური გუნდია. პაციენცამ პირველი კომენტარი გააკეთა „იუვენტუსის" ფეხბურთელის რანგში და შემდეგი განაცხადა:

"რთული არჩევანის წინაშე ვიდექი და ბევრი ფიქრის შემდეგ "იუვენტუსში" გადასვლა ვამჯობინე. "ნაპოლისთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივა მხიბლავდა, მაგრამ მეორე მხრივ, შეიძლება მეორეჯერ აღარც მოგეცეს ისეთ დიდ გუნდში გადასვლის შესაძლებლობა, როგორიც "იუვენტუსია". თანაც, "ბიანკონერის" ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ და ჩემი ოცნება სწორედ ტურინული გრანდის ღირსების დაცვა იყო. ვფიქრობ, რომ "იუვენტუსში" თავის დამკვიდრებას შევძლებ და საკუთარ შესაძლებლობებს კიდევ უფრო უკეთ წარმოვაჩენ. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტურნირზე სწორედ "ვეკია სენიორას" შემადგენლობაში ვიასპარეზებ. იმედია, "ნაპოლის" გულშემატკივრები არ მიწყენენ, "იუვე" ჩემი ბავშვობის ოცნებაა, რომელიც ავისრულე".


პაციენცა და მარკიზიო უკვე თანაგუნდელები არიან

ახალი ტრანსფერით ძალიან კმაყოფილია "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი **ანტონიო კონტე** და შემდეგს აცხადებს: "ნახევარდაცვა გაძლიერებას საჭიროებს და პაციენცას გადაბირება აქეთკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია. მიკელეს კარგად ვიცნობ, ფლანგზეც შეუძლია თამაში და ცენტრშიც, რასაც პირადად მე განსაკუთრებულად ვაფასებ. ამიტომ, როდესაც მიკელეს გადაბირების შანსი მოგვეცა, ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვართ, ისე მივიყვანეთ საქმე ბოლომდე. დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენს და გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი გახდება".

სამპდორია

# პალომბომ გადაწყვეტილება მიიღო

სერია A-ს 2010/2011 წლების სეზონის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მომენტი "სამპდორიას" სერია B-ში დაქვეითება და **ანჯელო პალომბოს** ცრემლები გახლდათ. გენუელთა კაპიტანმა "სტადიო მარასის" ოთხივე ტრიბუნასთან მიირბინა და გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა. ამ კადრებმა პალომბოს პოპულარობა მნიშვნელოვნად გაზარდა, გუნდის ტიფოზებმა კი კაპიტანი კიდევ უფრო მეტად შეიყვარეს. გამომდინარე იქიდან, რომ "სამპა" ელიტარულ დივიზიონს დაემშვიდობა, პალომბოს არაერთი მსურველი გამოუჩნდა, რომელთა შორის ყველაზე მეტად მაინც "ფიორენტინას" მესვეურები აქტიურობდნენ. ფლორენციული გუნდის პრეზიდენტმა **ანდრეა დელა ვალემ** გენუელ კოლეგას ანჯელოს სანაცვლოდ რვა მილიონი ევრო შესთავაზა, ფეხბურთელს კი საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი. პალომბო რთული არჩევანის წინაშე დადგა, ერთ მხარეს "სამპდორია" და ამ გუნდის ერთგულება და მეორე მხარეს, სერია A და "ფიორენტინა". ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პალომბო იტალიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია და "სამპდორიაში" დარჩენით შესაძლოა "აძურაშიც" მოიჭრას გზა. თუ რა გადაწყვეტილება მიიღო ანჯელომ, ამას თვითონ უკეთესად იტყვის:

"კარგა ხანს ვიფიქრე, რადგან სასწორზე ძალიან ბევრი რამ იდო. 29 წლის ვარ და ჩემთვის თითოეულ სეზონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამასთან, ეროვნული ნაკრების კანდიდატი ვარ და ჩემი ოცნებაა, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ღირსება დავიცვა. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე, რომ "სამპდორიაში" დავრჩე და გუნდს სერია A-ში დასაბრუნებლად დავეხმარო. არ მაქვს უფლება, ასეთ რთულ პერიოდში დავტოვო გუნდი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მომცა. რასაც დღეს წარმოვადგენ, "სამპდორიას" დამსახურებაა და გამომდინარე აქედან, მე გენუაში ვრჩები".


ანჯელო პალომბო

ინტერი

# მორატიმ მიხაილოვიჩი გამორიცხა

**მასიმო მორატი** ახალი მწვრთნელის ძიებაშია და როგორც თავად აცხადებს, რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს. ყველაზე აქტუალური **მარსელო ბიელსას** ვარიანტი იყო, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არგენტინელმა მილანური გრანდის მეპატრონე უარით გაისტუმრა. "კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, მორატის სიაში **სინიშა მიხაილოვიჩიც** გახლავთ, რომლის ბედი ადრეც არაერთხელ დაუკავშირეს "ინტერს". თუმცა, თავად მორატი ამ ინფორმაციას უარყოფს:


მასიმო მორატი

"მიხაილოვიჩი? – სინიშას დიდ პატივს ვცემ და მის კანდიდატურას მართლა განვიხილავდი ჟოზე მოურინიოს წასვლის შემდეგ, მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი გამორიცხულია. სერბი „ფიორენტინას" უდგას სათავეში, მე კი ისეთი მწვრთნელები არ მაინტერესებს, რომლებსაც კონტრაქტები აქვთ დადებული. შესაბამისად, მიხაილოვიჩის კანდიდატურა არ განიხილება და მისი "ინტერის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა გამორიცხულია".

მედიის სხვადასხვა საშუალებებით არაერთი მწვრთნელის გვარი სახელდება, რომელთა შორის ერთ-ერთი **დელიო როსი** გახლავთ. "პალერმოდან" წამოსვლის შემდეგ, დელიო უქმად არის და ახალი შეთავაზებების მოლოდინშია. მოვუსმინოთ გამოცდილ სპეციალისტს, რომელიც არ მალავს, რომ "ინტერში" მუშაობა სურს: "მეც გავიგე, რომ ერთ-ერთ კანდიდატად განვიხილები და სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა. "ინტერისთვის" უარის თქმა ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა და თუ შეთავაზება მართლა მივიღე, ყველანაირი ფიქრის გარეშე დავთანხმდები. ხშირად ხდება, როდესაც მწვრთნელები თავს იფასებენ და სურვილებს მალავენ, მე კი ღიად ვაცხადებ, რომ "ინტერის" გაწვრთნა ძალიან მინდა. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს პერიოდში გამოჩნდება".

ტრანსფერი


სტეფან ელ შაარავი

# ელ შაარავი მილანელია

## 20 მილიონი თინეიჯერის სანაცვლოდ

იტალიურმა სპორტულმა პრესამ მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც "მილანმა" 18 წლის ფეხბურთელი, **სტეფან ელ შაარავი** 20 მილიონ ევროდ გადაიბირა. ბევრისთვის უცნობია ამ ფეხბურთელის გვარი და შესაბამისად, გააკვირვებს კიდეც მასში ამხელა თანხის გადახდის ამბავი. მაგრამ, ვინც იტალიურ ფეხბურთში კარგად არის ჩახედული, ეცოდინება, რომ სტეფანი ყველაზე იმედისმომცემ იტალიელ ფეხბურთელად ითვლება და მასზე კალჩოს გრანდებს ნადირობა ჰქონდათ გამოცხადებული. ელ შაარავი არაბული წარმოშობის იტალიელი გახლავთ, რომელმაც პრაქტიკულად ყველა ასაკობრივ ნაკრებში ითამაშა და ყველგან ლიდერი გახლდათ – ის ტიპიური გამთამაშებელია, 10 ნომერი, შესანიშნავი დრიბლინგით, მოედნის ხედვით და შესაბამისად, უზუსტესი გადაცემებით. ელ შაარავი "ჯენოას" საკუთრება გახლდათ, თუმცა გასული სეზონი იჯარის წესით "პადოვაში" გაატარა – ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში და ლომის წილი დაიდო იმაში, რომ მოკრძალებულმა გუნდმა სერია A-ში გადასასვლელი პლეიოფები ითამაშა. სტეფანის გაყიდვა "ჯენოას" პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმ** უკვე დაადასტურა:

"ვიცი, რომ გულშემატკივრები იმედგაცრუებულნი არიან, მაგრამ სხვა გამოსავალი უბრალოდ არ გვქონდა – "მილანმა" ისეთი წინადადება შემოგვთავაზა, რომელზეც უარს უბრალოდ ვერ ვიტყოდით. 10 მილიონ ევროს ამ ზაფხულსვე მივიღებთ, კიდევ ათს კი ერთი წლის შემდეგ. თანხა 25 მილიონ ევრომდე გაიზარდება თუ ელ შაარავი მასიმილიანო ალეგრის შეკრებაზე მოაწონებს თავს და უკვე მომდევნო სეზონში "როსონერიში" იასპარეზებს. იმ შემთხვევაში, თუ სტეფანს გაანათხოვრებენ, მის იჯარის წესით აყვანაზე პირველი უფლება სწორედ ჩვენ გვექნება. ასე რომ, არც ისაა გამორიცხული, გაყიდვის მიუხედავად, მომდევნო სეზონი ელ შაარავიმ "ჯენოაში" გაატაროს".

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ
განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს სასტუმრო კომფორტული ნომრებით- ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ოლიმპიური კომიტეტი

# ახალი ოლიმპიური სპონსორი



შეთანხმება ჯერ ოფიციალურად არ გაფორმებულა, მაგრამ იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ახალი სპონსორი ეყოლება - საქვეყნოდ ცნობილი ბრიტანული ნავთობკომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმი“. გუშინ კომპანიის წარმომადგენელი, „ლონდონი-2012“ საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელი **სევე კირიაკოუ** სეოკ-ს ესტუმრა, სადაც მას ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გოგლიძემ** უმასპინძლეს. შეხვედრის მთავარი მიზანი პარაოლიმპიურ თამაშებზე მონაწილე ჩვენი გუნდის დაფინანსება იყო, თუმცა არც გაისად გასამართი ჩვეულებრივი ოლიმპიადა დავიწყებიათ. სტუმართა თხოვნით, საბოლოო გარიგება დაახლოებით ორ კვირაში შედგება, თუმცა ძირეულ პრინციპებზე უკვე შეთანხმდნენ - კომპანია ორივე გუნდს დააფინანსებს, ოღონდ ჩვეულებრივი ოლიმპიადის შემთხვევაში ისინი მხოლოდ დაეხმარებიან ეკიპირების, სპორტული, ყოველდღიური, საპარადო სამოსის თუ ამგვარი სახის ხარჯების გაწევაში, პარაოლიმპიურს კი ბევრად უფრო ფართოდ დააფინანსებენ - ჩაუტარებენ შიდა შეჯიბრებებს, გააგზავნიან სალიცენზიო ტურნირებზე, აუნაზღაურებენ მგზავრობას ლონდონამდე (ეს კომპანია საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის გენერალური სპონსორია და ბილეთების ფულს ყველას უხდის). იქ, ადგილზე კი ოფიციალურ მიღებას გაუმართავენ.

გუშინდელ შეხვედრაზე ნიადაგი უფრო ხანგრძლივ შეთანხმებასაც მოუსინჯეს - სტუმრებს „თბილისი-2015“-ის სპონსორობაზე ჩამოუგდეს სიტყვა, რასაც სასიამოვნო გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა ამ თემაზე ლაპარაკი მაინც უფრო მეორე რიგის გეგმაა, პირველი კი ლონდონის პარაოლიმპიური თუ ჩვეულებრივი ოლიმპიადაა. ხელშეკრულებაც იმ თამაშებამდე იდება, მაგრამ თუ „თბილისი-2015“-ის სპონსორობასაც მიაღწიეს, თანამშრომლობა უფრო დიდხანს გაგრძელდება.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი

# ნინო სალუქვაძე გერმანიაში ისვრის



მიუნხენში გუშინ საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს თასის რიგით მეოთხე, სეზონის დასკვნითი ეტაპი ტყვიის სროლაში, რომელშიც 45 ქვეყნის 884 მსროლელი ასპარეზობს. მათ შორის მხოლოდ ორი ქართველია - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე**. ჩვენები ცეცხლის ხაზზე პირველად 19 ივნისს დადგებიან - სპორტული პისტოლეტიდან ისვრიან. პნევმატურში ქადაგიძე 21-ში, სალუქვაძე - ტურნირის ბოლო დღეს, 22 ივნისს.

ჩვენი მსროლელებისთვის ამ შეჯიბრებას წმინდა სატურნირო მნიშვნელობა აქვს - პრაქტიკას მიიღებენ, თორემ სხვა სარგებელი რაც შეიძლებოდა, სალუქვაძემ უკვე მანამდე მიიღო. მოგეხსენებათ, მან მოიგო ავსტრალიაში გამართული პირველივე ეტაპი, რითაც ლონდონის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა და შემოდგომაზე ისევ მიუნხენში გასამართი მსოფლიოს თასის სუპერფინალისაც, ეს კი მაქსიმუმია, რისი მოცემაც ამ რანგის შეჯიბრებას შეუძლია. სწორედ ამიტომ მან გამოტოვა მსოფლიოს თასის წინა ეტაპი, რომელიც ამერიკულ ფორტ ბენინგში გაიმართა. მიზეზი ხშირი გადაფრენა იყო - ოლიმპიური ჩემპიონი ჯერ ავსტრალიაში გამოვიდა, იქიდან საქართველოში დაბრუნდა და ერთ კვირაში კორეაში გაემგზავრა მსოფლიოს თასის მეორე ეტაპზე, ერთ თვეში კი ამერიკაში უწევდა გადაფრენა... ვინაიდან ავსტრალიური წარმატებით ყველაფერი მიღებული ჰქონდა, დედამიწის გარშემო ასეთ დამღლელ კრუიზს შინ დარჩენა ამჯობინა, დაზოგილი ფულით კი ახლანდელი შეჯიბრების წინ მიუნხენში გაიარა შეკრება. სამწუხაროა, რომ ფინანსური კრიზისის გამო ფედერაციამ გერმანიაში სხვა მსროლელთა გაგზავნა ვერ მოახერხა - ვერც შეკრებაზე და ვერც შეჯიბრებაზე.

მოგეხსენებათ, ლონდონის ოლიმპიადა მეშვიდე იქნება სალუქვაძის კარიერაში, რითაც რეკორდსმენია როგორც ქართული სპორტის ისტორიაში, ასევე - საერთაშორისო ტყვიის სროლაშიც. შეგახსენებთ, რომ სადღეისო მონაცემებით მისი დაწევა მხოლოდ სერბ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **იასნა სეკარიჩს** შეუძლია, თუმცა ჯერჯერობით მან საგზური ვერ მოიპოვა. არის კიდევ ერთი მსროლელი, ბერძენი **აგატა კასუომი**, რომელიც 6 თამაშებში გამოვიდა, შარშან მსოფლიოს პირველობაზეც გამოჩნდა (რომელიც ასევე მიუნხენში გაიმართა), მაგრამ ეს მისთვის პეკინის ოლიმპიადის შემდეგ პირველი შეჯიბრება იყო და არც იმის შემდეგ გამოჩენილა სადმე. თუმცა ბერძენთა არც ისე ძლიერმა გუნდმა პირველი ლიცენზია მაინც მოიპოვა - ფორტ ბენინგში **ათინა დუკამ** პნევმატური იარაღიდან სროლაში დაისაკუთრა. მის გარდა ამ სახეობაში ამერიკაში ლიცენზიები ფრანგმა ევროპის ჩემპიონმა **სელინ გობერვილმა** და ინდოელმა **ანი რაი სინგჰმაც** მოიპოვეს. ამერიკაში სიურპრიზი შემოგვთავაზეს ინდოელებმა - სინგჰი ხომ მეორე იყო, სპორტული პისტოლეტიდან სროლაში **რაჰი სარნობატი** მესამეზე გავიდა და იმანაც ასევე მოიპოვა საგზური, რასაც ერთი იქაურმა ვაჟებმა დაუმატეს და ინდოეთში სამი ლიცენზიით დაბრუნდნენ. თუმცა აზიელთა სასაგზურე ჩამონათვალი ამით არ დასრულებულა - ქალთა შორის სპორტული პისტოლეტით ასპარეზობაში მონღოლი ოლიმპიური პრიზიორი **გუნდეგმაა ოტრიადი** მესამე იყო და ისიც შეუერთდა ლიცენზირებულთა სიას.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ჭაბუკთა ევროპის პირველობა

# ვაზაგაშვილის პირველი ოფიციალური




24-26 ივნისს მალტის ქალაქ კოტონერაში ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრების თავკაცმა **გიორგი ვაზაგაშვილმა** იქ წასაყვანი შემადგენლობა გუშინ, დუშეთში გამართული საკონტროლო შეხვედრების შემდეგ დაასახელა. 50 კილოგრამი წონითი კატეგორიის გარდა, მას ყველა წონაში ორ-ორი ფალავანი მიჰყავს: **ზვიად ხუბულური** (50), **ბაჩანა ბოლქვაძე, ივანე მამისაშვილი** (55), **თამაზ კირაკოზაშვილი, ჯუმბერ ჩიხიაშვილი** (60), **გიორგი მუზაშვილი, აპოლონ ზურაბიანი** (66), **ლევან გუგავა, ბექა დონლვანი** (73), **ბექა ღვინიაშვილი, ადამ ვარაზაშვილი** (81), **შალვა ჩოჩელი, გურამ თუშიშვილი** (90), **გიორგი ლაზუაშვილი, გიგა გელაშვილი** (+90).

მწვრთნელისთვის საკმაოდ ძნელი იყო ამ შემადგენლობის შერჩევა. ჯერ ერთი, რომ თაობათა ცვლის პროცესის გამო ნაკრები მთლიანადაა გადახალისებული - შარშანდელ ლიდერთაგან გუნდში აღარავინ დარჩა. თანაც, საერთაშორისო ტურნირებმა მთელ რიგ წონებში თვით საქართველოს ჩემპიონატის შედეგებიც თავდაყირა დააყენა, არადა, ის მთავარი შესარჩევი ეტაპი იყო. ქვეყნის პირველობის შემდეგ ნაკრებმა ორ უცხოურ შეჯიბრებაში იასპარეზა - ანთალიასა და კიევში. კირაკოზაშვილმა, გუგავამ და ჩოჩელმა ორივე ტურნირი მოიგეს, მუზაშვილმა უკრაინაში იმარჯვა, ლაზუაშვილმა და ღვინიაშვილმა - თურქეთში. აღსანიშნავია, რომ გუგავას გარდა ყველა მათგანი საქართველოს ჩემპიონია. შედეგად, ნაკრებში მოსახვედრად ყველაზე დიდი ნახტომიც ქვეყნის პირველობის ბრინჯაოს მედალოსანმა გუგავამ გააკეთა. საინტერესოა, რომ მან კიევში ფინალში საქართველოს ჩემპიონი დონლვანი დაამარცხა. ამ ორი ტურნირის გარდა, ჩოჩელი საკუთარი ხარჯით პოლონეთშიც გამოვიდა და ვერცხლი მოიპოვა. ცხადია, მალტაშიც ჩვენი გუნდის უმთავრესი ფავორიტი კირაკოზაშვილი-გუგავა-ჩოჩელის სამეულია, რომლებიც აშკარად გამოირჩევიან თანატოლებში.

ვაზაგაშვილისეულ ნაკრებში ერთადერთი მოულოდნელობა ხუბულურის გამოჩენაა - ის საქართველოს ჩემპიონატზე მედალოსანი კი არა, პირველივე წრიდან გავარდა და არც უცხოეთში უასპარეზია. ამ წონაში სერიოზული საკადრო პრობლემებია - უცხოეთში ვერავინ შეძლო მედლის მოპოვება. საქართველოს ჩემპიონმა **მიხეილ კირკიტაძემ** ანთალიაში ბრინჯაოსთვის კი იჭიდავა, მაგრამ დამარცხდა, ამჯერად კი წონა ვერ დაიკლო და არაა ფორმაში. ამ წონაში მწვრთნელმა საუკეთესოს გამოსავლენად საკონტროლო შეხვედრები დანიშნა, სადაც ხუბულურმა ყველას აჯობა. მწვრთნელმაც აქცენტი იმაზე გააკეთა, მოცემულ მომენტში ვინ უკეთეს ფორმაშია და ხუბულურიც ამიტომ შეიყვანა შემადგენლობაში.

საბერძნეთიდან დაბრუნებული ვაზაგაშვილისთვის ეს პირველი ოფიციალური შეჯიბრებაა ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში. იმედია, ოფიციალურ ტურნირში მისი დებიუტი ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც - საერთაშორისო შეჯიბრებებში იყო. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა ბოლო შეკრება დუშეთში გაიარა ოლიმპიურ ბაზაზე. მწვრთნელი კმაყოფილია მოსამზადებელი პირობებითაც და სპორტსმენთა მომზადებითაც.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის პირველობაზე ჩვენმა ნაკრებმა თითო ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვა. ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლაშა ტაველური** (81) გახდა, **მიხეილ მეზურნიშვილი** (60) კი მესამეზე გავიდა.

**ირაკლი თავაძე**

**FM 107,9**

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.**

კრივი

# დაიწყეს ორი დანაკლისით



თურქეთის დედაქალაქში გუშინ დაიწყო მოკრივეთა 39-ე ევროპის ჩემპიონატი. ანკარაში საქართველოს 10 წარმომადგენელი გაემგზავრა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **რამაზ ფალიანის** ხელმძღვანელობით. სამი მათგანი გუშინვე გავიდა რინგზე და ორმა დამარცხებულმა დატოვა სარბიელი. კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** ანკარიდან გვაცნობა, რომ 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა **ჯაბა ხოსიტაშვილმა**, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში 14:13 სძლია ინგლისელ **ენტონი ოგოგოს**. ჯაბა 20 ივნისს **ზოლტან ჰარსკასა** (უნგრეთი) და **ტომაზ იაბლონსკის** (პოლონეთი) შორის გამარჯვებულს შეხვდება.

კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას პირველსავე წრეში ჩამოსცილდნენ **ავთანდილ ჭუბაბრია** (49 კგ) და **ბაკურ გოგოჭური** (64), რომლებიც, შესაბამისად, **ფერჰათ ფეხლივანისთან** (თურქეთი) და **თომას სთელკერთან** (ინგლისი) დამარცხდნენ.

ჩვენებურთაგან დღეს რინგზე გავლენ **ნიკოლოზ იზორია** (56), **ზაალ კვაჭატაძე** (69) და **ლევან გულედანი** (91). ისინი **იოზეფ ჰემის** (შოტლანდია), **მოჰამედ სდერის** (ბელგია) და **გონორ შეეჰენს** (ირლანდია) დაუპირისპირდებიან. 19 ივნისს პირველ ორთაბრძოლებს გამართავენ **გიორგი კილანავა** (52) ფრანგ **ელი კონკისთან** და **კობა ფხაკაძე** (60) შოტლანდიელ **ჯოშ ტეილორთან.** სტარტზე თავისუფლები იყვნენ და მედლებისთვის ბრძოლაში მე-2 წრიდან ჩაებმებიან **იაგო კიზირია** (81) და **მიხეილ ბახტიძე** (+91). ისინი 20 ივნისს იტალიელ **სიმენო ფიორისა** და პოლონელ **მარჩინ რეკოვსკის** გაუწევენ მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

პროფესიული კრივი

# კილაძე ქამრის დასაცავად იბრძოლებს



24 წლის ქართველი მოკრივე **იაგო კილაძე** მალე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, მსოფლიო კრივის ასოციაციის (NBA) ვერსიით კრეისერის წონაში საკონტინენტთაშორისო ქამრის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. კილაძე უკრაინის ქალაქ დონეცკში ცხოვრობს და ვარჯიშობს. ჩვენებური პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელია - 16 ორთაბრძოლიდან ყველა მოიგო, მათ შორის 11 ნოკაუტით.

იაგო კილაძემ ქამარი იანვარში მოიპოვა, როცა დონეცკის ცირკში პირველივე რაუნდში წააქცია უნგრელი **ზოლტან ცეკუში**. ახალი ბრძოლა 20 აგვისტოს ისევ დონეცკშია დაგეგმილი, თუმცა ჯერ გაურკვეველია ქართველის მეტოქის ვინაობა - კანდიდატი რამდენიმეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე** პ

ევროზასკეტი. საქართველოს ნაკრების მეტოქენი

# მბენგა მოდის!



შარშან ზაფხულში თბილისში ჩამოსულმა ბელგიის ნაკრების თავკაცმა **ედი კასტელსმა** გვითხრა - **დიდიე მბენგა** მოდისო, ალბათ ეგონა, ქართველებს შეაშინებდა. რეალურად ეს კალათბურთელი საქართველოში არ ჩამოუყვანია. მბენგა NBA-ს მოთამაშეა, 2009-10 წლების სეზონში „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ღირსებას იცავდა, ხოლო შარშან „ნიუ ორლეანში" თამაშობდა. მართალია, 30 წლის ცენტრმა შარშან საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არ ითამაშა, მაგრამ წლეულს ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად დაგვიპირისპირდება.

საქმე ისაა, რომ დიდიე მბენგა კონგოშია დაბადებული და 2004 წელს ბელგიაში ლტოლვილის სტატუსით ჩავიდა. მაშინ იგი კალათბურთს არ თამაშობდა და სწორედ ამიტომ, ამა წლის გაზაფხულზე ბელგიის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ფიბას თხოვნით მიმართა - მბენგა ნატურალიზებულ კალათბურთელად არ ჩაგვითვალოთ და ნაკრებში თამაშის ნება დართეთო. ფიბამ ეს საკითხი განიხილა და ბელგიელებისთვის სასიხარულო გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისად, მბენგა „ლომებში" როგორც ბელგიელი, ისე ითამაშებს. შედეგად, ნაკრების მწვრთნელ ედი კასტელსს ნატურალიზებული **მარკუს ფეისონის** გამოყენების საშუალებაც მიეცემა. სხვათა შორის, შარშან მარკუსმა დიდი წვლილი შეიტანა ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაში. მან გასული სეზონი ბელგიურ „ოოსტენდეში" გაატარა, თუმცა მომავალ წელს გუნდში დარჩენას აღარ აპირებს.

სოხუმი

# ფაცაცია და ფარლალავა დარჩნენ

ევროჩელენჯზე მოასპარეზე „სოხუმი" ყოველდღიურად სიახლეებს გვთავაზობს. გუშინ გაცნობეთ, რომ გუნდთან კონტრაქტი გააფორმა ამერიკიდან დაბრუნებულმა **ვახტანგ ქადარიამ.** დღეს კიდევ ორი კალათბურთელის ხელშეკრულებებზე უნდა მოგახსენოთ.

ლაშა ფარლალავამ და ლევან ფაცაციამ საკალათბურთო კლუბ „სოხუმთან" ორორწლიან კონტრაქტებს მოაწერეს ხელი - გვითხრა „სოხუმის" პრესსამსახურის უფროსმა **თენგიზ პაჭკორიამ.**

ორივე კალათბურთელი გასულ სეზონშიც „სოხუმის" ღირსებას იცავდა - ფარლალავა მთელი წლის განმავლობაში, ფაცაცია - პლეი ოფში. ორივე „სოხუმის" მწვრთნელის **ვაჟა კვარაცხელიას** აღზრდილია.

აი, რა თქვა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მწვრთნელმა:

- ლაშა ფარლალავამ დიდი წვლილი შეიტანა გასულ სეზონში „სოხუმის" წარმატებელ თამაშში. ვფიქრობ, რომ მას დიდი პოტენციალი აქვს და შეუძლია კიდევ უფრო მაღალი რანგის კალათბურთი ითამაშოს და მომავალში გამოძახება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დაიმსახუროს. ლევან ფაცაციამ კი, რომელიც აშშ-დან საქართველოში 30 აპრილს დაბრუნდა, დიდი წვლილი შეიტანა „სოხუმის" წარმატებულ საპლეიოფო გამოსვლაში. მჯერა, რომ ფაცაცია კიდევ მოუმატებს.

„სოხუმის" ვიცე-პრეზიდენტმა **თემურ ჩილაჩავამ** დასძინა:

- ლაშა ფარლალავა და ლევან ფაცაცია ძალიან ნიჭიერი კალათბურთელები არიან და შეუძლიათ მომავალ სეზონში გუნდს დიდი სამსახური გაუწიონ.

ერთი კვირის წინ „სოხუმში" ჩარიცხული **მიხეილ ბერიშვილი** ნაკრებში რომ გამოიძახეს, უკვე მოგახსენეთ. მასთან ერთად **იგორ კოკოშკოვმა** ეროვნულში ლევან ფაცაციას უხმო. რაც შეეხება ლაშა ფარლალავას, ჩვენი ინფორმაციით, იგი გამოძახებულთა სიაში არ არის. თუმცა, ჯერ ოფიციალური სია არ გამოცხადებულა.



ქართველები უცხოეთში



# კვეტენაძე და სულაბერიძე სერბეთში

ორი ქართველი, **გიგა კვეტენაძე** და **ლევან სულაბერიძე** კარიერას სერბეთში გააგრძელებენ. ისინი ბელგრადის საკალათბურთო აკადემიაში ჩაირიცხნენ, სადაც სამი თვე დარჩებიან. ამ დროში მათ უცხოელი სკაუტები დააკვირდებიან და სამი თვის შემდეგ გაირკვევა, სად გააგრძელებენ კარიერას.

კვეტენაძე და სულაბერიძე რამდენიმე დღეში გაემგზავრებიან ბელგრადში და ზემოაღნიშნულ აკადემიაში სხვადასხვა ქვეყნის 20-22 წლის ნიჭიერი კალათბურთელების გვერდით ივარჯიშებენ.

ლევან სულაბერიძე 1991 წელსაა დაბადებული, ბოლო წლებში „სოხუმის" ღირსებას იცავდა. იგი გუნდს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ეხმარებოდა.

გიორგი კვეტენაძე (1990) ბოლო ორი სეზონის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში „სოხუმში" თამაშობდა. იგი ამპლუით მსუბუქი ფორვარდია. გიგა 2009-2010 წლებში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობდა. იგი 2008-09 წლების სეზონში ბარსელონურ „ბარბერაში", ასპარეზობდა, საიდანაც „სოხუმში" დაბრუნდა და გასულ სეზონში გუნდთან ერთად სუპერლიგა მეოთხე ადგილზე დაასრულა.

იტალიის ჩემპიონატი. ფინალი



# ღირსეულად: მანუს 11 22-ში

იტალიის ჩემპიონატში ფინალური სერიის მეოთხე მატჩი გაიმართა. „მონტეპასკიმ" სტუმრად „კანტუ" 69:65 დაამარცხა, რის შედეგადაც სერიაში 3:1 დაწინაურდა. წაგების მიუხედავად, კანტუელი ქომაგი მატჩის დასრულებიდან 20-30 წუთის განმავლობაში დარბაზს არ ტოვებდა. ასეთი მოქმედებით გულშემატკივრებმა „კანტუს" კალათბურთელებს ღირსეული გამოსვლისთვის მადლობა გადაუხადეს. **მანუჩარ მარკოიშვილმა** და მისმა თანაგუნდელებმა ეს დაიმსახურეს - სიენურ გრანდთან ბოლო წამებამდე ინარჩუნებდნენ გამარჯვების შანსს.

ვიდრე შეხვედრის ქრონოლოგიაზე ვიტყოდეთ, მარკოიშვილის გარჯას შევეხებით. ქართველმა უკანახაზელმა შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო, პირველ ტაიმში დაცვაშიც კარგად იშრომა და შეტევაშიც არაერთი კარგი კომბინაცია წამოიწყო, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში არ უმართლებდა და საწყისი 20 წუთი უქულოდ დაასრულა.

მეორე ნახევარში „კანტუმაც" უკეთესად ითამაშა და მანუჩარმაც. მეოთხე პერიოდში მან მნიშვნელოვანი სამქულიანიც ჩააგდო და საჯარიმოებიც ზუსტად ისროლა. საფინალო ანგარიშიც მანუს ორქულიანის შემდეგ დაფიქსირდა - 69:65. ქართველმა საბოლოოდ 22 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა მოაგროვა. „კანტუში" მთავარი მექულეები იყვნენ **მარკო სჩეკიჩი** (16 ქულა) და **მაიკ გრინი** (13). „მონტეპასკის" გამარჯვებაში კი მთავარი „დამნაშავეები" **ბო მაკალები** (21 ქულა) და **რიმანტას კაუკენასი** გახლდნენ (18). ვერც ერთი სხვა სიენელი 10 ქულას ვერ ასცდა. წინა სამი შეხვედრის ბომბარდირმა **კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** 6 ქულა ჩააგდო.

შეხვედრა იმდენად საინტერესოდ წარიმართა, რომ ორიოდე სიტყვა ქრონოლოგიაზეც უნდა ვთქვათ. თანაბრად ჩატარებული პირველი მეოთხედის შემდეგ „მონტეპასკიმ" პერიმეტრზე გაილალა და სამქულიანების წყალობით მეორე ათწუთეული 23:11 მოიგო. დიდ შესვენებაზე მასპინძლები 14-ქულიანი დეფიციტით გავიდნენ - 28:42.

მესამე პერიოდში თანაგუნდელთა გამოფხიზლება გამთამაშებელმა მაიკ გრინმა ითავა: თვითონ ორი შეტევა შედეგიანად დაასრულა, ხოლო **ნიკოლას მაძარინოს** დროული გადაცემით სამქულიანი ჩააგდებინა. ამასობაში მოედანზე მანუჩარიც დაბრუნდა, თანაგუნდელებს საჯარიმოები შეაშველა და 14-ქულიანი სხვაობა 4-მდე შემცირდა (46:50).

მეოთხე პერიოდის დასაწყისში ბო მაკალების აქტიურობით „მონტეპასკიმ" კვლავ 12-ქულიან ფორას მიაღწია (61:49), თუმცა კანტუელებმა თამაშის ტემპს კიდევ უფრო უმატეს და მარკოიშვილის სამქულიანის შემდეგ გამარჯვების იმედი კვლავ დაიბრუნეს - 54:61. საფინალო სირენამდე წუთით ადრე სიენელები 4 ქულის სხვაობით იგებდნენ. მათ შეტევისთვის განკუთვნილი დრო ბოლომდე გამოიყენეს და ვიდრე 24 წამი ამოიწურებოდა, **შაუნ სტონრუკმა** სამქულიანი ისროლა... ჩააგდო და მატჩის ბედიც „მონტეპასკის" სასარგებლოდ გადაწყვიტა. დარჩენილ 26 წამში 7-ქულიან სხვაობას ვერც „კანტუ" აღმოფხვრიდა და ვერც „ბარსელონა".

სერიის მეხუთე მატჩი სიენაში 19 ივნისს გაიმართება. სერია 4 მოგებამდეა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### ● ჭადრაკი

# ფინიშამდე ორი ტური დარჩა

ქუთაისში 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობის მე-8 ტური თეთრების უპირატესობით წარიმართა: 15-დან 9 პარტიაში გაიმარჯვეს, 4 ყაიმით დაამთავრეს და მხოლოდ ორ შეხვედრაში დამარცხდნენ. მთავარი კი ის არის, რომ შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე ლიდერებმა პოზიციები განიმტკიცეს.

გოგონებში **ქეთი ნაწალაშვილმა ადა ქაქუთია დაამარცხა,** ხოლო **მერი არაბიძემ მარიამ ჭოლაძეს** სძლია. ორივე 6-6 ქულით მეწინავეობს. 5 ქულით გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზე გადაინაცვლა **ანა შამათავამ,** რომელმაც **სალომე ხაყომიას** აჯობა. დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: სოფო ხუციძე-ხატია კიკვიძე 1:0, თეკლა ფარჯიანი-დეა ჩაკვეტაძე 0,5:0,5, თათია კოხრეიძე-ანა თედოშვილი 0,5:0,5, მარიამ წულაია-მარიამ მჟავია 1:0.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ფარჯიანი (3,5)-წაწალაშვილი (6), თედოშვილი (3)-არაბიძე (6), შამათავა (5)-წულაია (3), ხაყომია (4)-ხუციძე (4,5), ქაქუთია (3,5)-კოხრეიძე (2,5), ჭოლაძე (3)-მჟავია (1,5), კიკვიძე (0,5)-ჩაკვეტაძე (3).

ვაჟებში ლიდერობა შეინარჩუნა **დავით ბენიძემ** — გუშინ **მერაბ ცომაია** დაამარცხა და 6 ქულით კვლავ ერთპიროვნულად მეწინავეობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება **დავით ლომსაძე,** რომელმაც **ტატო ქოჩაკიძეს** მოუგო. დანარჩენი პარტიები: ირაკლი ჯანიაშვილი-მამუკა ქოჩაკიძე 0:1, ნინო ხომერიკი-ბექა ახალაძე 0:1, გიორგი ცხადაძე-ლეონტი ხუბუნაია 1:0, გიორგი სიბაშვილი-არჩილ სვანიძე 1:0, ირაკლი შარიქაძე-ლევან ნემსაძე 0,5:0,5, დათო კაპანაძე-ნიკოლოზ ბერძენაძე 0,5:0,5.

ბოლოსწინა ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: მ. ქოჩაკიძე (4,5)-ბენიძე (6), სიბაშვილი (4)-ლომსაძე (5,5), ახალაძე (4,5)-ცხადაძე (4), ტ. ქოჩაკიძე (4)-თუთისანი (3,5), ცომაია (3,5)-ხომერიკი (3,5), ხუბუნაია (3)-შარიქაძე (3), ბერძენაძე (2,5)-სვანიძე (2,5), ნემსაძე (2,5)-კაპანაძე (2,5). ისვენებს ჯანიაშვილი (4).

**ვაჟა დანელია**

# რეიტინგფავორიტს აჯობა

ჯერმუკში კარენ ასრიანის მე-4 საერთაშორისო მემორიალში სომეხი დიდოსტატი არმენ პაშიკიანი რეიტინგით (2643) პირველ ნომრად არის განთესილი. გუშინ მეორე ტურში იგი შავი ფიგურებით ბათუმელ **ნინო ბაციაშვილს** შეხვდა. ქართველმა მოჭადრაკემ დაძაბულ ბრძოლაში სძლია მრისხანე მეტოქეს და გათამაშების ცხრილში მეორე ქულა ჩაიწერა. ნინოს მხარი აუბეს **კონსტანტინე შანავამ, სოფიო გვეტაძემ, შოთა აზალაძემ, დავით მაღალაშვილმა** და **ბაჩანა მორჩიაშვილმა**, რომლებმაც, შესაბამისად, პოუია იდანი, არტურ ჩიბუხჩიანი, ნორაირ ტოროსიანი, არმენ ანტინიანი და ხაჩატურ ერანიანი დაამარცხეს.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ შანავა-აზალაძე, მიხაილ ულიბინი-ბაციაშვილი, გვეტაძე-არა მინასიანი, მარია კურსოვა-მაღალაშვილი, მარკ ბასენციანი-ბაჩანა მორჩიაშვილი.

**ვაჟა დანელია**

### ● ჩოგბურთი

# დებიუტი ლონდონის ბალახზე, რუსის წინააღმდეგ

## ორი ქართველი ფინალში

წლეულს მსოფლიოს უპრესტიჟულეს საჩოგბურთო ტურნირზე, უიმბლდონის პირველობაზე ერთი ქართველი ითამაშებს - 21 წლის **ანა ტატიშვილი** (120) პირველად არის ამ შეჯიბრების ძირითად ბადეში. ასპარეზობა ლონდონის ბალახის კორტებზე ორშაბათიდან იწყება, თუმცა კენჭისყრა გუშინ მოეწყო და გაირკვა ანას პირველი და სავარაუდო მეტოქეების ვინაობა.



ტატიშვილი პირველ წრეში თანატოლ რუსს, **ანასტასია პივოვაროვას** შეხვდება. რუსი დღეისათვის მსოფლიოს 114-ე ჩოგანია. ახალგაზრდულ ასპარეზზე მათ ერთ პერიოდში იასპარეზეს. ანამ მე-19 ჩოგნობას უწია, პივოვაროვა კი უფრო შორს წავიდა - ერთი პერიოდი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს მე-2 ჩოგანი იყო. მიუხედავად ამისა, ეს ჩოგბურთელები ერთმანეთს პირველად ეთამაშებიან კარიერაში. რუსი ტანმაღალია და მისი საყვარელი საფარი ჰარდია.

გამარჯვების შემთხვევაში, ანა 100 სარეიტინგო ქულას მიიღებს, ხოლო მეორე წრეში მე-19 ნომრად განთესილი **იანინა ვიკმაიერისა** (ბელგია, 19) და ამერიკელი **ვარვარა ლეპჩენკოს** (86) მატჩის გამარჯვებულს შეხვდება. შარშან ანამ პირველივე საკვალიფიკაციო წრეში წააგო.

ხარკოვის (უკრაინა, 25 ათასი დოლარი) საერთაშორისო ტურნირში პირველ ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** (299) ფინალშია. გუშინ მან რუსი **იანა ბუჩინა** (485) დაამარცხა - 7:6 (1), 6:4. ფინალში ქართველის მეტოქე ლიტველი **ლინა სტანჩიუტეა** (418).

ფინალშია **მაკა ჩახნაშვილიც** (221), რომელიც სტამბოლში (თურქეთი, 25 ათასი დოლარი) პირველ ნომრადაა განთესილი. მაკამ მეოთხედფინალში რუმინელ **ლაურა-იოანა ანდრეის** (475) იოლად მოუგო - 6:1, 6:3. ხოლო ნახევარფინალში ბოსნიელი **იასმინა ტინჯიჩი** (281) დაამარცხა - 6:4, 7:6 (7). ფინალში 28 წლის ქართველის მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი პოლონელი **მარტა დომაჩოვსკაა** (272). მოგების შემთხვევაში ჩახნაშვილი და შაფათავა 50-50 სარეიტინგო ქულას მიიღებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად




**1972 წელი. საპორო, იაპონია. ზამთრის XI ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი**

### ● თარიღი. 18 - 24 ივნისი

**18. 1986.** ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ინგლისელმა **ლინეკერმა** გაიტანა 1300-ე გოლი.

**18. 1986.** დაიბადა რიშარ გასკე — ჩოგბურთი.

**19. 1953.** გარინჩამ პირველი მატჩი ჩაატარა „ბოტაფოგოს" რიგებში.

**19. 2005.** „ფორმულა-1"-ის გრან-პრი მოიგო **მიხაელ შუმახერმა.**

**21. 1955.** დაიბადა მიშელ პლატინი — ფეხბურთი.

**21. 1970.** ფეხბურთში IX მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი: ბრაზილია-იტალია 4:2.

**22. 1934.** გამოქვეყნდა პირველ სპორტის დამსახურებულ ოსტატთა სია.

**23. 1894.** შეიქმნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.

**24. 1937.** სსრ კავშირში დაიწყო ბასკ ფეხბურთელთა ტურნე.

### ● ვიქტორინა

**1. ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ვინ იყო პირველი ბომბარდირი?**

ა — სკიაივო (იტალია)
ბ — კონენი (გერმანია)
გ — სტაბილე (არგენტინა)

**2. რას ნიშნავდა სიტყვა ეპისკიროსი „ანტიკურ საბერძნეთში?"**

ა — ორი ცხენმხედრის შეჯიბრებას
ბ — ბურთით გუნდურ თამაშს
გ — ჭიდაობის და კრივის ორჭიდს

**3. რა არის ამრესლინგი?**

ა — ათლეტური სამჭიდი
ბ — გორგოლაჭებით რბენა
გ — მკლავჭიდი

**4. სადაურები იყვნენ, ცნობილი მორაგბეები ძმები სტივენ და გრემი ბიშოპები?**

ა — ახალზელანდიელები
ბ — ავსტრიელები
გ — უელსელები

**5. როდის მოიპოვა ევროპის „ოქროს ბუცი" ლეგენდარულმა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ეუსებიომ?**

ა — 1966 წელს
ბ — 1968, 1973 წლებში
გ — 1968, 1970 წლებში

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-ბ

### ● იყო ასეთი შემთხვევა

ოლიმპიური ძალოსნობის ისტორიაში ერთსა და იმავე წონითი კატეგორიის ორ სპორტსმენს ორჯერ გადაეცათ ოქროს მედლები. პირველად ეს მოხდა 1928 წელს. მსუბუქ წონაში პირველ ადგილზე გავიდნენ ავსტრიელი **ჰ. ჰაასი** და გერმანელი **კ. ჰელმერი,** სამჭიდის ჯამში მათ ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 322,5. მეორედ ანალოგიური შემთხვევა ისევ მსუბუქ წონაში გამეორდა — 1936 წელს. ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ეგვიპტელი **მ. მესბახი** და ავსტრიელი **რ. ფაინი** (სამჭიდში აჩვენეს 342,5 კგ). ორივე შემთხვევაში მეტოქეების წონა აბსოლუტურად თანაბარი იყო.

## ფეხბურთი ახლო ხედით

### ლოდინის დრო

ლოდინის დრო ორივე მონაწილე გუნდისათვის და დანიშნული მსაჯისათვის არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს. შესაძლოა, სტუმართა გუნდმა დააგვიანოს, მაგრამ ლოდინის დროის განმავლობაში გამოცხადდეს მაქსიმუმ 6 ფეხბურთელი. ამ შემთხვევაში, მსაჯმა მატჩი უნდა დაიწყოს მხოლოდ მაშინ, როცა მოედანზე ერთი კლუბიდან (გუნდიდან) წარმოდგენილი იქნება მინიმუმ 7 ფეხბურთელი. მსაჯი მატჩის ოქმში მიუთითებს მატჩის დაწყების ზუსტ დროს და გუნდის დაგვიანების მიზეზებს. შესაძლოა, დაგვიანების მიზეზი იყოს საპატიო. შესაძლოა, დაგვიანება მოხდეს ტაიმებს შორის შესვენების დროს. თუკი 10 წუთზე მეტხანს იქნება გუნდი გასახდელში შესვენებისას, მსაჯი აღნიშნავს მატჩის ოქმში.

შესაძლოა სტადიონზე მწყობრიდან გამოვიდეს ელექტროგანათება, ასევე უცებ გართულდეს მეტეოროლოგიური პირობები. ამ შემთხვევებში მსაჯი მაშინვე არ წყვეტს თამაშს და გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა განაახლოს მატჩი.

### ● თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 6-0 | 5 | I |
| B | | ■ | | | | | | | 2-1 | 5 | II |
| C | | | ■ | | | | | | 1-2 | 4 | III |
| D | | | | ■ | | | | | 1-8 | 1 | IV |

**წინა ამოცანის პასუხი**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 0:0 | 0:0 | 6:0 | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 6 | I |
| B | 0:0 | ■ | 2:0 | 1:1 | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 | II |
| C | 0:0 | 0:2 | ■ | 1:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 2 | III |
| D | 0:6 | 1:1 | 0:1 | ■ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-2 | 2 | IV |

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ბათუმის ყოფილი საკალათბურთო გუნდი, 5. რუსთავის სარაგბო გუნდი, 6. საფრანგეთის ნაკრების მცველი ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, 9. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 10. ახალი სათხილამურო ცენტრი (მხარე) საქართველოში, 11. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მეკარე, 14. ძიუდოს ტერმინი, 15. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, პაოლო... 17. ცნობილი საფეხბურთო მწვრთნელი, ფაბიო... 18. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 19. კარატეში ოსტატობის ხარისხის შემფასებელი, 20. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, მცველი. პატრის..., 25. გადაწოდება, 26. ტურიზმის მიმდევარი, 27. იტალიელი ფეხბურთელი, ფრანჩესკო ..., 31. თბილისის „დინამოს" საფეხბურთო გუნდის სახელი 90-იანი წლების დასაწყისში, 32. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა, 33. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. ზამთრის VI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყანა. 2. უნგრელი მოჭადრაკე ვაჟი, 3. მძლეოსნური იარაღი, 4. იტალიელი ფეხბურთელი, რობერტო ..., 5. ფეხბურთის კარის ზედა ძელი, 7. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 8. „კოლხეთის" ქალაქი, 12. 1936 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 13. წარსულში თბილისის „დინამოს" ცნობილი ოსი ფეხბურთელი, 14. სპორტის ზამთრის სახეობა, 16. ნიგერიის საფეხბურთო ნაკრების და „მალაგას" ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 21. ტანვარჯიშული ინვენტარი, 22. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი, მცველი, 23. საჭადრაკო ფიგურა, 24. ძალოსნობაში ორჭიდის სახეობა, 28. ბორჯომის საფეხბურთო კლუბი, 29. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 30. განის საფეხბურთო ნაკრების მეკარე 2010 წლის მუნდიალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

# მეშვიდე ტურში სამი მატჩი გადაიდო


ლელო-ხარები

დღეს საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართება. დიდ დიღომში, „ვისოლის" სტადიონზე ერთმანეთს თბილისური გუნდები „ლელო" და „აკადემია" დაუპირისპირდებიან.

დარჩენილი სამი შეხვედრა კი სხვადასხვა მიზეზების გამო გადაიდო. ქვეყნის ჩემპიონი „ლოკომოტივი" თბილისის „არმაზს" 29 ივნისს დაუპირისპირდება. გათამაშების ლიდერი ქუთაისის „აია" კი უახლოეს მდევარ „არმიას" მალთაყვაში 30 ივნისს უმასპინძლებს. გაცილებით გვიან, 25 აგვისტოს გაიმართება რუსთავში, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტების, „ხარებისა" და „ყოჩების" მატჩი.

„ლელოსა" და „აკადემიას" დაპირისპირება ყოველთვის დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობს. რამდენიმე წლის წინ ეს გუნდები უმაღლეს ლიგაში ერთად გადმოვიდნენ და მათი პირველ ლიგაში დაწყებული „ქიშპობა" დღემდე გრძელდება.

სატურნირო ცხრილში ეს გუნდები დღესდღეობით მეზობლები არიან. „აკადემიამ" წინა, მეექვსე ტურში შესანიშნავად ითამაშა და ჩემპიონ „ლოკომოტივს" მოუგო 24:10. აკადემიელები მუდამ ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდნენ და ამჯერადაც, რკინიგზელებთან გამარჯვებით საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი, ვფიქრობთ, „ლელოსაც" ბევრ პრობლემებს შეუქმნიან.

საქართველოს თასის მფლობელს მე-6 ტურში ერთ-ერთი აუტსაიდერის, რუსთავის „ხარების" დამარცხება საკმაოდ გაუჭირდა. ლელოელებს სამი წამყვანი მოთამაშე აკლიათ, **ლაშა ხმალაძე, ლექსო გუგავა** და **სანდრო თოდუა** საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში იმყოფებიან.

**VII ტური**

**18 ივნისი**

ლელო-აკადემია

**29 ივნისი**

არმაზი-ლოკომოტივი

**30 ივნისი**

აია-არმია

**25 აგვისტო**

ხარები-ყოჩები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 6 | 6 | 0 | 0 | +95 | 12 |
| 2.არმია | 6 | 4 | 1 | 1 | +21 | 9 |
| 3.ლელო | 6 | 4 | 0 | 2 | +47 | 8 |
| 4.აკადემია | 6 | 2 | 2 | 2 | -3 | 6 |
| 5.ლოკომოტივი | 6 | 3 | 0 | 3 | +18 | 6 |
| 6.არმაზი | 6 | 2 | 1 | 3 | -27 | 5 |
| 7.ხარები | 6 | 1 | 0 | 5 | -66 | 2 |
| 8.ყოჩები | 6 | 0 | 0 | 6 | -85 | 0 |

● მეტოქეები

# პომეები მზადებას იწყებენ

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე, ინგლისის ეროვნული გუნდი ამ უქმეებზე სრული შემადგენლობით იკრიბება და მსოფლიოს უდიდესი სარაგბო ფორუმისთვის მზადებას დაიწყებს.

ნაკრების თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** 45 მორაგბე იხმო, რომელთაგან 15-ს, 22 აგვისტოს ირლანდიის ნაკრებთან ტესტ მატჩის შემდეგ, შინ დარჩენა მოუწევს.

„პომებმა" ორ უკანასკნელ მსოფლიოს თასზე შესანიშნავად იასპარეზეს. 2003 წელს პირველობა არავის დაუთმეს, 2007 წელს კი საფრანგეთში ფინალში დამარცხდნენ.

2003 წლის მსოფლიოს თასზე ავსტრალიაში ინგლისელებმა პირველი შეხვედრა საქართველოს ნაკრებთან გამართა. ოთხი წლის შემდეგ კი მეტოქე აშშ-ს ეროვნული გუნდი იყო. ორივე შეხვედრა „პომებმა" იოლად, დიდი ანგარიშით მოიგეს და ტურნირიც საბოლოოდ წარმატებული გამოუვიდათ.

ამჯერად ჯონსონის სამწყსოს პირველი მეტოქე გაცილებით ძლიერი, წინა მსოფლიო თასის მესამეადგილოსანი არგენტინის ეროვნული ნაკრები იქნება. ინგლისელებს თავიდანვე სერიოზული გარჯა მოუწევთ და ამ მატჩის შედეგზე ბევრად იქნება დამოკიდებული ორივე გუნდის სატურნირო ბედი.

ამასობაში ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა შოტლანდიელთა თავკაცმა **ენდი რობინსონმა**. მან რჩეულთა შორის შეიყვანა ოთხი ახალბედა, **რობერტ ჰარლი, რაიან გრანტი, დევიდ დენტონი** და **ჯეკ კათბერტი**, რომლებმაც თავი „მაგნერს ლიგის" გათამაშების ბოლო ტურებში დადებითად წარმოაჩინეს.

„სკოტები" პირველ შეხვედრას 10 ოქტომბერს რუმინეთის ნაკრებთან გამართავენ. ოთხ დღეში კი „ბორჯღალოსნებს" დაუპირისპირდებიან.

*„გუნდით კმაყოფილი ვარ. შემადგენლობა გამოცდილი და ახალგაზრდა, პერსპექტიული მორაგბეების შესანიშნავი ნაზავია. ახლა მათთვის მთავარია მსოფლიო თასის გათამაშებას სათამაშო ფორმის პიკში შეხვდნენ.*

*შოტლანდიის ნაკრებმა მსოფლიო თასის ყველა გათამაშებაში შეძლო მეოთხედფინალში გასვლა. ჩვენი პროგრამა მინიმუმიც ეს არის. მერე კი ვნახოთ.*

*მსოფლიო თასისთვის სამზადისს ივნისის ბოლოსთვის დავიწყებთ. კარგად გვესმის, რომ მოთამაშეები სხვადასხვა ფიზიკურ კონდიციაში იქნებიან. ამიტომ, თავდაპირველად თითოეულ მათგანთან ინდივიდუალურად ვიმუშავებთ."* - თქვა შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ენდი რობინსონმა.

**შოტლანდიის ნაკრები**

უკანა ხაზი: **ჯო ენსბრო (ნორსჰემპთონი), მაიკ ბლერი, ბენ კაირნსი, ნიკ დე ლუკა, გრეგ ლაიდლოუ, კრის პატერსონი (ყველა-ედინბურგი), კრის კასიტერი, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, გრემ მორისონი (სამივე-გლაზგო), ჯეკ კათბერტი (ბასი), საიმონ დენიელი (ალსტერი), რორი ლამონტი (ტულონი), შონ ლამონტი (ჰლანეჰლი), რორი ლოუსონი (გლოსტერი), დენ პარქსი (კარდიფი), ჰუგო საუთვილი (სტად ფრანსე), ნიკი ვოლკერი (ოსფრიზი).**

შერკინება: **ჯონ ბარკლი, ჯონ ბითი, რეი გრანტი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, რობერტ ჰარლი, ალისტერ კელოკი, ფერგიუს თომსონი, რიჩი ვერნონი, მურეი ლოუ (ყველა-გლაზგო), კელი ბრაუნი (სარასენზი), გოფ კროსი, დევიდ დენტონი, როს ფორდი, ალენ იაკობსენის, როს რენი (ყველა-ედინბურგი), ალასდაირ დიკინსონი, ჯიმი ჰემილთონი, სკოტ ლაუსონი, ალასდაირ სტროკოში (ოთხივე-გლოსტერი), ევან მურეი (ნიუკასლი), ნათან ჰაინსი (ლენსტერი).**


მარტინ ჯონსონი

● ზე რაგბი



# ბლუზი, ბლუ ბულზი თუ ნატალ შარქსი

ზე რაგბის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. პლეი ოფში თამაშის უფლება კი ოთხ გუნდს, ბრისბენის „რედსს", კეიპთაუნის „სტორმერზს", ქრაისტჩერჩის „კრუსეიდერზს"და ოქლენდის „ბლუზს" განაღდებული აქვთ. დარჩენილი ორი ადგილისთვის კი სამი, პრეტორიის „ბლუ ბულზი", დურბანის „ნატალ შარქსი" და სიდნეის „ვორათაზი" იბრძვის.

ბოლო მე-18 ტური უმოტივაციოდ დარჩენილი პერთის „ფორსის" გასვლითი მატჩით გაიხსნა „მელბურნ რებლზთან". ზე რაგბის დებიუტანტმა მასპინძელთა გუნდმა კარის გაჯახუნება მოინდომა. ინგლისელი მგეზავის **დენი სიპრიანის** მეთაურობით მელბურნელებს გამარჯვებამდე ცოტა დააკლდათ. მან მეტოქეს ოთხი საჯარიმო გაუტანა, თუმცა პერთელთა მგეზავმა **ჯეიმზ სტანარდმა** ერთით მეტი გაიტანა და თავისიანებს მოაგებინა - 27:24.

დაგეგმილი გამარჯვება მიითვალა პლეი ოფის კიდევ ერთმა მონაწილემ ოქლენდის „ბლუზმა", რომელიც შინ იოლად გაუსწორდა დანიდინის „ჰაილენდერზს" - 33:16. მასპინძლებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, თუმცა გუნდში ყველაზე შედეგიანი გარემარბი **ლაკი მუნრო** იყო, რომელმაც ოთხი საჯარიმო და სამი გარდასახვა გაიტანა (18 ქულა).

A ჯგუფის მეორეადგილოსანი სიდნეის „ვორათაზი" შინ ეთამაშება კანბერის „ბრამბიზს". სიდნეელებს აუცილებლად პრემიალური ქულით გამარჯვება სჭირდებათ. თუმცა, რა ანგარიშითაც არ უნდა გაიმარჯვონ, მათ პლეი ოფში ადგილს ყველა შემთხვევაში გაინაღდებენ, საკითხავი ისღა იქნება, სად უნდა ითამაშონ ნახევარფინალის შესარჩევი მატჩი - შინ თუ გარეთ?

*„შარშანდელ სეზონშიც ასე იყო. ჩვენი ბედი ბოლო ტურში გადაწყდა. ერთადერთი, რასაც ვაპირებთ, მთლიანად მომავალ მატჩზე კონცენტრირებაა და ნაკლებად მივაქცევთ ყურადღებას, სხვები როგორ ითამაშებენ. ასე მოვიქეცით შარშან და გაამართლა"* - თქვა „ვორათაზის" მწვრთნელმა **კრის ჰიკმა**.

დიდი, უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი პრეტორიაში, სადაც შარშანდელი ჩემპიონი „ბლუ ბულზი" დურბანის „ნატალ შარქსს" უმასპინძლებს. „ლურჯ ხარებს" ამ შეხვედრაში ფრეც ხელს აძლევს. ორივე გუნდი დღეს დილით ტელევიზორებს მიუჯდება და „ვორათაზისა" და „ბრამბიზის" დაპირისპირებას თვალს არ მოაშორებენ, რადგან სიდნეელთა გამარჯვების შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანი პლეი ოფის მიღმა დარჩება.

„ბლუ ბულზი" რეგულარული გათამაშების დასასრულისკენ ფორმაში შევიდა. პრეტორიელებმა ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგეს და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გამოისწორეს. „ლურჯმა ხარებმა" ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება წინა ტურში, სტუმრად კეიპთაუნში მოიპოვეს „სტორმერზთან" მატჩში - 19:16.

პრეტორიელების შემადგენლობაში ცხრა ნომრად ისევ ფრანსუა ჰაუგარი ითამაშებს, რომელიც ტრავმირებულ ფური დუ პრის შეცვლის, კვლავ აღიდგინა ფორმა და შესანიშნავად თამაშობს მგეზავი მორნი სტეინი. თუ დურბანელებს სტუმრად გამარჯვების მოპოვება უნდათ, ამ ორ მოთამაშეს ხელ-ფეხი უნდა შეუკრან.

„ნატალ შარქსი", რომელიც არანაკლებ ძლიერი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული, ვიდრე მისი დღევანდელი მეტოქე, ზე რაგბის წლევანდელ გათამაშებაში არასტაბილურად ასპარეზობს. განსაკუთრებით საოცარი იყო „ზვიგენების" მარცხი იოჰანესბურგის „ლაიონზთან".

დურბანელებს ახლახან შეუერთდათ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მგეზავი ფრედერიკ მიშალაკი, რომელიც პრეტორიაში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. შესაბამისად, სამხრეთაფრიკული რაგბის იმედმა, **პატრიკ ლამბიემ** ფულბეკის პოზიციაზე გადაინაცვლა. მწყობრში არიან, საბრძოლველად კბილებს ილესავენ „ბოკეს" წევრები, პირველხაზელები **ბისმარკ დუ პლესი** და **ტენდაი მთავარირა**.

**XVIII ტური**

**A ჯგუფი**

**მელბურნ რებლზი-ფორსი 24:2, ვორათაზი-ბრამბიზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. რედსი - 62 ქულა, 2. ვორათაზი - 52, 3. ფორსი - 37, 4. ბრამბიზი - 33, 5. რებლზი - 24.**

**B ჯგუფი**

**ბლუზი-ჰაილენდერზი 33:16, ჩიფსი-რედსი, კრუსეიდერზი-ჰარიკენზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბლუზი - 60 ქულა, 2. კრუსეიდერზი -57, 3. ჰაილენდერზი - 45, 4. ჰარიკენზი - 41, 5. ჩიფსი - 40.**

**C ჯგუფი**

**ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი, ჩიტაზი-სტორმერზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სტორმერზი - 58 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 53, 3. ბლუ ბულზი - 53, 4. ჩიტაზი - 39, 5. ლაიონზი - 25.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი



რალისტები საბერძნეთში იკრიბებიან

# უქმეების წინ

გასული უქმეები სერიოზულად იყო დატვირთული უმაღლესი დონის სარბოლო მოვლენებით, ამიტომაც ავტოსპორტის მოყვარულებს ამ შაბათ-კვირას ბევრით ვერაფრით გააკვირვებენ, თუმცა მომავალ უქმეებზე არანაკლებ ცხარე ბრძოლები გველოდება და არა მხოლოდ ავტოდრომებზე, არამედ საბერძნეთის ქვალორღიან გზებზე, სადაც ყველაფერი მზადაა აკროპოლისის რალის სტარტისთვის.

გარდა ამისა, გერმანიაში გაიმართება ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჩემპიონატის DTM-ის მეოთხე ეტაპი. ამასთან დაკავშირებით გულშემატკივარს აწუხებს არა მარტო „აუდისა" და „მერსედესის" დაპირისპირება, არამედ **მაიკ როკენფელერის** ჯანმრთელობა, რომელიც სერიოზულ ავარიაში მოხვდა „ლე მანის 24-საათიან" რბოლაში. ჩეხეთის ბრნოში კი ბრძოლას გამართავენ WTCC-ის პილოტები. თუმცა ეს დაპირისპირება „შევროლეს" პილოტების - **რობერტ ჰაფის, ივან მიულერისა** და **ალან მენიუს** შიდაგუნდურ დაპირისპირებამდე დადის.

**რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი**

**აკროპოლისის რალი**

**შტაბი** - ლოუტრაკი, საბერძნეთი
**საფარი** - ქვა-ღორღი
**სპეცმონაკვეთი** - 18
**დისტანცია** - 348,80 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. სებასტიან ლოები (Citroen) - 126 ქულა
2. მიკო ჰირვონენი (Ford) - 113
3. სებასტიან ოჟიე (Citroen) - 96
4. იარი-მარი ლატვალა (Ford) - 74
5. პეტერ სოლბერგი (Citroen) – 61

**განრიგი**

17 ივნისი, 09:08 - I დღე
18 ივნისი, 11:02 - II დღე
19 ივნისი, 09:03 - III დღე
19 ივნისი, 14:00 - Power stage

**DTM**

**IV ეტაპი**

**ტრასა** - ლაუზიტცი, გერმანია
**წრის სიგრძე** – 3,478 კმ
**შარშანდელი გამარჯვებული** - ბრუნო შპენგლერი (Mercedes)

**საერთო ჩათვლა**

1. ბრუნო შპენგლერი (Mercedes) - 23 ქულა
2. მარტინ ტომჩიკი (Audi) - 20
3. მაიკ როკენფელერი (Audi) - 14
4. რალფ შუმახერი (Mercedes) - 14
5. ტიმო შაიდერი (Audi) – 11

**განრიგი**

18 ივნისი, 14:40 – კვალიფიკაცია
19 ივნისი, 15:00 - რბოლა

**WTCC**

**V ეტაპი**

**ტრასა** - ბრნო, ჩეხეთი
**წრის სიგრძე** – 5,403 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. რობერტ ჰაფი (Chevrolet) - 150 ქულა
2. ივან მიულერი (Chevrolet) - 119
3. ალან მენიუ (Chevrolet) - 104
4. გაბრიელე ტარკუანი (SEAT) - 75
5. ტიაგო მონტეირუ (SEAT) - 74

**განრიგი**

18 ივნისი, 10:00 - I ვარჯიში
18 ივნისი, 12:30 - II ვარჯიში
18 ივნისი, 15:00 - კვალიფიკაცია
19 ივნისი, 10:00 - Warm-up
19 ივნისი, 14:05 - I რბოლა
19 ივნისი, 16:15 - II რბოლა

ამბები

**დოპინგი**

## დოპინგიანი მოთამაშეები უსარგებლონი ხდებიან

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა გადაწყვიტა შემოიღოს კიდევ ერთი წესი, რომელსაც დოპინგთან ეფექტური ბრძოლისთვის გამოიყენებენ.

ახალი წესის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ის ველომრბოლები, რომლებიც დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნდებიან ოფიციალურ რბოლებში, ორი წელი ვერ მოუტანენ საკუთარ გუნდებს სარეიტინგო ქულებს. შესაბამისად, საჯინიბოებისთვის არამომგებიანი იქნება ამ ველომრბოლებთან კონტრაქტის გაფორმება.

ამ მომენტისთვის წესი განხილვის სტადიაშია. უახლოეს დღეებში მას საერთაშორისო კავშირს წარუდგენენ. თუ ეს ორგანიზაცია წლის ბოლომდე მოიწონებს პროექტს, შესაძლოა ახალი წესი უკვე ამ სეზონის ბოლოსთვის ამოქმედდეს.

**კრივი**

## პაკისტანში მოკრივე მოკლეს

პაკისტანში მოკლეს ოლიმპიური თამაშების სამგზის მონაწილე, მოკრივე **აბრარ ჰუსეინი**. პოლიციის ინფორმაციით, ჰუსეინი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა. ერთ-ერთი ოფიცერის თქმით, ჰუსეინი ქალაქ ქვეთეში სამუშაო ოფისიდან შინ ბრუნდებოდა, როცა უცნობი პირები დაესხნენ თავს. მას იმ მომენტში ესროლეს, როცა ყოფილი მოკრივე საკუთარი მანქანის საჭესთან იჯდა.

50 წლის ჰუსეინი თავის დროზე პაკისტანის ნაკრებში ირიცხებოდა 1984 (ატლანტა), 1988 (სეული) და 1992 (ბარსელონა) წლების ოლიმპიადებზე. ბოლო პერიოდში ის სპორტულ ფუნქციონერად მუშაობდა.

პოლიციის ცნობით, ამ ინციდენტთან დაკავშირებით ჯერ არავინ არ არის დაკავებული და არც მკვლელობის მოტივია დადგენილი. ისე კი, ქალაქი ქვეთა პაკისტანში ყველაზე კრიმინალურია და აქ შეირაღებული თავდასხმები ჩვეულებრივი ამბავია.

**ჰოკეი**

## რუსეთში კოკაინით ვაჭრობენ

რუსეთის ქალაქ პერმის მილიციამ კოკაინით ვაჭრობისთვის დააკავა 34 წლის ლიტველი ჰოკეისტი **აურიმას როსლიაკასი**, რომელიც ადგილობრივი ჰოკეის კლუბის წევრი გახლავთ. ამოღებული ნარკოტიკის საერთო წონა 600 გრამი იყო. მილიციის თანამშრომლებმა ჰოკეისტს რვა გრამი კოკაინის გასაღების ფაქტზე დააკავეს. ნარკოტიკის ძირითადი მასა ლიტველის გარაჟში იყო დამალული.

როსლიაკასი რუსეთში სამი წლის წინ გადავიდა. ბოლო დროს ის პერმის „სატურნში" თამაშობდა და 2010-11 წლების სეზონში კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

სპორტსმენი მეუღლესთან და შვილთან ერთად ელიტურ უბანში ცხოვრობდა და რამდენიმე ავტომობილი ჰყავდა. ჩხრეკისას მას 250 ათასი რუსული მანეთი აღმოუჩინეს. რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისი მუხლის თანახმად, როსლიაკას 20 წელი პატიმრობა ემუქრება.

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# უილიამსები გამოილია

როგორც ჩანს, კარგად მოემზადა ბალახის სეზონისთვის სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა**. ისტბურნის ტურნირის მეოთხედფინალში მან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწია. საქმე ისაა, რომ ჰანტუხოვას აქამდე ათიდან ათი მატჩი ჰქონდა წაგებული ამერიკელ **ვენუს უილიამსთან**, თანაც ისე, რომ მხოლოდ ორი სეტი მიითვალა თავის ანგარიშზე. მაგრამ ამჟამად ვენუსი უთამაშებელია. რა თქმა უნდა, ოთხთვიანმა პაუზამ თავისი საქმე გააკეთა და უფროს უილიამსს ჯერ უჭირს სამსეტიანი მატჩების გაძლება. ჰანტუხოვასთან შეხვედრა კი სწორედ ასეთი მარათონი გამოდგა, რადგან ის ორსაათ-ნახევარი გაიწელა.

ვენუსი უნდა შევაქოთ ხასიათის სიმტკიცისთვის - ის 2:6, 2:5 ჩამორჩა და ერთი ნაბიჯი აშორებდა განადგურებასთან, მაგრამ ზედიზედ ხუთი გეიმის აღებით მოახერხა მეორე სეტის მოგება. თუმცა მატჩის დასკვნითი ნაწილი მაინც მის მოწინააღმდეგეს დარჩა. გადამწყვეტ პარტიაში 2:2-ზე სლოვაკი შეუჩერებელი გახდა - მომდევნო 21 გათამაშებიდან დანიელამ 16 ქულა აიღო და დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

აღსანიშნავია, რომ დანიელა ჰანტუხოვას ბოლო 15 მატჩიდან 12 აქვს მოგებული, ისტბურნში კი წინა წრეში როლან გაროსის ჩემპიონის **ნა ლის** დამარცხება მოახერხა.

**პეტრა კვიტოვამ** პირველი სეტის უშანსოდ წაგების შემდეგ დაამარცხა პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**. თამაში თითქმის ორი საათი გრძელდებოდა. 50 წუთი დომინირებდა კორტზე ფრანგი **მარიონ ბარტოლი** ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** წინააღმდეგ, რის შემდეგაც აზარენკამ საზარდულის ტრავმის გამო ბრძოლა შეწყვიტა და ნახევარფინალში ბარტოლი გაუშვა.

განთესვის ლიდერმა **ვერა ზვონარევამ** თითქმის მოგებული მატჩი დათმო ავსტრალიელი **სამანტა სტოსურის** წინააღმდეგ. რუსი იგებდა შეხვედრას - 6:4, 4:2, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად. მესამე სეტში ავსტრალიელი გაცილებით ძლიერად გამოიყურებოდა და პარტიის მსვლელობისას 5:1 დაწინაურდა, მაგრამ მეტოქეს ზედიზედ სამი გეიმის აღების საშუალება მისცა. ბოლოს, 5:4-ზე სამანტამ მაინც იმძლავრა და ნახევარფინალში გააღწია.

ისტბურნის მამაკაცთა ტურნირში დღის გმირი გახდა **იანკო ტიპსარევიჩი**, რომელმაც ერთი დღის განმავლობაში ორი მატჩი მოიგო. თავიდან მან მიხაილ კუკუშკინი დაამარცხა გადადებულ შეხვედრაში. ეს პრაქტიკულად სრულფასოვანი მატჩი იყო, რადგან წინა დღეს


დანიელა ჰანტუხოვა

მეტოქეებმა სამი გეიმის თამაში მოასწრეს.

ამ მატჩის მოგების შემდეგ მეოთხედფინალში სერბმა **გრიგორი დიმიტროვის** წინააღმდეგ ითამაშა და ასევე ორ სეტში მოამთავრა საქმე, თანაც ზუსტად იმავე ანგარიშით. იანკო ტიპსარევიჩისთვის ეს იქნება მეოთხე ნახევარფინალი მიმდინარე სეზონში.

**კეი ნიშიკორიმაც** თავიდან მეორე წრის შეხვედრა დაასრულა და მხოლოდ ამის შემდეგ ითამაშა **რადეკ შტეპანეკის** წინააღმდეგ. დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში იაპონელმა ათიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და შემდეგ წრეში გავიდა. თავად ნიშიკორიმ 11-დან ცხრა ბრეიკ-პოინტის მოგერიება მოახერხა.

■ ■ ■

ჰერტოგენბოშში საქმეში წვიმა ჩაერია და რამდენიმე მეოთხედფინალის დასრულება ვერ მოხერხდა.

ერთადერთი მატჩი დასრულდა **ივან დოდიგსა** და **თეიმურაზ გაბაშვილს** შორის. სამი სეტის განმავლობაში ხორვატმა 16 ეისის ჩაწოდება მოასწრო, იმ დროს, როცა რუსს მხოლოდ ერთი ასეთი მოწოდება ჰქონდა. თუმცა ეისების დიდი რაოდენობის მიუხედავად, დოდიგი საკუთარ მოწოდებაზე სტაბილური არ ყოფილა და იძულებული გახდა, შვიდიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი მოეგერიებინა.

ქალებს შორის **რომინა ოპრანდიმ** მოახერხა **კიმიკო დატეს** დამარცხება. იტალიელი კარიერაში საუკეთესო ტურნირს თამაშობს. შეგახსენებთ, რომ ოპრანდიმ ერთ-ერთ წინა წრეში თვით **კიმ კლაისტერსს** სძლია. ჯერჯერობით აპენინელს კარიერაში WTA-ის ტურნირში არ გაუმარჯვია.

კიდევ ერთი იტალიელი გავიდა ნახევარფინალში. **რობერტა ვინჩიმ** მოულოდნელად დაამარცხა ბელგიელი **იანინა ვიკმაიერი**. ასევე ოთხეულში მოხვდა **ელენა დოკიჩი**, რომელიც ბოლო დროს მოულოდნელად შედეგიანად ათამაშდა. ავსტრალიელმა **იოჰანა ლარსონი** დაამარცხა.

ისევ ისნერი-მაუ

# შარშანდელი მარათონული მატჩის მონაწილეები პირველ სეტში ითამაშებენ

გუშინ, ლონდონში უიმბლდონის წილისყრა გაიმართა და პირველივე წრეში რამდენიმე საინტერესო წყვილი მივიღეთ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, აღსანიშნავია ამერიკელი **ჯონ ისნერისა** და ფრანგი **ნიკოლა მაუს** დაპირისპირება. დიახ, ეს ის მოთამაშეები არიან, რომლებმაც შარშან ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი ითამაშეს. მათი სამდღიანი დუელი (სუფთა დრო - 11 საათი და 5 წუთი) ისნერმა ასეთი ანგარიშით მოიგო - 6:4, 3:6, 6:7(7), 7:6(3), 70:68.

რაც შეეხება განთესვის ლიდერებს, ესპანელ **რაფაელ ნადალს** პირველ წრეში მეტოქედ ამერიკელი **მაიკლ რასელი** ერგო. რეიტინგში ლიდერობისთვის მისმა მთავარმა კონკურენტმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მეორე წრეში გასასვლელად ფრანგ **ჟერემი შარდის** უნდა ებრძოლოს. **როჯერ ფედერერს** ყაზახი **მიხაილ კუკუშკინი** შეხვდება, ადგილობრივი პუბლიკის მთავარ იმედს, მეოთხე ნომრად განთესილ **ენდი მიურეის** ესპანელი **დანიელ ხიმენო-ტრავერო** შეხვდება.



ისტორიული მატჩის მონაწილენი

ნადალის მხარეს ბადეში მიურეი მოხვდა, ხოლო ჯოკოვიჩის სავარაუდო მეტოქე ნახევარფინალში ფედერერი იქნება.

გთავაზობთ პირველი წრის რამდენიმე საინტერესო წყვილს:

მარდი ფიში (აშშ, 10)-მარსელ გრანოლერსი (ესპანეთი)

რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი)-ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი, 21)

ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი, 6)-ფილიპო ვოლანდრი (იტალია)

ივო კარლოვიჩი (ხორვატია)-იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი, 23)

მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 18)-ხუან მონაკო (არგენტინა)

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)-კეი ნიშიკორი (იაპონია)

ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი, 16)-იარკო ნიემინენი (ფინეთი)

■ ■ ■

ქალებს შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** ტურნირს ესპანელ **არანჩა პარა-სანტონხასთან** მატჩით დაიწყებს. ტურნირის მეორე ნომერმა **ვერა ზვონარევამ** (რომელმაც ტრავმირებული ბელგიელის **კიმ კლაისტერსის** ნაცვლად მიიღო განთესვის ეს ნომერი) მეტოქედ ამერიკელი **ელისონ რისკე** მიიღო. როლან გაროსის ჩემპიონი **ნა ლი** რუს **ალა კუდრიავცევას** გაეჯიბრება.

პირველ წრეში ყურადღება შემდეგ თამაშებს უნდა მივაქციოთ:

სერენა უილიამსი (აშშ, 7)-არავან რეზაი (საფრანგეთი)

ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 4)-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკეთი)

ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 6)-ელენა დოკიჩი (ავსტრალია)

სამანტა სტოსური (ავსტრალია, 10)-მელინდა ჩინკი (უნგრეთი)

ანა ივანოვიჩი (სერბეთი, 18)-მელანი ოუდინი (აშშ)

ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 15)-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპანეთი)

ანდრეა პეტკოვიჩი (გერმანია, 11)-გრეტა არნი (უნგრეთი)

აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 13)-ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი)

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი

# რუბიომ გადაწყვიტა

## ესპანელი ვუნდერკინდი გაისად მინესოტაში ითამაშებს


რიკი რუბიო

„ბარსელონას" გამთამაშებელმა **რიკი რუბიომ** ოფიციალურად დატოვა კატალონური კლუბი და მომავალ სეზონში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „მინესოტა ტიმბერვულვზის" ღირსებას დაიცავს. ამერიკულმა კლუბმა ესპანური კალათბურთის ვუნდერკინდი 2009 წლის დრაფტის მეხუთე ნომრად აირჩია. მაშინ 20 წლის რუბიომ ოკეანის გაღმა გამოსვლისთვის უკეთ მოსამზადებლად სამშობლოში დარჩენა ამჯობინა და ორი წელი „ბარსელონაში" გაატარა.

*„როგორც იქნა, გადავწყვიტე NBA-ში გამგზავრება. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი ოცნება, რომლის რეალიზებაც ახლა ხდება,* - განაცხადა რუბიომ ბარსელონაში გამართულ პრესკონფერენციაზე. - *რა თქმა უნდა, ოდნავი შიშით მივემგზავრები ოკეანის გაღმა, რადგან ადრე დიდი ხნით ბარსელონა არასოდეს დამიტოვებია. მაგრამ ამ გამოწვევის მიღების სურვილმა ყველანაირი პრობლემა გადაწონა".*

# რუსების გმირმა კარიერა დაასრულა

ცნობილმა რუსმა ამერიკელმა **ჯონ რობერტ ჰოლდენმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მრავალი წლის განმავლობაში მოსკოვის ცსკა-სა და რუსეთის ნაკრების ლიდერმა ოფიციალური განცხადება რუსეთის ჩემპიონატის სუპერფინალის მეოთხე მატჩის შემდეგ გააკეთა. იმ შეხვედრაში არმიელებმა „ხიმკი" დაამარცხეს, ფინალური სერია 3:1 მოიგეს და შეინარჩუნეს ტიტული. სხვათა შორის, კარიერის ბოლო მატჩში ჰოლდენი ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო იყო - 25 ქულა, 4 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა.


ჯონ რობერტ ჰოლდენი

მოსკოვის ცსკა-ში ამერიკელი 2002 წლიდან თამაშობდა და კლუბთან ერთად გაიარა გზა რუსეთის ჩემპიონატში ჰეგემონიიდან ევროლიგაში გამარჯვებამდე. 2007 წლის ევრობასკეტის წინ ჰოლდენმა რუსული პასპორტი მიიღო და კონტინენტის პირველობაზე რუსეთის ნაკრების გამარჯვებაში დიდი წვლილი დაიდო. სწორედ მისმა გადამწყვეტმა ტყორცნამ მოაგებინა რუსეთს ფინალში ესპანეთის ნაკრებთან.

2010-11 წლების სეზონის წინ ჯეი არს გულთან დაკავშირებული პრობლემები დაუდგინეს და მკურნალობის გამო ძალიან ბევრი გაუცდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს მომენტი გახდა განმსაზღვრელი ჰოლდენის გადაწყვეტილებაში. სხვათა შორის, მცველი წლევანდელი ევრობასკეტისთვის რუსეთის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში იყო შეყვანილი, თუმცა მას ლიტვაში ვერ ვიხილავთ.

# გახდება სერჟ იბაკა ესპანელი?


სერჟ იბაკა

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერჯო სკარიოლომ** თითქმის დააკომპლექტა შემადგენლობა ევრობასკეტისთვის.

იტალიელმა სპეციალისტმა შეკრებაზე 15 კალათბურთელი მიიწვია. აქედან ლიტვაში 14 მოთამაშე გაემგზავრება. სავარაუდოდ, ერთადერთი ზედმეტი გახდება „ოკლაჰომას" კონგოელი ცენტრი **სერჟ იბაკა**, რომელმაც ჯერ ვერ მოასწრო ესპანეთის მოქალაქეობის მიღებისთვის საჭირო დოკუმენტების შეგროვება. მაგრამ თუ იბაკა ამას მოახერხებს, მაშინ სკარიოლოს რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს.

ესპანეთი შარშან თურქეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნის შემდეგ ტოპ-პოზიციებზე დაბრუნებას აპირებს. პირველ ეტაპზე ამ გუნდის მეტოქეები იქნებიან - თურქეთი, ლიტვა, ბრიტანეთი, პოლონეთი და კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებული.

საერთო ჯამში სკარიოლომ უძლიერესი შემადგენლობის შეკრება შეძლო. გამონაკლისია **ხორხე გარბახოსა**, რომელმაც დაასრულა ეროვნულ ნაკრებში გამოსვლა და **ფრან ვასკესი** - „ბარსელონას" ცენტრი, რომელსაც მუხლთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

**მცველები:** ხოსე კალდერონი („ტორონტო", NBA), რიკი რუბიო, ვიქტორ სადა, ხუან კარლოს ნავარო (ყველა - ბარსელონა), სერხიო ლიული (რეალი), რუდი ფერნანდესი (პორტლენდი, NBA), რაფა მარტინესი (ვალენსია);

**ფორვარდები:** კარლოს სუარესი (რეალი), ალექს მუმბრუ (ბილბაო), ფერნანდო სან ემეტერიო (კახა ლაბორალი), ვიქტორ კლავერი (ვალენსია), ფელიპე რეიესი (რეალი);

**ცენტრები:** სერჟ იბაკა (ოკლაჰომა, NBA), მარკ გასოლი (მემფისი, NBA), პაუ გასოლი (ლეიკერსი, NBA).

■ ■ ■

სერიოზულად ემზადება ევროპის ჩემპიონატზე დებიუტისთვის ბრიტანეთის ნაკრები. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კრის ფინჩმა** შეკრებაზე 17 კალათბურთელი მიიწვია. მათ შორის არ არის ბრიტანელთა ერთ-ერთი ლიდერი **პოპს მენსა-ბონსუ**. საფრანგეთის „ვილერბანის" ცენტრმა ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და ვერ მოასწრებს აგვისტოს ბოლომდე გამოჯანმრთელებას.

*„ძალიან განაწყენებული ვარ იმის გამო, რომ ვერ შევძლებ ნაკრებში თამაშს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ბიჭები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას წარმოადგენენ, საამაყო შედეგს მიაღწევენ",* - განაცხადა მენსა-ბონსუმ.

განაცხადში არიან ნაკრების ლიდერები - **ლუოლ დენგი** და **ბენ გორდონი**. მათ გარდა სახელების მიხედვით გამორჩეულები არიან „ესპანელი" ბრიტანელები - **ჯოელ ფრილენდი**, **რობერტ არჩიბალდი** და **დენ კლარკი**, რომლებიც გამოდიან „უნიკახასა" და „ესტუდიანტესში".

● ჰოკეი

# იაგრს დიდი არჩევანი აქვს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთმა გრანდმა „დეტროიტ რედ უინგზმა" მოლაპარაკებები დაიწყო ლეგენდარულ ფორვარდ **იარომირ იაგრთან**, რომელიც ბოლო სამი წელია რუსეთში თამაშობს. „დეტროიტის" გენერალურმა მენეჯერმა **კენ ჰოლანდმა** ჩეხი ჰოკეისტის სავარაუდო ტრანსფერი იაგრის აგენტ **პეტრ სვობოდასთან** განიხილა, ხოლო „რედ უინგზის" დამრიგებელმა **მაიკ ბებკოკმა** თავად ჰოკეისტთან ილაპარაკა.

როგორც კანადური ტელეკომპანია TSN აზუსტებს, სვობოდამ მოითხოვა იაგრის სავარაუდო კონტრაქტების პირობები NHL-ის ხუთი კლუბისგან. „დეტროიტის" გარდა, ესენი არიან - „პიტსბურგ პინგვინზი", „ვაშინგტონ კეპიტალზი", „ნიუ იორკ რეინჯერსი" და „მონრეალ კანადიენსი". გამოცემა Detroit Free Press-ის ინფორმაციით, „დეტროიტმა" შესაძლოა, ჩეხ ლეგენდას ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს მილიონი დოლარის ოდენობის ჯამაგირით.

2010-11 წლების სეზონში 39 წლის იაგრმა 49 მატჩში 50 ქულა (19 გოლი+31 შედეგიანი პასი) დააგროვა. სეზონის დასრულების შემდეგ იარომირს დაუმთავრდა კონტრაქტი „ავანგარდთან" და ომსკელებმა მას ახალი ხელშეკრულება შესთავაზეს. გარდა ამისა, იაგრს თავის რიგებში ეპატიჟებოდა სანკტ-პეტერბურგის სკა, მაგრამ ბოლოს ამ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაიფიქრა.

იაგრს 1990-2008 წლებში NHL-ის სამ კლუბში უთამაშია - „პიტსბურგში", „ვაშინგტონსა" და „რეინჯერსში". „პიტსბურგთან" ერთად მან ორჯერ მოიგო სტენლის თასი. ჩეხი ხუთჯერ იყო სეზონის საუკეთესო ბომბარდირი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


იარომირ იაგრი

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| კარლსრუე-არაუ | 1:3 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-დანდალკი | გადაიდო |
| დერი-ბოჰემიანსი | 3:0 |
| შემროკი-გალვეი | 4:0 |
| დროგედა-სტ. პატსი | 1:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ლიმერიკი-შელბურნი | 0:3 |
| მერვუ-უექსფორდი | 3:0 |
| უოტერფორდი-სოლტჰილი | 4:0 |
| მონეგანი-კორკი | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-ალანია | 0:1 |
| სკა ენერგია-ვოლგარი | 1:1 |
| ენისეი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| სიბირი-ჟემჩუჟინა | 2:1 |
| კამაზ-ბალტიკა | 0:0 |
| მორდოვია-ტორპედო (მ) | 2:0 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ხიმკი | 2:0 |
| შინიკი-გაზოვიკი | 2:1 |
| ტორპედო (ვ)-ფაკელი | 1:0 |
| დინამო (ბრ)-ურალი | 0:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| კანტუ-მონტეპასკი | 65:69 |
| **რუსეთი** | |
| სპარტაკი-კრასნია კრილია | 95:91 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ფენერბაჰჩე | 88:91 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| მალისე-ბოგომოლოვი | 6:2, 6:4 |
| ტურსუნოვი-ხირალდო | 6:3, 4:6, 6:4 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ციბულკოვა-კუზნეცოვა | 7:5, 4:6, 6:2 |
| ოპრანდი-დოკიჩი | 4:6, 0:2 უარი |

● TV პროგრამა

### 18 ივნისი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

10:00 სუპერ-მატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
12:00 სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი.
13:00 სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია.
14:30 სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი.
16:00 სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი.
17:50 სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი.
19:00 სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი.
20:00 სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. მილანი.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ლანუსი (LIVE).
00:00 სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ბაია (LIVE).

#### GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. იტალიის თასი. ფინალი. ინტერი-პალერმო.
12:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. 1/2 ფინალი. ტულუზა-კლერმონი.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
18:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იტალია-ჰოლანდია. შვეიცარია.
20:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. კუბა-იაპონია. შვეიცარია.
22:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ისტორია. I ფილმი.
22:40 K-1. ბრძოლა წესების გარეშე.

#### НТВ-პლუსი (სპორტი)

13:35 წყალბურთი. მსოფლიოს ლიგა. სუპერფინალი. ქალები. 1/2 ფინალი. ჩინეთი (LIVE).
16:25 ტრიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ავსტრია (LIVE).
19:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ყუბანი-კრასნოდარი (LIVE).
01:00 გოლფი. აშშ-ის ღია პირველობა (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ონლაინი)

16:10 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-ამკარი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-ცსკა (LIVE).
23:00 ძიუდო. გრანდ-სლემი. 1/2 ფინალები. ფინალები. ბრაზილია (LIVE).
04:00 ცურვა. გრან-პრი. აშშ (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

16:10 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ტომი (LIVE).
18:30 რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-ზენიტი (LIVE).
20:45 რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-რუბინი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 WTA-ის ტური. ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
16:00 ATP-ის ტური. ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).

#### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

14:25 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ლიტვა. პოლონეთი (LIVE).
16:55 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-კვალიფიკაციის გამარჯვებული. პოლონეთი (LIVE).
19:55 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-სლოვაკეთი. პოლონეთი (LIVE).
22:25 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ხორვატია. პოლონეთი (LIVE).
06:00 WNBA. წინასასეზონო მატჩი. ფინიქსი-სან ანტონიო (LIVE).

#### SPORT+

13:35 წყალბურთი. მსოფლიოს ლიგა. სუპერფინალი. ქალები. 1/2 ფინალი. ჩინეთი (LIVE).
18:25 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ტერეკი-კრილია (LIVE).
20:45 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-სპარტაკი (LIVE).
01:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ბაია (LIVE).

#### EUROSPORT

15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
16:45 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა (LIVE).

#### EUROSPORT-2

15:00 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. I რბოლა. ნიურნბურგი. გერმანია (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატში ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 რაგბი 7. გრანპრის სერია. ლიონი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 მინი-ფეხბურთი. ეპანეთის ჩემპიონატი. III მატჩი. ესპანეთი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა (LIVE).
02:00 ფეხბურთი. კონკაკაფის ჩემპიონატი - ოქროს თასი. 1/4 ფინალი. სალვადორი-კუბა. აშშ (LIVE).

### 19 ივნისი. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ბაია.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ლანუსი.
14:00 გადაცემა - სპორტის ვარსკვლავები.
14:30 ბრაზილიის ჩემპიონატის IV ტურის მიმოხილვა.
15:00 სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი.
16:30 ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
17:00 ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
19:00 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ნაპოლი.
21:00 სუპერ-მატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. სეარა-სან პაულუ (LIVE).
01:00 ბრაზილიის ჩემპიონატის IV ტურის მიმოხილვა .
01:30 ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.

#### GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. გერმანია-ურუგვაი.
12:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. მატჩი III ადგილისთვის. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია.
14:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ფინალი. კუბა-იაპონია. შვეიცარია.
15:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ფინალი. ტულუზა-მონპელიე.
18:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. ფინალი. კაცები. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი. პარიზი. საფრანგეთი.
22:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ისტორია. II ფილმი.
22:50 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. ფინალი. ქალები. ფრანჩესკა სკიავონე-ნა ლი. პარიზი. საფრანგეთი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

22:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. სეარა-სან პაულუ (LIVE).

#### НТВ-პლუსი (სპორტი)

11:00 მაგიდის ჩოგბურთი. პროფესიული ტური. ჩინეთის ღია პირველობა. კაცები. ქალები. ფინალი. ჩინეთი (LIVE).
14:30 ტრიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ავსტრია (LIVE).
23:30 გოლფი. აშშ-ის ღია პირველობა (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ონლაინი)

23:00 ძიუდო. გრანდ-სლემი. 1/2 ფინალები. ფინალები. ბრაზილია (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

16:10 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ტომი (LIVE).
18:30 რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-ზენიტი (LIVE).
20:45 რუსეთის ჩემპიონატი. როსტოვი-რუბინი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 WTA-ის ტური. ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
16:00 ATP-ის ტური. ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).

#### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

14:25 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-სლოვაკეთი. პოლონეთი (LIVE).
16:55 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ხორვატია-საბერძნეთი. პოლონეთი (LIVE).
19:55 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ლიტვა. პოლონეთი (LIVE).
22:25 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ლატვია. პოლონეთი (LIVE).

#### SPORT+

19:55 ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ლიტვა. პოლონეთი (LIVE).
13:35 წყალბურთი. მსოფლიოს ლიგა. სუპერფინალი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. ფინალი. ჩინეთი (LIVE).

#### EUROSPORT

11:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატში ტურიზმის კლასში. Warm-up. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
12:30 აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
14:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატში ტურიზმის კლასში. I რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
15:45 ავტოსპორტი. გრანპრი2-ის სერია (LIVE).
16:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატში ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
17:45 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
18:30 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II დღე. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა (LIVE).

#### EUROSPORT-2

11:45 ავტოსპორტი. გრანპრი2-ის სერია. I რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. I რბოლა. ნიურნბურგრინგი. გერმანია (LIVE).
17:30 რაგბი 7. გრანპრის სერია. ლიონი. საფრანგეთი (LIVE).
19:15 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
20:00 რაგბი. IRB-ის ერთა თასი. შესარჩევი. ნამიბია-საქართველო (LIVE).
22:00 რაგბი. IRB-ის ერთა თასი. შესარჩევი. იაგუარები (არგენტინა)-რუმინეთი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა (LIVE).
02:00 ფეხბურთი. კონკაკაფის ჩემპიონატი - ოქროს თასი. 1/4 ფინალი. აშშ (LIVE).

ჩოგბურთი. უიმბლდონის 10 დიადი მატჩი

# სკანდინავიური ყინული ამერიკული ცეცხლის წინააღმდეგ

**დღეს გთავაზობთ მეორე მასალას ციკლიდან - „10 მატჩი, რომელმაც შეძრა უიმბლდონი“. დღევანდელი მოთხრობა ეხება 1977 წლის უიმბლდონის მეტად დაძაბულ შეხვედრას ამერიკელ ჯიმი კონორსსა და შვედ ბიორნ ბორგს შორის.**

პარასკევს, 1977 წლის პირველ ივლისს უიმბლდონის ორგანიზატორებმა ე. წ. „ჩემპიონთა აღლუმის“ ჩატარება გადაწყვიტეს, რომელიც ლეგენდარული ტურნირის ასი წლისთავს მიეძღვნა. წინა წლებში უიმბლდონის ყველა გამარჯვებულმა სიამოვნებით მიიღო მასში მონაწილეობა, ყველამ, გარდა ერთისა.

24 წლის **ჯეიმს სკოტ კონორსმა**, რომელსაც ლონდონის კორტები 1974 წელს ჰქონდა დაპყრობილი, თავისი უარი ფინალისთვის მომზადებით ახსნა, რომელიც მომდევნო დღეს უნდა გამართულიყო. მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისთვის კონორს თავის მომავალ ოპონენტთან სასიამოვნო სტატისტიკა ჰქონდა (6:2), ბოლო მატჩი მასთან წაგებული ჰქონდა.

**ბიორნ რუნე ბორგი**, რომელიც ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე 21 წლის გახდა, ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა და არ აპირებდა წინა წელს მოპოვებული ტიტულის დათმობას. ბორგი დამაჯერებლად მიიწევდა ფინალისკენ. შვედს მხოლოდ მეორე წრეში გაუჭირდა, როცა ავსტრალიელმა **მარკ ედმონდსონმა** პირველი ორი სეტი აულო ფავორიტს, მაგრამ უფრო მეტის გაკეთება ვერ მოახერხა. ამის შემდეგ ნახევარფინალამდე სკანდინაველს სეტი არ წაუგია. თვით მრისხანე რუმინელი **ილიე ნასტასე** მეოთხედფინალში სასტიკად იქნა დამარცხებული - 6:0, 8:6, 6:3.

ბევრ სპეციალისტს, მათ შორის ბორგის მწვრთნელ **ლენარტ ბერგელინს** მიაჩნდა, რომ თავისი საუკეთესო ჩოგბურთი ბორგმა ნახევარფინალში თავის მეგობართან და მრავალწლიან სპარინგ-პარტნიორთან **ვიტას გერულაიტისთან** აჩვენა. მართლაც, ეს ბრწყინვალე მატჩი იყო. განსაკუთრებით მოხიბლა ყველა მესამე სეტის მეოთხე გეიმმა (მანამდე პარტიებს შორის ანგარიში თანაბარი იყო), როცა 22 გათამაშებიდან 14 მეტოქეებმა „ვინერსებით“ აიღეს. შვედი და ამერიკელი კორტზე დაფრინავდნენ და ასე გაგრძელდა მეხუთე სეტამდე, რომელშიც ვიტასმა ორი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ მაინც წააგო-6:8. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ბერგელინმა შეახსენა ყველას მისი შეგირდის ცუდი სტატისტიკა კონორსის წინააღმდეგ: *„საკმარისია. ბიორნი კონორსზე ისევე ფიქრობს, როგორც გერულაიტისი აქამდე ბიორნზე ფიქრობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას აღარ ეშინია“.*

წესით სკანდინაველს მართლაც უნდა შეშინებოდა კონორსის. მარჯვენა ხელის ცერა თითის ტრავმის მიუხედავად, „ჯიმბო“ (კონორსის მეტსახელი) ბრწყინვალე ჩოგბურთს აჩვენებდა. წინა წელს მისი მძლეველი **როსკო ტანერი** ამჯერად პირველივე წრეში დამარცხდა და ამით კონორსს გზა გაუხსნა. ამერიკელს მეოთხე წრემდე პრობლემა არ ჰქონია, იქ კი ბევრმა ოფლის ღვრამ მოუწია **სტენ სმიტთან**. ეს ვეტერანი ორჯერ გავიდა წინ სეტებს შორის და კონორსმა ორჯერ გაათანაბრა ანგარიში. მეხუთე სეტის მოგების შემდეგ ჯიმმა მეოთხედფინალში კომფორტული მეტოქე მიიღო. სამხრეთაფრიკელი **ბაირონ ბერტრამი** კარგი მოთამაშე იყო, ოღონდ წყვილებში, ერთეულებში ოთხ სეტში დამარცხდა.

კონორსის მეორე მეტსახელი იყო „ბელვილელი ხულიგანი“. ნახევარფინალში მას მეტოქედ მომავალი „ხულიგანი“ ელოდა. 18 წლის ვუნდერკინდი **ჯონ მაკინროი** იმ მომენტში უიმბლდონის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ნახევარფინალისტი იყო. ჯონის ქცევის სკანდალური მანერა მართლაც მიაგავდა „ბელვილელ ხულიგანს“. თუმცა მრისხანე მეტოქესთან თანაბრად ბრძოლა იუნიორმა ვერ მოახერხა. მისი დრო მოგვიანებით დადგა, მანამდე კი კონორსმა ოთხ სეტში მოიგო და ფინალში გავიდა.

ფინალის დღეს პირთამდე სავსე ცენტრალური კორტი შვედს მხარს უჭერდა. კონორსს უსტვენდნენ კიდეც მისი გუშინდელი დემარშის გამო. ბორგმა პირველ სეტში ვერაფერი მოუხერხა მეტოქის ორმაგ ბექჰენდს. ამერიკელი აშკარად აღმაფრენას განიცდიდა - 21 აქტიურად მოგებული ქულა სეტში, ორი ბრეიკი და 6:3. პუბლიკა უკვე აღარ უსტვენდა - ყველა დაძაბული ადევნებდა თვალს კორტზე გაჩაღებულ ბრძოლას.

ისე ჩანდა, რომ კონორსი იოლად მოუგებდა კარიერაში მეშვიდე შეხვედრას შვედს, მაგრამ არც ასე მარტივად იყო საქმე. ბორგმა გრუნტის კორტებისთვის დამახასიათებელი ტიპური სათამაშო მანერა გაამდიდრა და პირველი მოწოდების შემდეგ ბადესთან გასვლა დაიწყო. მეორე სეტის მესამე გეიმში ბიორნმა ოთხი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, შემდეგ კი მიხვდა, რომ კონორსისთვის მოსახერხებელი იყო მაღალ ბურთებზე თამაში და დაბალ დარტყმებზე გადავიდა. ამან ამერიკელს ძალიან გაურთულა საქმე. შვედის ახალმა სტრატეგიამ მალე მოიტანა შედეგი - მომდევნო ორ სეტში ბორგმა ზედიზედ ხუთი ბრეიკი გააკეთა და ზედიზედ რვა გეიმი აიღო. შედეგად 6:2, 6:1 და კონორსის სიტუაცია ძალიან რთული გახდა.

არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა ის, რომ მეტოქის ასეთი თამაშის მიუხედავად, კონორსმა მოახერხა მეოთხე სეტის მოგება. ამერიკელმა უფრო სტაბილური გახადა მოწოდება, თუმცა, საერთო ჯამში, ჯიმის დარტყმების არსენალი მოკრძალებული იყო მეტოქის შემტევი თამაშის ფონზე. შესაძლოა, ყველაფერში დამნაშავე იყო ტრავმირებული თითი ან ბიორნის ბრწყინვალე თამაში. მე-12 გეიმში ამერიკელმა გაიხსენა, რომ კარგად იცის ბადესთან თამაში და ამან მაშინვე მოიტანა შედეგი. 7:5 და მეტოქეებს მეხუთე სეტის თამაშმა მოუწიათ.

გადამწყვეტი სეტის პირველი ოთხი გეიმის შემდეგ ისე ჩანდა, რომ პრაქტიკულად ყველაფერი დასრულებული იყო. ტრიბუნაზე მყოფი **მარგარიტ ბორგის** თვალებში ბედნიერების ცრემლები მოსჩანდა. შვედს ორი გეიმის მოგება სჭირდებოდა სეტის „მშრალი“ ანგარიშის ასაღებად.

როგორც აღმოჩნდა, კონორსს ხასიათის სიმტკიცეც ჰქონია. თავიდან მან მეხუთე გეიმი შესანიშნავი ბექჰენდით გადაარჩინა, შემდეგ კი ჰაერიდან დარტყმით ბრეიკი გააკეთა. თავისი მოწოდების შენარჩუნების შემდეგ, მერვე გეიმში ჰაერიდან უძლიერესი დარტყმით კინაღამ „შემოაკვდა“ მოწინააღმდეგე. ბორგს ვერ მოახვედრა, სამაგიეროდ კორტში ჩააგდო - 4:4!

კონორსი ემოციურ პროგრესს განიცდიდა, მუდმივად ცდილობდა საკუთარი თავი გაემხნევებინა. მოგვიანებით, მატჩის შემდეგ მან განაცხადა: *„მე რომ დავწყნარებულიყავი და აკურატულად მეთამაშა, ეს ძლიერ იმოქმედებდა ბიორნის ნერვებზე. მაგრამ ალგ ზნებული ვიყავი. მეცხრე გეიმი სულელივით ვითამაშე“.* პირველი გათამაშების მოგების შემდეგ, მეორეში ამერიკელმა მართლაც სულელური ორმაგი შეცდომა დაუშვა. მას შემდეგ, რაც ანგარიში გახდა 15:30, ჯიმიმ ზედიზედ ორჯერ სამი მეტრით ააცილა კორტს ბურთი. ბორგი წინ გავიდა და მატჩზე ჩაწოდების საშუალება მიიღო.

შვედმა მოიგო ორი გათამაშება, მესამეზე ეისი ჩააწოდა და სიხარული ვერ დამალა. უცნობია, რამ უფრო გააკვირვა პუბლიკა - კარგმა მოწოდებამ თუ იმან, რომ ჩვეულებრივ აუღელვებელმა შვედმა მუშტი მიირტყა მკერდში. თუმცა ეს ამად ღირდა. ბიორნმა პირველივე მატჩბოლი გამოიყენა - უძლიერესი ბექჰენდი შეასრულა. 3:6, 6:2, 6:1, 5:7, 6:4 - ბორგი უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი გახდა.

გახარებულმა შვედმა კიდევ ერთი ემოციური ჟესტის უფლება მისცა საკუთარ თავს - ჩოგანი მიწაზე დაახეთქა. პრესკონფერენციაზე ის გაცილებით თავშეკავებული იყო: *„ასეთი რთული მატჩი არასოდეს მითამაშია. და, რა თქმა უნდა, ამ მოგებამ უდიდესი ბედნიერება მომიტანა“.*

ერთი თვის შემდეგ ბიორნმა მსოფლიო რეიტინგის პირველი პოზიციიდან ჩამოაქვეითა კონორსი - ამით მან ბოლო მოუღო ამერიკელის 60-კვირიან დომინირებას კლასიფიკაციაში. მას შემდეგ, რაც იმავე წელს კონორსმა ამერიკის ღია პირველობის ფინალში დაამარცხა შვედი, მათი მომდევნო ათი შეხვედრა ბიორნის გამარჯვებით დასრულდა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ ეს მეტოქეები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს უიმბლდონის ფინალში, მაგრამ ის „ცალკარა“ მატჩი იქნება შვედის სასარგებლოდ. ბორგი ზედიზედ ხუთჯერ დაიპყრობს ლონდონის ბალახს და მხოლოდ 1982 წელს გაიმეორებს კონორსი თავის რვა წლის წინანდელ წარმატებას. თუმცა იმ მომენტისთვის დიად შვედს დასრულებული ექნება კარიერა. ის 1990 წელს დაბრუნდება, 34 წლის ვეტერანის რანგში, ოღონდ მხოლოდ იმისთვის, რომ მიმხვდარიყო - მისი დრო წავიდა. მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ბიორნ ბორგი და ჯიმი კონორსი

უიმბლდონი. ყველა ფინალი

ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სამოყვარულო ერა

1884 მაუდ უოტსონი (ბრიტ)-ლილიან უოტსონი (ბრიტ) 6:8, 6:3, 6:3
1885 მაუდ უოტსონი (ბრიტ)-ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ) 6:1, 7:5
1886 ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ)-მაუდ უოტსონი (ბრიტ) 6:3, 6:3
1887 ლოტი დოდი (ბრიტ)-ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ) 6:2, 6:0
1888 ლოტი დოდი (ბრიტ)-ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ) 6:3, 6:3
1889 ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ)-ლენა რაისი (ბრიტ) 4:6, 8:6, 6:4
1890 ლენა რაისი (ბრიტ)-მეი ჯეკსი (ბრიტ) 6:4, 6:1
1891 ლოტი დოდი (ბრიტ)-ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ) 6:2, 6:1
1892 ლოტი დოდი (ბრიტ)-ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ) 6:1, 6:1
1893 ლოტი დოდი (ბრიტ)-ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ) 6:8, 6:1, 6:4
1894 ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ)-ედიტ ოსტინი (ბრიტ) 6:1, 6:1
1895 შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ)-ჰელენ ჯექსონი (ბრიტ) 7:5, 8:6
1896 შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ)-ელის სიმპსონ-პიკერინგი (ბრიტ) 6:2, 6:3
1897 ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ)-შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ) 5:7, 7:5, 6:2
1898 შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ)-ლუიზ მარტინი (ბრიტ) 6:4, 6:4
1899 ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ)-შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ) 6:2, 6:3
1900 ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ)-შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ) 4:6, 6:4, 6:4
1901 შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ)-ბლენჩ ბინგლი ჰილიარდი (ბრიტ) 6:2, 6:2
1902 მურიელ რობი (ბრიტ)-შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ) 7:5, 6:1
1903 დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ)-ეთელ ტომპსონ ლერკომბი (ბრიტ) 4:6, 6:4, 6:2
1904 დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ)-შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ) 6:0, 6:3
1905 მეი სატონ ბანდი (აშშ)-დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ) 6:3, 6:4
1906 დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ)-მეი სატონ ბანდი (აშშ) 6:3, 9:7
1907 მეი სატონ ბანდი (აშშ)-დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ) 6:1, 6:4
1908 შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ)-აგნეს მორტონი (ბრიტ) 6:4, 6:4
1909 დორა ბუტბი (ბრიტ)-აგნეს მორტონი (ბრიტ) 6:4, 4:6, 8:6
1910 დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ)-დორა ბუტბი (ბრიტ) 6:2, 6:2
1911 დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ)-დორა ბუტბი (ბრიტ) 6:0, 6:0
1912 ეთელ ტომპსონ ლერკომბი (ბრიტ)-შარლოტ კუპერ სტერი (ბრიტ) 6:3, 6:1
1913 დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ)-უინიფრედ მაკნეირი (ბრიტ) 6:0, 6:4
1914 დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ)-ეთელ ტომპსონ ლერკომბი (ბრიტ) 7:5, 6:4
1919 სუზან ლენგლენი (საფ)-დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ) 10:8, 4:6, 9:7
1920 სუზან ლენგლენი (საფ)-დოროთი დუგლას ლამბერტ ჩემბერსი (ბრიტ) 6:3, 6:0
1921 სუზან ლენგლენი (საფ)-ელიზაბეტ რაიანი (აშშ) 6:2, 6:0
1922 სუზან ლენგლენი (საფ)-მოლა ბიურსტედტი მალორი (აშშ) 6:2, 6:0
1923 სუზან ლენგლენი (საფ)-კიტი მაკეინ გოდფრი (ბრიტ) 6:2, 6:2
1924 კიტი მაკეინ გოდფრი (ბრიტ)-ელენ უილსი მუდი (აშშ) 4:6, 6:4, 6:4
1925 სუზან ლენგლენი (საფ)-ჯოან ფრაი ლეიკმენი (ბრიტ) 6:2, 6:0
1926 კიტი მაკეინ გოდფრი (ბრიტ)-ლილი დე ალვარესი (ესპ) 6:2, 4:6, 6:3
1927 ელენ უილსი მუდი (აშშ)-ლილი დე ალვარესი (ესპ) 6:2, 6:4
1928 ელენ უილსი მუდი (აშშ)-ლილი დე ალვარესი (ესპ) 6:2, 6:3
1929 ელენ უილსი მუდი (აშშ)-ელენ იაკობსი (აშშ) 6:1, 6:2
1930 ელენ უილსი მუდი (აშშ)-ელიზაბეტ რაიანი (აშშ) 6:2, 6:2
1931 კილი აუსემი (გერ)-ჰილდე კრავინკელ შპერლინგი (გერ) 6:2, 7:5
1932 ელენ უილსი მუდი (აშშ) ელენ იაკობსი (აშშ) 6:3, 6:1
1933 ელენ უილსი მუდი (აშშ)-დოროთი რაუნდი ლიტლი (ბრიტ) 6:4, 6:8, 6:3
1934 დოროთი რაუნდი ლიტლი (ბრიტ)-ელენ იაკობსი (აშშ) 6:2, 5:7, 6:3
1935 ელენ უილსი მუდი (აშშ)-ელენ იაკობსი (აშშ) 6:3, 3:6, 7:5
1936 ელენ იაკობსი (აშშ)-ჰილდე კრავინკელ შპერლინგი (გერ) 6:2, 4:6, 7:5
1937 დოროთი რაუნდი ლიტლი (ბრიტ)-იადვიგა იედრჟეიოვსკა (პოლ) 6:2, 2:6, 7:5
1938 ელენ უილსი მუდი (აშშ)-ელენ იაკობსი (აშშ) 6:4, 6:0
1939 ელის მერბლი (აშშ)-კეი სტამერს ბულიტი (ბრიტ) 6:2, 6:0
1946 პოლინ ბეტც ედი (აშშ)-ლუის ბრაუ კლეპი (აშშ) 6:2, 6:4
1947 მარგარეტ ოსბორნ დუ პონი (აშშ)-დორის ჰარტი (აშშ) 6:2, 6:4
1948 ლუის ბრაუ კლეპი (აშშ)-დორის ჰარტი (აშშ) 6:3, 8:6
1949 ლუის ბრაუ კლეპი (აშშ)-მარგარეტ ოსბორნ დუ პონი (აშშ) 10:8, 1:6, 10:8
1950 ლუის ბრაუ კლეპი (აშშ)-მარგარეტ ოსბორნ დუ პონი (აშშ) 6:1, 3:6, 6:1
1951 დორის ჰარტი (აშშ)-შირლი ფრაი ირვინი (აშშ) 6:1, 6:0
1952 მორის კონოლი ბრინკერი (აშშ)-ლუის ბრაუ კლეპი (აშშ) 6:4, 6:3
1953 მორის კონოლი ბრინკერი (აშშ)-დორის ჰარტი (აშშ) 8:6, 7:5
1954 მორის კონოლი ბრინკერი (აშშ)-ლუის ბრაუ კლეპი (აშშ) 6:2, 7:5
1955 ლუის ბრაუ კლეპი (აშშ)-ბევერლი ბეიკერ ფლაიტცი (აშშ) 7:5, 8:6
1956 შირლი ფრაი ირვინი (აშშ)-ანჯელა ბაქსტონი (ბრიტ) 6:3, 6:1
1957 ალთეა გიბსონი (აშშ)-დარლენ ჰარდი (აშშ) 6:3, 6:2
1958 ალთეა გიბსონი (აშშ)-ანჯელა მორტიმერი (ბრიტ) 8:6, 6:2
1959 მარია ბუენო (ბრა) დარლენ ჰარდი (აშშ) 6:4, 6:3
1960 მარია ბუენო (ბრა)-სანდრა რეინოლდს პრაისი (ს. აფრ) 8:6, 6:0
1961 ანჯელა მორტიმერი (ბრიტ)-კრისტინ ტრუმენ ჯეინსი (ბრიტ) 4:6, 6:4, 7:5
1962 კარენ ჰანტცე სასმანი (აშშ)-ვერა პუჟეიოვა სუკოვა (ჩეხ) 6:4, 6:4
1963 მარგარეტ კორტი (ავსტრა)-ბილი ჯინ კინგი (აშშ) 6:3, 6:4
1964 მარია ბუენო (ბრა)-მარგარეტ კორტი (ავსტრა) 6:4, 7:9, 6:3
1965 მარგარეტ კორტი (ავსტრა)-მარია ბუენო (ბრა) 6:4, 7:5
1966 ბილი ჯინ კინგი (აშშ)-მარია ბუენო (ბრა) 6:3, 3:6, 6:1
1967 ბილი ჯინ კინგი (აშშ)-ენ ჰეიდონ ჯონსი (ბრიტ) 6:3, 6:4

### ღია ერა

1968 ბილი ჯინ კინგი (აშშ)-ჯუდი ტეგარტ დელტონი (ავსტრა) 9:7, 7:5
1969 ენ ჰეიდონ ჯონსი (ბრიტ)-ბილი ჯინ კინგი (აშშ) 3:6, 6:3, 6:2
1970 მარგარეტ კორტი (ავსტრა)-ბილი ჯინ კინგი (აშშ) 14:12, 11:9
1971 ივონ გულაგონგი (ავსტრა)-მარგარეტ კორტი (ავსტრა) 6:4, 6:1
1972 ბილი ჯინ კინგი (აშშ)-ივონ გულაგონგი (ავსტრა) 6:3, 6:3
1973 ბილი ჯინ კინგი (აშშ)-კრის ევერტი (აშშ) 6:0, 7:5
1974 კრის ევერტი (აშშ)-ოლგა მოროზოვა (სსრკ) 6:0, 6:4
1975 ბილი ჯინ კინგი (აშშ)-ივონ გულაგონგი (ავსტრა) 6:0, 6:1
1976 კრის ევერტი (აშშ)-ივონ გულაგონგი (ავსტრა) 6:3, 4:6, 8:6
1977 ვირჯინია უეიდი (ბრიტ)-ბეტი სტივი (ჰოლ) 4:6, 6:3, 6:1
1978 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-კრის ევერტი (აშშ) 2:6, 6:4, 7:5
1979 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-კრის ევერტი (აშშ) 6:4, 6:4
1980 ივონ გულაგონგი (ავსტრა)-კრის ევერტი (აშშ) 6:1, 7:6(7:4)
1981 კრის ევერტი (აშშ)-ჰანა მანდლიკოვა (ჩეხ) 6:2, 6:2
1982 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-კრის ევერტი (აშშ) 6:1, 3:6, 6:2
1983 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-ანდრეა ჯეგერი (აშშ) 6:0, 6:3
1984 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-კრის ევერტი (აშშ) 7:6(7:5), 6:2
1985 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-კრის ევერტი (აშშ) 4:6, 6:3, 6:2
1986 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-ჰანა მანდლიკოვა (ჩეხ) 7:6(7:1), 6:3
1987 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-შტეფი გრაფი (გფრ) 7:5, 6:3
1988 შტეფი გრაფი (გფრ)-მარტინა ნავრატილოვა (აშშ) 5:7, 6:2, 6:1
1989 შტეფი გრაფი (გფრ)-მარტინა ნავრატილოვა (აშშ) 6:2, 6:7(1:7), 6:1
1990 მარტინა ნავრატილოვა (აშშ)-ზინა გარისონი (აშშ) 6:4, 6:1
1991 შტეფი გრაფი (გერ)-გაბრიელა საბატინი (არგ) 6:4, 3:6, 8:6
1992 შტეფი გრაფი (გერ)-მონიკა სელეში (იუგ) 6:2, 6:1
1993 შტეფი გრაფი (გერ)-იანა ნოვოტნა (ჩეხ) 7:6(8:6), 1:6, 6:4
1994 კონჩიტა მარტინესი (ესპ)-მარტინა ნავრატილოვა (აშშ) 6:4, 3:6, 6:3
1995 შტეფი გრაფი (გერ)-არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპ) 4:6, 6:1, 7:5
1996 შტეფი გრაფი (გერ)-არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპ) 6:3, 7:5
1997 მარტინა ჰინგისი (შვეიც)-იანა ნოვოტნა (ჩეხ) 2:6, 6:3, 6:3
1998 იანა ნოვოტნა (ჩეხ)-ნატალი ტოზია (საფ) 6:4, 7:6(7:2)
1999 ლინდსი დავენპორტი (აშშ)-შტეფი გრაფი (გერ) 6:4, 7:5
2000 ვენუს უილიამსი (აშშ)-ლინდსი დავენპორტი (აშშ) 6:3, 7:6(7:3)
2001 ვენუს უილიამსი (აშშ)-ჟუსტინ ანენი (ბელ) 6:2, 3:6, 6:0
2002 სერენა უილიამსი (აშშ)-ვენუს უილიამსი (აშშ) 7:6(7:4), 6:3
2003 სერენა უილიამსი (აშშ)-ვენუს უილიამსი (აშშ) 4:6, 6:4, 6:2
2004 მარია შარაპოვა (რუს)-სერენა უილიამსი (აშშ) 6:1, 6:4
2005 ვენუს უილიამსი (აშშ)-ლინდსი დავენპორტი (აშშ) 4:6, 7:6(7:4), 9:7
2006 ამელი მორესმო (საფ)-ჟუსტინ ანენი (ბელ) 2:6, 6:3, 6:4
2007 ვენუს უილიამსი (აშშ)-მარიონ ბარტოლი (საფ) 6:4, 6:1
2008 ვენუს უილიამსი (აშშ) სერენა უილიამსი (აშშ) 7:5, 6:4
2009 სერენა უილიამსი (აშშ) ვენუს უილიამსი (აშშ) 7:6(7:3), 6:2
2010 სერენა უილიამსი (აშშ)-ვერა ზვონარევა (რუს) 6:3, 6:2